



უმეოსავლიანი აღბილი  
კომედია სუთ მოქმედებად



## მოკმედნი პირნი:

არისტარხ ვლადიმირი ვიშნევსკი—დაჩაჩანაკებული ბებერი, ნეკრესის ქარის ნიშნებით.

ანა პავლოვნა—მისი ცოლი, ახალგაზრდა ქალი.

ვასილი ნიკოლაიჩ უადოვი—ყმაწვილი კაცი, ვიშნევსკის დისწული.

მიკინო—მისი მეგობარი, მასწავლებელი.

აკიმ აკიმიჩ იუხოვი—ძველი მოხელე, ვიშნევსკის ხელქვეითი.

ონისამ პანფილიჩ ბელოგუბოვი—ახალგაზრდა მოხელე, იუსოვის ხელქვეითი.

ფელისატა გერასიმოვნა კუკუშკინა—კოლეჯსკი ასესორის ქვრივი.

პოლინა }  
იულიანკა } მისი ქალიშვილები.

დოხუჟევი.

1 მოხელე.

2 მოხელე.

სტუშა—ხელზე მოსამსახურე გოგო.

ანტონი—ვიშნევსკის სახლის მსახური.

გრიგოლი }  
ვასილი } სამიკიტნოს მსახურნი.

ბიკა.

სტუმრები და ხელზე მოსამსახურენი სამიკიტნოში.

## მოქმედება პირველი

მდიდრულად მოწყობილი დარბაზი ვიშნევსკის სახლში, შესასვლელი კარები მარცხნივ ვიშნევსკის კაბინეტში, ხოლო მარჯვნივ ანა პავლოვნას ოთახებში. ორთავე კედელზე თათო სარკე და მათ ქვემოთ პატარა მაგიდეები. პირდაპირ საერთო კარი.

### გამოსვლა 1-ლი

ვიშნევსკი თივთიკის სერთუკოთ და უპარიკოდ, ვიშნევსკი დილის მორთულობით. გამოდიან ანა პავლოვნას ოთახების კარიდან

ვიშნევსკი — რა უმადურობაა! რა სიავე! (ჯდება). ხუთი წელიწადია ჩემი ცოლი ხართ და ამ ხუთი წლის განმავლობაში ვერაფრით თქვენი გული ვერ მოვიგე. უცნაურია! შეიძლება, უკმაყოფილო ხართ რითიმე?

ანა პავლოვნა — სრულიადაც არა.

ვიშნევსკი — მეც ასე მგონია. განა თქვენთვის არ ვიციდებ და მოვაწყვე ვგრე დიდებულად ეს სახლი? განა თქვენ არ აგაშენებთ აგარაკი? რა გაკლიათ? ვფიქრობ, არც ერთ ვაჭრის ცოლს არა აქვს იმდენი ოქროს სამკაული და თვალმარგალიტი, რამდენიც თქვენ.

ანა პავლოვნა — მაღლობას მოგახსენებთ. უმცირესი ფერი თქვენთვის არ მითხოვია.

ვიშნევსკი — არ გითხოვიათ, მაგრამ ვალდებული ვიყავი რითიმე ამენაზღაურებინა ჩვენი ასაკთა სხვაობა. მეგონა, თქვენში ვპოვებდი ქალს, რომელიც დაათესებდა გაღებულ მსხვერპლს. მე ხომ სასწაულთმოქმედი არა ვარ, არ ძალმიძს ხელის ერთი მოსმით მარმარილოს სასახლეების აგება! ამ აბრეშუმს, ოქროს, ხავერდს და ბეწვეულს, რაშიც თავით ფეხამდე

ჩაფლული ხართ, ფული სჭირდება და მას შოვნა უნდა, რაც ხშირად არც თუ ისე ადვილია.

ანა პავლოვნა — არაფერი თქვენგან არ მინდა. არაერთხელ მითქვამს ეს თქვენთვის.

ვიშნევსკი — მაგრამ ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა მოვიგო თქვენი გული! თქვენი ჩემდამი გულცივობა ჭკუიდან მშლის. მე ვნებიანი კაცი ვარ. ქალის სიყვარულისთვის ყველაფერი შემიძლია ჩავიდინო! წელს მოსკოვის მიდამოში მამული გიყიდეთ. იცით, ფული, რომლითაც ის შევიძინე... როგორ გითხრათ?.. ერთი სიტყვით, იმაზე მეტი გავბედე, ვიდრე ამის ნებას გონიერება იძლევა. შეიძლება ამისათვის პასუხიც ვაგო.

ანა პავლოვნა — ღვთის გულისათვის, ნუ გამხდით ისეთი საქციელის თანამოზიარედ, რაც სინიღისიერების საზღვარს სცილდება. ნუ ამართლებთ ამგვარ საქციელს ჩემი სიყვარულით. ძალიან გთხოვთ! ეს ჩემთვის აუტანელია. თუმცა, თქვენი არ მჯერა. ვიდრე გამიცნობდით, თქვენ ასევე ცხოვრობდით და ასევე იქცოდით. ჩემი სინიღისის წინაშეც კი არ მინდა ვიყო პასუხისმგებელი თქვენი საქციელისთვის.

ვიშნევსკი — საქციელი! საქციელი! თქვენი სიყვარულისთვის მზად ვარ ბოროტმოქმედება ჩავიდინო. თქვენი სიყვარულის ფასად მზად ვარ სინიღისი გავიღო. (ადგება და მიუახლოვდება ანა პავლოვნას).

ანა პავლოვნა — არისტარხ ვლადიმირიჩი, არ მიყვარს თვალთმაქცობა.

ვიშნევსკი — (აიღებს მის ხელს). ითვალთმაქცეთ! ითვალთმაქცეთ!

ანა პავლოვნა — (ზურგს შეაქცევს). არასოდეს.

ვიშნევსკი — მაგრამ, რომ მიყვარხართ? (ცახცახით დაეშვება მუხლებზე). მე თქვენ მიყვარხართ!

ანა პავლოვნა — არისტარხ ვლადიმირიჩი, თავს ნუ იმცირებთ! ჩაცმის დროა. (ზარს რეკავს. ვიშნევსკი წამოდგება. კაბინტიდან გამოდის ანტონი). არისტარხ ვლადიმირიჩს ჩააცვით.

ანტონი — ბატონი ბრძანდებით! (შედის კაბინტში, ვიშნევსკი თან გაყვება).

ვიშნევსკი — (კარებში). გველი! გველი! (გადის).

## გამოსვლა მე-2

ანა პავლოვანა (მარტოა, რამდენიმე ხანს ჩაფიქრებული ზის. შემოდის ბიჭი, გადასცემს წერილს და გავა).

ნეტავ ვისგან არის? (გახსნის და კითხულობს). უცნაურია! სამიჯნურო ბარათი. და მერე ვისგან! ხანშესული კაცი, რომელსაც მზეთუნახავი ცოლი ჰყავს. რა საძაგლობაა! როგორი შეურაცხყოფა! რა უნდა ქნას ქალმა ასეთ შემთხვევაში? მერე და რა უხამსობაა დაწერილი! რა ბრიყვეული ქათინაურებია! გავგზავნო უკან? არა, უმჯობესია ვაჩვენო ვისმე. ვიცინებთ ერთად, გავერთობით მიინც... ფუჰ, რა საზიზღრობაა! (გადის. ანტონი შემოდის კაბინეტიდან და კარებთან დადგება. შემოდის იუსოვი, შემდეგ ბელოგუბოვი).

## გამოსვლა მე-3

ანტონი, იუსოვი და ბელოგუბოვი

იუსოვი — (პორტუფელით). აბა ერთი მოახსენე, ანტონა. (ანტონი გადის. იუსოვი სარკესთან კაბტავდება).

ანტონი — (კარებში). მობრძანდით. (იუსოვი კაბინეტში შედის).

ბელოგუბოვი — (შემოდის. ჯიბიდან სავარცხელს ამოიღებს და თმას ივარცხნის). როგორ, აკიმ აკიმიჩი უკვე აქ ბრძანდება?

ანტონი — ამ წუთს შებრძანდა კაბინეტში.

ბელოგუბოვი — როგორ არის დღეს? ალერსიანია? ა?

ანტონი — არ ვიცი. (გადის. ბელოგუბოვი სარკის მახლობლად მაგიდასთან დგას).

იუსოვი — (გამოდის. შესამჩნევად იბღინძება). ა, აქა ხარ?

ბელოგუბოვი — დიახ, გახლავართ.

იუსოვი — (ათვალღერებს ქაღალდებს). ბელოგუბოვ!

ბელოგუბოვი — რას მიბრძანებთ?

იუსოვი — აი, ჩემო ძამიკო, შინ წაიღე და სუფთად გადაწერე. ასე ბრძანეს.

ბელოგუბოვი — მე მიბრძანეს გადავწერო?..

იუსოვი — (ჯდება). შენ. ბრძანა, კარგი ხელი აქვსო.

ბელოგუბოვი — სასიამოვნო მოსასმენია.

იუსოვი — ჰოდა, ასე, ძმობილო, ნუ აჩქარდები. მთავარი ის არის, სუფთად იყოს. ხედავ, სად არის გასაგზავნია...

ბელოგუბოვი — განა არ მესმის, აკიმ აკიმიჩი, არხეინად ბრძანდებოდეთ. კალიგრაფიულად დავწერ, მთელ ღამეს გავათენებ.

იუსოვი — (ამოიოხრებს). ოხო-ხო-ხო! ოხო-ხო-ხო!

ბელოგუბოვი — ჩემთვის, აკიმ აკიმიჩი, ყურადღებაც საკმარისია.

იუსოვი — (მკაცრად). როგორ, ეხუმრები მაგას?

ბელოგუბოვი — რა ბრძანებაა!..

იუსოვი — ყურადღება!.. ადვილი სათქმელია! სხვა რა უნდა მოხელეს? ამაზე მეტი კაცმა რა უნდა ინატროს?

ბელოგუბოვი — დიახ!

იუსოვი — ყურადღება მოგაბპრეს, შენც კაცი ხარ, სუნთქავ; თუ ყურადღება არ მოგაქციეს — რა ხარ მაშინ?

ბელოგუბოვი — რა სათქმელია.

იუსოვი — ჭია! ჭიაყელა!

ბელოგუბოვი — აკიმ აკიმიჩი, აკი ვცდილობ.

იუსოვი — შენ? (უცქერის). იცოდე, კარგი თვალით გიცქერი.

ბელოგუბოვი — აკიმ აკიმიჩი, ხშირად საჭმელსაც ვიკლებ, ოღონდ სუფთად მეცვას. სუფთად ჩაცმული მოხელე უფროსებსაც შეუშინეველი არ დარჩებათ, მუდამ მხედველობაში ეყოლებათ. აბა, ინებეთ და შემომხედეთ, რა გამოყვანილი წელი მაქვს... (მოტრიალდება).

იუსოვი — (შეათვალიერებს, თან ბურნუნს ყნოსავს). კარგი გამოყვანილია... აი კიდევ რა, ბელოგუბოვ, ყურადღება მიაქციე მართლწერას.

ბელოგუბოვი — აი, მართლწერაში კი, აკიმ აკიმიჩი, ვსუსტობ... უნდა მოგახსენოთ, რომ ამ საქმის გამო გულს მეც მაკლია და ძალიანაც მწყინს.

იუსოვი — რა ბედენაა მართლწერა! ყველაფერი ერთბაშად როდი მოდის, თანდათან მიეჩვევი. ჯერ შავად დაწერ და ვინმეს გაასწორობინებ, შემდეგ იქიდან სუფთად გადაწერე. გაიგე რას გეუბნები?

ბელოგუბოვი — დიახ, უსათუოდ ვთხოვ გამისწორონ, თორემ ქადოვი სულ დამცინის.

იუსოვი — ვინ?

ბელოგუბოვი — ჟალოვი.

იუსოვი — (მკაცრად). თვითონ რას წარმოადგენს, რომ დაგცინის? სადაური ფრინველია? ერთი იმას დამიხედეთ, ხალხს რომ დასცინის კიდევ!

ბელოგუბოვი — მაშ როგორ? თავისი სწავლულობა როგორმე ხომ უნდა გამოიჩინოს?

იუსოვი — ფუჰ! აი, რა არის იგი.

ბელოგუბოვი — ვერაფრით ვერ გამოვარკვიე, აკიმ აკიმიჩი, რანაირი აღამიანია.

იუსოვი — არარაობა! (დუმილი). ახლა იქ ვიყავ. (ანიშნებს კაბინეტზე). ასე ბრძანა, (ხმადაბლა) არ ვიცი რა მოვუხერხო ჩემს დისწულსო. აქედან მიხვდი, რაც უნდა იყოს.

ბელოგუბოვი — მერე რომ იცოდეთ, რა დიდი წარმოდგენისაა თავის თავზე...

იუსოვი — მაღლა-მაღლა ფრენს. ფრთები დააცვდება! აბა, განსაჯე: რა უნდოდა? ცხოვრობდა აქ უდარდელად, მზამზარეულზე. როგორ გგონია, მაღლობელი იყო? პატივისცემით ექცეოდა ვინმეს? არ შეგჭამოს ჭირმა! უკმეხია და თავისუფლად მოაზროვნე... მართალია, ნათესავია, მაგრამ მაინც წარჩინებული პირია... ვინ მოუთმენს? ჰოდა, ასე მოახსენეს იმ ტკბილ მეგობარს „წაბრძანდი, გეთაყვა, შენის გონიერებით იცხოვრე თვეში ათი მანეთით და, შეიძლება, ჭკუა ისწავლოო!“

ბელოგუბოვი — აკიმ აკიმიჩი, აი, სანამდე მიიყვანს აღამიანს თავისი უჭკუობა! რა გინდა მეტი... ღმერთო, ასეთი ბედნიერება გხვდა წილად! ღმერთს ყოველ წამს მაღლობას უნდა წირავდე. ხომ მართალს ვამბობ, აკიმ აკიმიჩი, განა ღმერთს არ უნდა უმადლოდეს?

იუსოვი — ოღონდაც.

ბელოგუბოვი — თავის ბედს თვითონვე გაურბის. არ შესმის, სხვა რა უნდა? მოხელის ხარისხი აქვს, დიდკაცის ნათესავია, სარჩო მზამზარეული; თუ მოისურვებდა, საუკეთესო ადგილს მიიღებდა, დიდშემოსავლიანს. არისტარხ ვლადიმირიჩი ხომ უარს არ ეტყოდა!

იუსოვი — ჰოდა, აი, დახე!

ბელოგუბოვი — მე ასე ვფიქრობ, აკიმ აკიმიჩი, მის ადგილზე სხვა კაცი, უფრო გრძნობიერი, არისტარხ ვლადიმირიჩს ფეხსაცმელის მწმენდავად დაუდგებოდა, ის უგნური კი წყენინებასაც უბედავს, მერე ასეთ პიროვნებას!

იუსოვი — ქედმაღლობს, მსჯელობაც უყვარს.

ბელოგუბოვი — რა ემსჯელება! რაზე შეგვიძლია ჩვენ ვიმსჯელოთ? მე, აკიმ აკიმიჩი, არასოდეს არ...

იუსოვი — ესლა გაკლია!

ბელოგუბოვი — არასოდეს... იმიტომ რომ უსიამოვნების გარდა კარგს არას შეგვეყრის.

იუსოვი — როგორ შეუძლია მას არ იმსჯელოს! რითიმე ხომ უნდა შეგვატყობინოს, რომ უნივერსიტეტში იყო!

ბელოგუბოვი — რაღა სასარგებლოა სწავლა, თუ შიშს გოლში გამოუჩენლებს... და ხელქვეითს უფროსის წინაშე თრთოლვა არ აუტყდება?

იუსოვი — რაო?

ბელოგუბოვი — რაო და, თრთოლვა.

იუსოვი — ჰო, სწორი ხარ.

ბელოგუბოვი — რას იტყვით, აკიმ აკიმიჩი, — აი, მაგიდის უფროსობა რომ მოხერხდებოდეს... მგონი, შემფერის...

იუსოვი — კარგი მადა გქონია.

ბელოგუბოვი — უფრო იმიტომ ვცდილობ, რომ ერთი ქალი საცოლედ ავიჩინე. კეთილშობილი ქალიშვილია, განათლებული. ჩემი მდგომარეობის კაცს ასეთ ქალს ვინ მოათხოვებს?

იუსოვი — მერე და, რათ არ მაჩვენებ?

ბელოგუბოვი — სიამოვნებით... თუნდაც დღესვე... ვითომ ნათესავი ბრძანდებით.

იუსოვი — დაწინაურებაზე მოვახსენებ. რამეს მოვიფიქრებთ.

ბელოგუბოვი — ეს ადგილი სიკვდილამდე მეყოფა. თუ გნებავთ, ხელწერილს მოგცემთ, უფრო მეტს ვერც შევიწნობ. ჩემს უნარს იგი კიდევ აღემატება. (შემოდის ჟადოვი).



## გამოსვლა 84-4

იგანივე ღა ჟადოვი

ჟადოვი — რა, ძიას არ სცალია?

იუსოვი — არ სცალია.

ჟადოვი — უფ, სამწუხაროა! ძალიან მკირდება!

იუსოვი — შეგიძლიათ დაუცადოთ, თქვენზე უფრო მნიშვნელოვანი საქმეები აქვს.

ჟადოვი — ჩემი საქმეების თქვენ რა იცით?

იუსოვი — (უცქერის და იცინის). აბა თქვენ რა საქმე უნდა გქონდეთ! ალბათ რაიმე სისულელე.

ჟადოვი — თქვენთან ლაპარაკი შეუძლებელია, აკიმ აკიმიჩ, მუდამ საკინკლაოდ იწვევთ ადამიანს. (განშორდება და დაჯდება ავანსცენაზე).

იუსოვი — (ბელოგუბოვს). როგორია, ჰა?

ბელოგუბოვი — (ხმამაღლა). ყურადღება არ უნდა მიამჯციოთ! განა ღირს ამდროულმა კაცმა თავი მაგისტრის შეიწუხოთ? მშვიდობით ბრძანდებოდეთ. (გადის).

## გამოსვლა 84-5

ჟადოვი და იუსოვი

იუსოვი — (თავისთვის). ხა-ხა-ხა! სიბერემდე სიქაჩლეო, ამაზე უთქვამთ. რას არ მოესწრება თურმე ადამიანი. ლაწირაკებმაც ქედმაღლობა დაგვიწყეს.

ჟადოვი — (მოხედავს). მანდ რას ბუზღუნებთ?

იუსოვი — (განაგრძობს). რაც ნაბრძანები გვაქვს, იმის კეთება არ გვიყვარს, ხოლო მსჯელობაში კი მარჯვენი ვართ. კანცელარიაში ჯდომა აბა როგორ გვეკადრება! მინისტრად უნდა ვიჯდე! რა გაეწყობა, შევცდით, გვაპატუთ ღვთის გულისათვის, არ ვიცოდით თუ ასეთი ნიჭის კაცი იყავით. უსათუოდ დაგსვამთ მინისტრად, უსათუოდ... ცოტა დაგვაცადეთ... ხვალვე...

ჟადოვი — (თავისთვის). გული გამიწყალა!

იუსოვი — ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! არც სირცხვი-

ლი, არც ნამუსი. პირზე ჯერ რძე არ შემრობია და დარიგე-  
ბას კი უკადრისობს. იცი, მე ვინ ვარ? არ მომეკაროთ! (შემო-  
დის ანტონი).

ანტონი — (იუსოვს). ბატონი გიხმობთ. (იუსოვი შედის კაბინეტში).

ქაღოვი — მოახსენე ანა პავლოვნას, რომ მისი ნახვა  
მსურს.

ანტონი — მესმის. (გადის).

### გამოსვლა მ-6

ქაღოვი მარტო

ქაღოვი — რას აბუზღუნდა ეს ბებრუხუნა! რა დავუშავე?  
უნივერსიტეტდამთავრებულნი, ამბობს, დასანახავად მეჯავ-  
რებაო. რა დავუშავე? მოდი და ასეთი უფროსის ხელქვეით  
იმუშავე. მაგრამ რას დამაკლებს, თუ წესიერად მოვიქეცი?  
თუმცა... ჩემი შესაფერი ადგილი რომ განთავისუფლდეს,  
გვერდს მაინც ამივლიან. მაგათგან სხვას რას უნდა მოე-  
ლოდე.

### გამოსვლა მ-7

ქაღოვი და ანა პავლოვნა

ანა პავლოვნა — გამარჯობათ, ვასილი ნიკოლაიჩ!

ქაღოვი — ა, გამარჯობათ, ბიცოლა! (ხელზე ჰკოცნის). ახალი  
ამბავი უნდა გითხრათ.

ანა პავლოვნა — დაბრძანდით. (სხდებიან). რა ახალი  
ამბავი?

ქაღოვი — ცოლი მინდა შევირთო.

ანა პავლოვნა — ადრე არ არის?

ქაღოვი — შეყვარებული ვარ, ბიცოლა, შეყვარებული.  
რომ იცოდეთ, რა გოგონაა! სრულყოფილი ქმნილება!

ანა პავლოვნა — მდიდარია?

ქაღოვი — არა, ბიცოლა, არაფერი არ აბადია.

ანა პავლოვნა — მერე და, რით აპირებთ ცხოვრებას?

ქაღოვი — თავს, ხელებს სხვა რა დანიშნულება აქვთ?  
ნუთუ მთელი ჩემი სიცოცხლე სხვის ხარჯზე უნდა ვიყო?  
შეიძლება ვინმე ცას მისწვდეს სიხარულით ამ ბედნიერი შემთ-

ხვევის გამო, მე კი არ შემოძლია, თუნდაც იმიტომ, რომ ბიძის სიამოვნებისათვის საკუთარი რწმენის წინააღმდეგ უნდა ვიმოქმედო. მაშ ვინ უნდა იმუშაოს? რად გვასწავლეს? ბიძაჩემი მირჩევს ფული ბლომად ვიშოვო, სულერთია რა გზითაც არ უნდა იყოს, ვიყიდო სახლი, გაფიჩინო ცხენები და მხოლოდ შემდეგ შევირთო ცოლი. განა შემოძლია ამაში ძიას დავეთანხმო? ის ქალი ისე მიყვარს, როგორც შეიძლება სიყვარული ჩემს ასაკში და ნუთუ უარი უნდა ვთქვა ბედნიერებაზე მხოლოდ იმიტომ, რომ მას ქონება არ გააჩნია?

ანა პავლოვნა — იტანჯებიან არა მარტო სიღარიბით, ხშირად სიმდიდრეც დამტანჯველია.

ჟადოვი — ხომ გახსოვთ ჩემი გამუდმებული დავა ძიასთან? ხმას ამოვიღებ თუ არა მექრთამეობის ან, საერთოდ, ყოველგვარი სიყალბის წინააღმდეგ, მას მხოლოდ ერთი პასუხი აქვს: მოითმინე, იცხოვრე ქვეყანაზე, დაუტვირდი და კილოს შეიცვლიო. და აი, გადავწყვიტე ვიცხოვრო კიდეც, მარტოხელამ კი არა, არამედ ახალგაზრდა ცოლთან ერთად.

ანა პავლოვნა — (ამოხვნეშით). ბედნიერია ქალები, რომლებიც უყვართ ისეთ ადამიანებს როგორიც თქვენ ხართ.

ჟადოვი — (ხელზე ჰკოცნის). უჰ, რამდენს ვიშრომებ, ბიცოლაჩემო! ალბათ იმაზე მეტს ცოლიც ვერ მომთხოვს. თუ ვინიცობაა, პირველ ხანებში გაგვიპირდა, მჯერა, რომ ჩემი სიყვარულით პოლინა წარბსაც არ შეიხრის. მაგრამ რაგინდ უნდა მემწაროს ცხოვრება, მაინც არ დავთმოზ ჩემი რწმენის უმნიშვნელო ნაწილსაც კი, რაიცა აღზრდამ მომანიჭა.

ანა პავლოვნა — თქვენი კი მჯერა, მაგრამ თქვენი ცოლი... ახალგაზრდა ქალია! გაუძნელდება გაპირვების ატანა. ჩვენში ძალიან ცუდად ზრდიან ქალებს. თქვენ, ახალგაზრდა კაცებს, ანგელოზები გგონივართ, მაგრამ მერწმუნეთ, ვასილი ნიკოლაიჩი, რომ მამაკაცებზე უარესნი ვართ. ანგარებით აღსავსე და გულღრძონი ვართ. რას იზამ! უნდა გამოგტყდე, რომ ადამიანის ღირსებისა და სამართლიანობის გრძნობა ნაკლებ გავაჩნია. ქალისა ცუდი ის არის კიდეც, რომ გულისხმიერება გვაკლია. ქალს ისეთი რამ შეუძლია უსაყვედუროს თავის ბედს, რაც მამაკაცს აზრდაც არ

მოუვა. უახლოესი მეგობრებიც კი ხშირად ძალზე გესლიანად შეესიტყვებიან ხოლმე ერთმანეთს. ზოგჯერ ქალის ბრიყვული საყვედური უფრო მიძიმე ასატანია, ვიდრე რაიმე დიდი შეურაცხყოფა.

ქადოვი — ეს მართალია, მაგრამ აღვზრდი. ჯერ სულ ბავშვია და, როგორც მოისურვებ, ისე წარმართავ. მხოლოდ საქირთა მალე მოაშორე თავის ოჯახს, ვიდრე უხამსი აღზრდით გაფუჭებას მოასწრებდეს. იმ გარემოცვაში თუ დაქალდა, მერე გვიან იქნება.

ანა პავლოვნა — ვერ შეგედავებით და არც თქვენი იმედის გაქარწყლება მწადს. უკეთურება იქნება ჩემის მხრივ, რომ გული ამთავითვე აგიტრუოთ მაგ საქმეზე. მიუშვით გულის სადავე, ვიდრე იგი არ გამოფიტულა. ნუ შეგაშინებთ სიღარიბე, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. მერწმუნეთ, არავინ გისურვებთ ბედნიერებას ჩემზე გულწრფელად.

ქადოვი — ბიცოლა, ამაში მუდამ ვიყავი დარწმუნებული.

ანა პავლოვნა — მე მხოლოდ ერთი მაწუხებს: თქვენი ხასიათის პირდაპირობა და ის შეუწყნარებლობა, მტერს გამუდმებით რომ გმატებთ.

ქადოვი — დიახ, ყველა ამას მეუბნება, რის გამოც ბევრს ვხარალობ თურმე. განა პირდაპირობა ნაკლია? განა შეიძლება გულდამშვიდებით უცქიროს კაცმა იუსოვებს, ბელოგუბოვებს და ყოველივე იმ სისაძაგლეს, რაც ირგვლივ ხდება? გულგრილობიდან ბიწიერებამდე მცირე მანძილია. ვისაც ბიწიერება და სისაძაგლე არ ეზიზღება, იგი თანდათან მიეჩვევა მას.

ანა პავლოვნა — მე არ ვთვლი პირდაპირობას ნაკლად, მაგრამ გამოცდილებით ვიცი, რამდენად უსარგებლოა და საზიანო იგი ცხოვრებაში. ამის მრავალი მაგალითი მინახავს... და ანას, ადრე თუ გვიან, თქვენც გაივებთ.

ქადოვი — როგორ გგონიათ, უარს მეტყვის ბიძაჩემი? მინდა ჯამაგირის მომატება ვთხოვო. ეს ახლა ჩემთვის აუცილებელია.

ანა პავლოვნა — არ ვიცი, სთხოვეთ. (შემოდის ვიწმევსკი, ფრაკით, პარიკით, თან იუსოვი მოყვება).

## „გამოსვლა მე-8“

ივინივე, ვიშნევსკი და იუსოვი

ვიშნევსკი — (ზადოვს). ა, გამარჯობა! (ჯდება). დაჯექი, დაჯექი, აკიმ აკიმიჩ! შენ სულ ზარმაცობ, სამსახურში იშვიათად დადიხარ.

ჯადოვი — საქმე არ მაქვს. სამუშაოს არ მაძლევენ.

იუსოვი — განა ჩვენთან ცოტა საქმეა?!

ჯადოვი — გადასაწერი, ხომ? მაგაზე კი უკაცრავად! ასეთ რამისთვის თქვენ ჩემზე უნარიანი მოხელეები გყავთ.

ვიშნევსკი — შენ კიდევ ვერ დაშოშპინდი, ჩემო კარგო! სულ ქადაგობ! (ცოლს). წარმოიდგინეთ, კანცელარიაში გადამწერებს ზნეობის ქადაგებით გული გაუწყალა. საცოდავებს ამისი არაფერი ესმით და პირდაღებულნი, თვალდაქეტილნი სხედან. სასაცილოა, ჩემო კარგო!

ჯადოვი — როგორ გავჩუმდე, როცა ფეხის ყოველ გადადგმაზე სისაძაგლეს ვხედავ? მე ჯერ არ დამიკარგავს ადამიანისადმი რწმენა და ვფიქრობ ჩემი სიტყვები მოახდენენ მათზე გავლენას.

ვიშნევსკი — მათ უკვე მოახდინეს გავლენა: მთელ კანცელარიას სასაცილოდ არ ყოფნის თქვენი საქციელი. მიზანი უკვე მიღწეულია, უკვე მოასწარ საქმის ისე წაყვანა, რომ შენს შემოსვლისას ერთმანეთს ღიმილით გადახედავენ ხოლმე და რამეს გადასჩურჩულებენ, ხოლო გასვლის შემდეგ ხარხარს მოჰყვებიან.

იუსოვი — დიახ-ხ!

ჯადოვი — მერე და, რა არის სასაცილო ჩემს სიტყვებში?

ვიშნევსკი — ყველაფერი, ჩემო მეგობარო, დაწყებული მგზნებარე ქადაგებით და დამთავრებული ბალღური, არაპრაქტიკული დასკვნებით. მერწმუნე თვითეული გადამწერი შენზე უკეთ იცნობს ცხოვრებას; საკუთარი გამოცდილებით იცის, რომ მაძღრისად ყოფნა სჯობია მშიერ კუჭზე ფილოსოფოსობას და, ცხადია, შენი სიტყვები სიბრიყვედ მიაჩნია.

ჯადოვი — მე კი მგონია, მათ მხოლოდ ის იციან, რომ მექრთამეობა უფრო ხელსაყრელია, ვიდრე კაი კაცობა.

იუსოვი — ჰმ, ჰმ...

ვიშნევსკი — სისულელეა, ჩემო კარგო! კადნიერებაა ყოველივე ეგ და სიბრძნე!

ქაღოვი — ნება მიბოძეთ, ბიძაჩემო, შეგეკითხოთ, მაშ რად გვასწავლიდნენ, რად გვინერგავდნენ გულში ისეთ აზრებს, რომელთა ხმამაღლა წარმოთქმა შეუძლებელია იმის გარეშე, რომ თქვენ სიბრძნე და კადნიერება არ დაგვაბრალოთ?

ვიშნევსკი — არ ვიცი, ვინ რას გასწავლიდათ. მე მგონია, უკეთესი იქნებოდა ესწავლებინათ საქმის კეთება და უფროსის პატივისცემა, ვიდრე სისულელის ლაქლაქი.

იუსოვი — დიახ-ხ, უსათუოდ ემჯობინებოდა.

ქაღოვი — ჩნებეთ, მე დავდუმდები; მაგრამ ჩემს რწმენას ვერ ვუღალატებ; რწმენაა ჩემი ერთადერთი ნუგეში.

ვიშნევსკი — ჰო, სხვენზე ცხოვრება, შავი პურის ამარა! დიდი ნუგეშია, დამშეულმა შეამკო საკუთარი სათნოება, ხოლო ამხანაგები და უფროსები ლანძლო იმიტომ, რომ მათ დოვლათი შეიძინეს, ბედნიერად მოაწყვეს თავისი ოჯახური ცხოვრება. შესანიშნავია! ალბათ შური გაქვებთ!

ქაღოვი — ღმერთო ჩემო!

ანა პავლოვნა — რა სისასტიკეა!

ვიშნევსკი — არ იფიქრო, რომ ახალ რასმე გვეუბნები. ასე იყო და ასე იქნება. ადამიანი, რომელიც ვერ მოახერხებს ან ვერ მოასწრებს ქონების შეძენას, ყოველთვის შურის თვალთ უცქერის შეძლებულ კაცს, — ასეთია ადამიანის ბუნება და ამიტომაც შურიანობის გამართლება არ არის ძნელი. შურიანი ხალხი ეგრე ამბობს: არ მინდა სიმდიდრე! მე ღარიბი, მაგრამ კეთილშობილი ვარო.

იუსოვი — რა მოთაფლული ენაა!

ვიშნევსკი — კეთილშობილი სიღარიბე კარგია მხოლოდ თეატრში. აბა, სინჯე მისი ცხოვრებაში გადატანა. ეს არც ისე ადვილი და სასიამოვნოა, როგორც ჩვენ გვგონია. შენ საკუთარი თავის გარდა არავისი გჯერა; შეიძლება ცოლიც შეირთო და რა იქნება მაშინ? აი სერი თუ გინდა, ის იქნება.

ქაღოვი — დიახ, ბიძაჩემო, ცოლს ვირთავ და სწორედ ამის გამო მინდა მოგელაპარაკოთ.

ვიშნევსკი — ცხადია, სიყვარულით ხარ გატაცებული, მოგწონს ვინმე ღარიბი ქალიშვილი და თანაც ბრიყვი, რომელსაც ცხოვრებაზე იმდენივე წარმოდგენა აქვს, რამდენიც შენ; მაგრამ ნასწავლი უსათუოდ იქნება და ალბათ დანჯღრეულ ფორტებიანოზედაც დამღერის: „ძვირფასთან ქონიცი სამოთხედ გეჩვენება“.

ქადოვი — დიახ, ღარიბია.

ვიშნევსკი — შესანიშნავია!

იუსოვი — მათხოვრების გასამრავლებლად...

ქადოვი — აკიმ აკიმიჩ, შეურაცხყოფას ნუ მაყენებთ! ამის უფლებას არ გაძლევთ! ქორწინება, ბიძაჩემო, დიდი საქმეა. ვფიქრობ, ყოველი ადამიანი ამ საქმეში თავის სინიღისის ხმას უნდა მისდევდეს.

ვიშნევსკი — მაღლი ჰქენი, ხელს არავინ შეგიშლის. მაგრამ ყველაფერი თუ გაითვალისწინე? აი რა! რა თქმა უნდა, გიყვარს შენი საცოლე, არა?

ქადოვი — რა თქმა უნდა, მიყვარს.

ვიშნევსკი — მითხარ, რას უნზადებ ან რა სიხარული და ნეტარება გინდა მიანიჭო ცხოვრებაში? სიღატაკეს და მრავალგზის სიღუბეჭირეს, აი რას. ჩემის აზრით, ვისაც ქალი უყვარს, იგი უნდა ცდილობდეს, რომ მისი ცხოვრების გზა ნეტარებისა და სიტკბოების ყვავილებით მოჰფინოს.

იუსოვი — დიახ-ხ!

ვიშნევსკი — ყოველგვარი ბუზმენტებისა და კრელაქრულების მაგიერ, რაც ქალს აუცილებელი რამ ჰგონია, შენ მას ლექციებს წაუკითხავ სათნოების შესახებ. სიყვარულით გატაცებული ის შენ მოგისმენს, მაგრამ ბუზმენტები და კრელაქრულები მას არ ექნება.

ანა პავლოვნა — ამ ასაკში სიყვარულს როდი ყიდულობენ.

ქადოვი — ბიცოლა მართალს ამბობს.

ვიშნევსკი — გეთანხმები, სიყვარულის ყიდვა შენ არ დაგჭირდება; მაგრამ სიყვარულისა და თანაგრძნობის დაფასება ყველას ვალია. წინააღმდეგ შემთხვევაში, უანგარო სიყვარულიც განელდება. დაიწყება ყვედრება, ბედზე ჩივილი. არ ვიცი, როგორ გაუძლებ იმ ჯოჯოხეთს, როდესაც ცოლი წამდაუწყობ 2 ზღ. ოსტრავსკი.

ხმამალლა დაიწყებს სინანულს, რომ თავისი გამოუცდელი ბედი მათხოვარს დაუკავშირა. ერთი სიტყვით, ქალი, რომელიც გიყვარს, ვალდებული ხარ უზრუნველყო კმაყოფილი ცხოვრებით. სიმდიდრის ან, უკიდურეს შემთხვევაში, დოვლათის გარეშე ქალისთვის არ არსებობს ბედნიერება. შენ, ალბათ, ჩვეულებისამებრ, შემეკამათები, მაგრამ დაგიმტკიცებ, რომ ეს ასეა. მიმოიხედე ირგვლივ, რომელი ჭკუათმყოფელი ქალი შეყოყნიანდება მისთხოვდეს ცოლად მდიდარ მოხუცს ან მახინჯს? რომელი დედა დაეჭვდება ამ პირობით გაათხოვოს თავისი ქალი მისი სურვილის წინააღმდეგ და თავისი ქალის ცრემლები სიბრიყვედ და ბალღობად არ ჩათვალოს. ღმერთს მადლობასაც კი შესწირავს, რომ მის მაშენკას ანუ ანუშკას ასეთი ბედი ეწია. ყოველი დედა წინასწარ დარწმუნებულია, რომ საბოლოოდ ქალი მადლიერი იქნება. ქმარი ვალდებულია, თუნდაც გულის დასამშვიდებლად, რაც არც თუ ისე უმნიშვნელოა, ცოლი ქონებრივად უზრუნველჭყოს. მაშინ კი... მაშინ თუ ცოლი არ გრძნობს თავს ბედნიერად, არ ექნება უფლება... და ვერც გაბედავს იწუწუნოს. (ანახლად). სიღარიბიდან გამოსულ ქალს, რომელსაც მზრუნველობა და ფუფუნება არ აკლია, ვინ დაუჯერებს, რომ იგი უბედურია? ჰკითხე ბიცოლაშენს, განა მართალს არ ვამბობ?

ანა პავლოვნა — თქვენს სიტყვებში იმდენი სიბრძნე და დამაჯერებლობაა, რომ ჩემს დასტურს არ საჭიროებს. (გაღის).

### გამოსვლა მე-9

იგინივე, ანა პავლოვნას გარდა

ქადოვი — ყველა ქალი ხომ ისეთი არ არის, როგორსაც თქვენ ხატავთ!

ვიშნევსკი — თითქმის ყველანი. არის გამონაკლისიც; მაგრამ საეჭვოა მაინცდამაინც შენ გხვდეს წილად ეს გამონაკლისი. ამისათვის საჭიროა იცხოვრო, ეძიო იგი და მოიტყე არა ისე, როგორც შენ — შეგიყვარდეს ის, ვინც პირველად შეგეფეთება. გამიგონე, გირჩევ, როგორც ნათესავს, იმიტომ რომ მებრალეები. მართლა და, რას ფიქრობ? როგორ იცხოვრებ ცოლიანად ყოველგვარ სახსარს მოკლებული?



ქადოვი — საკუთარი შრომით ვიცხოვრებ. იმედი მაქვს სინიდისის სისპეტაკე ამინაზღაურებს ამქვეყნიური ფუფუნების დანაკლისს.

ვიშნევსკი — შენი შრომა არ იკმარებს ოჯახის სარჩენად. კარგ ადგილს ვერ ეღირსები, იმიტომ, რომ შენი ახირებული ხასიათით ვერც ერთ უფროსს გულს ვერ მოუგებ, პირიქით, გადამტერებ. სინიდისის სისპეტაკე შიმშილისაგან ვერ გიხსნის. ხომ ხედავ, ჩემო მეგობარო, საზოგადოებაში ფეხს იკიდებს ფუფუნებისადმი მისწრაფება, ხოლო თქვენი სპარტანული სიქველე ფუფუნებას ვერ ეთვისება. დედაშენმა მომანდო შენზე ზრუნვა და მეც მოვალე ვარ ვაკეთო ყოველივე, რაც შემძლია. აი რას გირჩევ უკანასკნელად: დაიმორჩილე შენი ხასიათი, დაეხსენ ცრუ იდეებს, მოეშვი, სისულელეა. იმსახურე, როგორც ყოველი წესიერი კაცი მსახურობს, ესე იგი, ცხოვრებასა და სამსახურს პრაქტიკული თვალით უყურე. მაშინ შემეძლება დაგეხმარო რჩევით, ფულით და პროტექციითაც. ბაღლი როდი ხარ, — ცოლის შერთვას აპირებ.

ქადოვი — არასოდეს!

ვიშნევსკი — „არასოდეს!“ რა მყვირალა სიტყვაა, თანაც რა უაზრო! ფიქრობ, შენც მოხვალ ჭკუაზე; ბევრი მინახავს მსგავსი მაგალითი. მხოლოდ ეცადე არ დაავიანო. ახლა შემთხვევაც გაქვს და მფარველობაც, ვაი თუ მერე არც ერთი ამათგანი აღარ დაგიჩრჩეს: ცხოვრების გზას გაიმრუდებ და ამხანაგები ამ დროს გაგისწრებენ, გაგიძნელებს ყველაფრის თავიდან დაწყება. ამას, როგორც გამოცდილი მოხელე, გეუბნები და თან გირჩევ.

ქადოვი — არასოდეს, არასოდეს.

ვიშნევსკი — მაშ, იცხოვრე როგორც შეგიძლია, დახმარების და შემწეობის გარეშე. ჩემი იმედი ნუ გექნება. შენთან ლაპარაკიც მომბეზრდა.

ქადოვი — ღმერთო ჩემო! ჩემი შემწე და დამხმარე საზოგადოებრივი აზრი იქნება.

ვიშნევსკი — როგორ არა, მაგ იმედით იყავი! ჩვენში საზოგადოებრივი აზრი, იმ გაგებით როგორც შენ ფიქრობ, არ არსებობს, ჩემო მეგობარო. „ქურდობაზე ვერ წავისწრეს, —

ქურდი არ ხარ“, — აი, ჩვენი საზოგადოებრივი აზრი. რა საზოგადოების საქმეა — რა შემოსავლით ცხოვრობ, ოღონდ კარგად იცხოვრე და თავი საზოგადოებაში წესიერად დაიჭირე. ფეხშიშველამ რომ იტანტალო და მაღალ ზნეობათა ქადაგებით ქვეყანა შეაჯგრო, ბოდიში, მაგრამ წესიერ ოჯახში არ შეგიშვებენ და ასეც იტყვიან, — რა გზააბნეული ვინმე არისო. მე მისახურნია საგუბერნიო ქალაქებში: იქ უფრო ახლო იცნობენ ერთმანეთს ვიდრე სატახტო ქალაქში; იციან ვის რა აბადია, რით ცხოვრობს და უფრო ადვილად შეუძლიათ შექმნან საზოგადოებრივი აზრი. არა, ხალხი ყველგან ხალხია. იქაც, ჩემი თანდასწრებით, დასცინოდნენ ერთ მოხელეს, რომელსაც დიდი ოჯახი ჰყავდა და მარტო ჯამაგირზე ცხოვრობდა. ამბობდნენ, სერთუქსაც თავისი ხელით იკერავსო და ამდროს იქვე მთელი ქალაქი უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდა უპირველეს მექრთამეს, რომელიც ხელგაშლილად ცხოვრობდა და კვირაში ნადიმს ორჯერ მართავდა.

ქაღოვი — ნუთუ ყოველივე ეს მართალია?

ვიშნევსკი — იცხოვრებ და გაიგებ! წავიდეთ, აკიმ აკიმიჩი. (დგება).

ქაღოვი — ბიძაჩემო!

ვიშნევსკი — რა იყო?

ქაღოვი — მეტად მცირე ჯამაგირს ვიღებ, ცხოვრება მიჭირს. არის ერთი ადგილი, — გადამიყვანეთ იმ ადგილზე, ცოლი მინდა შევიერთო...

ვიშნევსკი — ჰმ... ამ თანამდებობაზე მე ცოლიანი კი არა — უნარიანი კაცი მჭირდება. გულახდილად რომ გითხრა, ჯამაგირს ვერ მოგიმატებ. ჯერ ერთი, არც ღირსი ხარ და მეორეც — ჩემი ნათესავი ხარ, მიკერძოებად ჩამეთვლება.

ქაღოვი — როგორც გენებოთ. ისე ვიცხოვრებ, როგორც გამწვდება ჩემი შემოსავალი.

ვიშნევსკი — აი, კიდევ რა, ჩემო კარგო! ერთხელ და სამუდამოდ გეუბნები: არ მომწონს ეგ შენი სიტყვა-პასუხი, იგი მკვახე და თავდაუქერელია და არავითარი სურვილი არ მაქვს ამის გამო ძარღვები ავიწეწო. ნუ გგონია, რომ შენი აზრები შეურაცხყოფს, — ეს დიდი პატივი იქნებოდა შენთვის,

შე ისინი სისულელედ მიმაჩნია. ამიტომაც ჩემი შენდამი დამოკიდებულება, გარდა სამსახურებრივი ურთიერთობისა, დამთავრებულად მიმაჩნია.

ქადოვი — რაკი ასეა, სხვა სამსახურში გადავალ.

ვიშნევსკი — დაგვდე პატივი! (გადის).

### გამოსვლა მ-10

ქადოვი და იუსოვი

იუსოვი — (უცქერის თვალებში). ხა, ხა, ხა, ხა!..

ქადოვი — რა გაცინებთ?

იუსოვი — ხა, ხა, ხა! როგორ არ გავიციანო?! ვის ეკამათებით? ხა, ხა, ხა! რასა ჰგავს ეს, რას?

ქადოვი — რა არის აქ სასაცილო?!

იუსოვი — როგორ! ბიძათქვენს განა თქვენზე ნაკლები ჭკუა აქვს? უჭკუოა, ჰა? თქვენზე ნაკლებად ესმის ცხოვრების ავანჩავანი? ამაზე ქათამსაც გაეციანება. თქვენ შეგიძლიათ კაცი სიცილით მოჰკლათ. შემთხვევით, შეიწყალეთ ჩემი ცოლ-შვილი.

ქადოვი — თქვენ ამას ვერასოდეს ვერ გაიგებთ, აკიმ აკიმიჩ!

იუსოვი — რა მანდ გასაგები? ათასი კაცი რომ მოიყვანოთ, თქვენი შემყურე ყველანი სიცილით დაიხოცებიან. თქვენ მას პირდაღებული უნდა უსმენდეთ, რომ არც ერთი სიტყვა არ გამოგორჩეთ და გულში ღრმად ჩაინერგოთ, ამის მაგიერ კი ეკამათებით! ეს ხომ ოინბაზობაა, ღმერთმანი, ოინბაზობა, ხა, ხა, ხა!.. ბიძათქვენმა ამიტომ აკი კარგადაც შეგახურათ, ხა, ხა, ხა! ეს კიდევ ცოტაა. მეტი გეკუთვნოდათ. მის ადგილზე რომ ვყოფილიყავი... (შკაპრ ჭაშომეტყველებას მიიღებს და კაბინეტში შევა).

### გამოსვლა მ-11

ქადოვი მარტო (დაფიქრების შემდეგ).

ქადოვი — დიახ, ილაპარაკეთ! მაინც არ მჯერა თქვენი! არც ის მჯერა, რომ პატიოსანი შრომით განათლებულმა კაცმა ოჯახი ვერ შეინახოს. არც ის მინდა დავიჯერო, რომ საზოგადოება ასე გათახსირებულია. ეს მუშებრების ჩვეულებრივი

ფანდია, ახალგაზრდობას რომ გული გაუტეხოს და ყველაფერი მრუდედ აჩვენოს. ძველი ყაიდის ხალხს შურს, რომ ჩვენ ასეთი ხალხისით, იმედით შევცქერით ცხოვრებას. მიგიხვდით, ბიძაჩემო, ყველაფერს მიგიხვდით! თქვენ მიაღწიეთ საწადელს—მოიპოვეთ წარჩინება და ფულები და ახლა არავისი არაფერი არ გშურთ. გშურთ მხოლოდ ჩვენი პატიოსნება, გშურთ ჩვენი სპეტაკი სინილისი და სიმშვიდე სულისა. ამას თქვენ ვერავითარი ფულით ვერ შეიძენთ. რაც გინდათ ის სთქვით, ცოლს მაინც ვირთავ და ბედნიერადაც ვიცხოვრებ.

(გადის. გამოდიან კაბინეტიდან ვინწევსკი და იუსოვი).

### გამოსვლა მ-12

იუსოვი და ვიშნევსკი

ვიშნევსკი — ნეტავ ვის ირთავს?

იუსოვი — კოლეჟსკი ასესორ კუკუშკინის ქვრივის ქალიშვილს.

ვიშნევსკი — ხომ არ იცნობ?

იუსოვი — დიახ, ქმარს ვიცნობდი. ბელოგუბოვი მეორე დას თხოულობს.

ვიშნევსკი — ბელოგუბოვი? აი, ეს სულ სხვა საქმეა! ყოველ შემთხვევაში, ინახულე ის ქვრივი. გააფრთხილე, არ დაღუპოს ქალიშვილი და ამ ბრიყვს ცოლად არ გაატანოს. (ნიშნად გამოთხოვებისა თავს დაუქნევს და გადის).

### გამოსვლა მ-13

იუსოვი მარტო

იუსოვი — ეს რა დრო დადგა! რაც ახლა ქვეყნად ხდება, საკუთარ თვალგზასაც ვერ დაუჯერებ. ასეთ პირობებში როგორ უნდა იცხოვროს კაცმა! ლაწირაკებმა ენა წაიგრძელეს, და მერე ვინ ლაპარაკობს, ვინ კამათობს, ა? არარაობა! სული რომ შეუბერო, ფუ! (უბერავს) აღარ არის, გაქრა აღამიანი! მერე და ვის ეკამათება, ა? გენიოსს. არისტარხ ვლადიმირიჩი ხომ გენიოსია... გენიოსი, ნაპოლეონი! უდიდესი კეჟა, სიმკვირცხლე, გამბედაობა. ერთი რამ აკლია მხოლოდ: კანონის ცოდნაში მოისუსტებს, სხვა უწყებებიდანა.

არისტარხ ვლადიმირიჩის ჭკუის პატრონმა რომ იმ თავის  
წინამორბედივით იცოდეს კანონები და წესები, გათავდა...  
გათავდა... ლაპარაკიც ზედმეტია. გაჰყევი სადაც გინდა...  
წაჰყევი ყველგან გულდამშვიდებით, გაჰყევი ისე, თითქოს  
რკინიგზით მიდიოდე. მაგრად ჩაებლაუჰე და თავისით გაქან-  
დები. და წვიმასავით წამოვა ხარისხი, ორდენები, ადგილ-  
მამული, სახლები, სოფლებიცა და ყანებიც... უუ, თავბრუ  
მესხმის! (გადის).

## მოქმედება მეორე<sup>1</sup>

კუჭუშკინას სახლი: ჩვეულებრივი სასტუმრო ოთახი არამდიდრულ ბინაში.  
მარცხნივ კარგბია.

### გამოსვლა 1-ლი

იულინკა, პოლინა სარკის წინ დგანან. სტეშა ჯაგრისითა და ფრთით ხელში

სტეშა — ესეც ასე! ჩემო ახალგაზრდა ქალბატონებო, მზად ხართ. პირდაპირ საგამოფენოდ ხართ მორთულნი, პირველი ხარისხის ქალები ხართ. თუნდაც მოზღვავენ საქმროები, ისეთი ფართი-ფურთი ავუყენოთ, რომ თვალებიდან, მგონი, სულ ნაპერწკლები გასცვივდეთ. პირდაპირ გენერლის საკადრისები ხართ!

პოლინა — აბა, იულინკა, დავსხდეთ. დავსხდეთ ისე, როგორც ჭკვიანი ქალიშვილები სხდებიან ხოლმე. დედა საცაა ჩვენს დათვალეირება-შემოწმებას შეუდგება. უნდა, რომ მუშტარს თვალი საქონლით მოსჭრას.

სტეშა — (მტვერს სწმენდს). რამდენიც არ უნდა შეგამოწმობთ ჩვენმა ქალბატონმა, წუნს მაინც ვერ დაგდებთ, ყველაფერი რიგზეა, ყველაფერი შესაბამისად შეკრულ-გამოსკვნილია.

იულინკა — ისეთი მკაცრი რევიზორია, რომ რამე წუნს მაინც გამოგვიძებნის. (სხდებიან).

სტეშა — მართლაც და, როგორ გიდგათ მის გადამკიდე პირში სული, ქალიშვილებო? ჯარისკაცებს არ წრთენიან ისე უდიერად, როგორც თქვენ გგეშავენ. ისეთ არტახებში ყავხართ

<sup>1</sup> პირველსა და მეორე მოქმედებას შორის დაახლოებით ერთი წელიწადი გადის.

ვაკრული, რომ თქვენი ცოდვით ვიწვი, აღარ ვარ ქალი. ახლა მეც როგორ მქირდავს, დამცინის! სისუფთავის გამო ჩიჩინით, ლამის არის, ამიკლოს, აქ აღარ მედგომება. (დგამს მტვერს აცლის).

იულინკა — მოგწონს შენი საქმრო, ვასილი ნიკოლაიჩი? პოლინა — რა საყვარელი ადამიანია! შენი ბელოგუბოვი როგორია?

იულინკა — დაიკარგოს იქით, საძაგელია!

პოლინა — მერე და, დედას რათ არ გაუმხელ?

იულინკა — რას ამბობ? ღმერთმა დამიფაროს! ოღონდ აქაურობას მოვწორდე და მზად ვარ მაგასაც სიხარულით მივთხოვდე.

პოლინა — მართალი ხარ! ვასილი ნიკოლაიჩი რომ არ გამომჩენოდა, მზად ვიყავ პირველ გამკლელს, რაგინდ უშნოც არ ყოფილიყო, კისერზე ჩამოკვიდებოდი, ოღონდ აქედან წავეყვანე და ამ ჯოჯოხეთს გადავერჩინე. (იციინის).

სტეშა — (საგარძლის ქვეშ ხვეტავს). მართლაც და, ჯოჯოხეთურ სატანჯველში ხართ. მართალს ამბობთ, ქალიშვილებო.

პოლინა — ზოგი ქალიშვილი გათხოვებისას, იულინკა, ტირილით სკდება, მშობლიური კერა როგორ დავტოვო. ყოველ კუნჭულს დასტირის! ჩვენ კი მზად ვართ ახლავე ცხრა მთას იქით გავეყვით ვინმეს, თუნდაც გველეშაპი იყოს იგი.

სტეშა — ეს ადგილი რომ არ გამეწმინდა, შავი დღე დამადგებოდა. ვინ ეშმაკი შეიხედავს იქ, რა საჭიროა! (სარკის ქვეშ მტვერს წმენდს).

იულინკა — რა ბედნიერი ქალი ხარ, პოლინა, რომ ყველაფერს ეგრე მხიარულად უყურებ; მე კი საგონებელში მაგდებს ყოველივე ეს. გათხოვება არც ისე ძნელია, ეს სიბრძნე კარგა ხანია რაც აგვიხსნეს; მთავარი ის არის, ამთავითვე გაითვალისწინო, როგორი ცხოვრება გექნება ქმრის-ხელში.

პოლინა — რაა აქ საფიქრალი! სახლზე უარესი ხომ არ იქნება.

იულინკა — მართალია, უარესი არ იქნება, მაგრამ ყოველივე ეს მაინც არ კმარა. ცხოვრება უკეთესი მაინც უნდა

იყოს. რაკი თხოვდები, ისე უნდა მოეწყო, როგორც ნამდვილ ქალბატონს შეეფერება.

პოლინა — ეს მართლაც რომ ძალიან კარგი საქმე იქნება! ამას რა აჯობებს, მაგრამ ყოველივე ეს როგორ უნდა მოახერხო? შენ ხომ ჩვენი ქკუის კოლოფი ხარ, მასწავლე!

იულინკა — საუბარში უნდა შეატყო, ვის რა გააჩნია, ვინ რის იმედითაა. თუ ახლა არა აბადია-რა, მომავლისათვის მაინც რა აქვს მხედველობაში ხომ უნდა იცოდდე! ლაპარაკში შეეტყობა ვინ რა კაცია. მართო რომ რჩებით, რას გელაპარაკება შენი ჟადოვი?

პოლინა — იულინკა! თავი რომ ახლავე გამაგდებინო, მაინც ვერაფერს გეტყვი. არაფერი არ გამეგება რას ლაპარაკობს. მაჯაში ხელს ღონივრად ჩამავლებს და დაიწყებს ლაპარაკს. ლაპარაკობს და ლაპარაკობს... რალაც უნდა მასწავლოს.

იულინკა — რას გასწავლის?

პოლინა — მართალი გითხრა, არ ვიცი. რალაც ძალიან ბრძნულს. დაიცა, შეიძლება მოვიგონო, თუ სიცილი არ ამიტყდა, მეტად უცნაური სიტყვებია! დაიცა! მომავონდა! (აჯაგრებს). „რა დანიშნულება აქვს ქალს საზოგადოებაში?“ კიდევ რალაც სამოქალაქო კეთილდღეობაზე მიაბბო. თვითონაც არ ვიცი რა. ეს ხომ არ უსწავლებიათ ჩვენთვის.

იულინკა — არა, არ უსწავლებიათ.

პოლინა — ყველა ეს იმ წიგნებში თუ ამოიკითხა, საკითხავად რომ არ გვაძლევდნენ. გახსოვს... პანსიონში? თუმცა, ჩვენ ხომ არავითარ წიგნს არ ვკითხულობდით.

იულინკა — სულაც არ ვნანობ! ისედაც გული მაქვს გაწყალებული მაგ ამბებით! აი, სეირნობა, თეატრი სულ სხვა საქმეა.

პოლინა — ჰო, დაიკო, ჰო!

იულინკა — გულახდილად უნდა გითხრა, რომ იმ შენი საქმროს იმედი სულაც არა მაქვს. ჩემი ასეთი როდია.

პოლინა — მაშ როგორია?

იულინკა — ჩემი ბელოგუბოვი, მართალია, საძაგელია, მაგრამ დიდ იმედებს მაინც იძლევა; მეუბნება — „შემიყვარეთო,



თუმცა ახლა ცოლის შესართავად არ ვარ მოწყობილი, მაგრამ, როგორც დავწინაურდები და მაგიდის უფროსის თანამდებობას მივიღებ, იმწამსვე ვიქორწინებო“. მე მაშინვე ვკითხე, რას ნიშნავს მაგიდის უფროსობა მეთქი? „ეს პირველი ხარისხიაო“. რაღაცაა, ალბათ, კარგი რამ უნდა იყოს. ისიც მითხრა: „მართალია, სწავლული არ ვარ, მაგრამ ვაჭრებთან საქმე ხშირად მაქვს; ასე რომ აბრეშუმს და სხვა ფართლეულს ბევრს ვიშოვნო, აგრეთვე სანოვაგეც გამოულეველი მექნებოა“. რა მენაღვლება! ძალიან კარგიც არის. შენ რაღას იტყვი, პოლინა, ზიდოს შინ ყველაფერი. თუ ქკუა გაქვს, ასეთ კაცს თვალდახუჭულიც უნდა მითხოვდე.

პოლინა — ჩემსას, ალბათ, არ ჰყავს ნაცნობი ვაჭრები. არაფერი ამის გამო ჩემთვის არ უთქვამს. გამოდის, შინ ვერაფერსაც ვერ მოიტანს.

იულინკა — არა, შენსასაც ეყოლება. ის ხომ მოსამსახურეა, მოსამსახურეებს კი, ვისაც რა სჭირდება, იმას აძლევენ. თუ ცოლიანია — სხვადასხვანაირ ფართალს მოუტანენ; უცოლოს — მის შესაფერ ქსოვილს; ვისაც ცხენი ჰყავს — თივას და ქერს, ხშირად ნაღდ ფულსაც. გასულ კვირას, ბელოგუბოვს რომ ფილეთი ეცვა, ხომ გახსოვს, ქრელი, თურმე ვილაც ვაჭარს უჩუქებია. თვითონ მითხრა.

პოლინა — ერთი უნდა ვკითხო ჟადოვს, იცნობს თუ არა ვაჭრებს! (შემოდის კუკუშკინა).

### გამოსვლა მე-2

ივინივე და კუკუშკინა

კუკუშკინა — როგორ არ ვიამაყო, ყოჩალი როგორ არა ვარ?! შეხედეთ ირგვლივ რა სისუფთავეა, როგორ წკრიანობს ყველაფერი. საათივით მაქვს აწყობილი ოჯახი. (დაჯდება). ეს რა ამბავია? (მიუთითებს მოსამსახურე ქალს სავარძლის ქვეშ).

სტეშა — არაქათი გამომელია, წელი მომწყდა.

კუკუშკინა — როგორ ბედავ, შე წუბაკო, სიტყვის შემობრუნებას! მაშ ჯამაგირს რაში გაძღვე. ყველაფერი სუფთად, ყველაფერი წესრიგში უნდა გქონდეს და თვალეში

შემცქეროდე, მაშ! (მოსამსახურე ნაგავს გახვეტავს და წავა) იულინკა!  
(იულინკა ადგება). შენთან სიტყვა მაქვს.

იულინკა — გისმენთ, დედიკო!

კუკუ შკინა — ხომ იცით, ქალბატონო, რომ არაფერი არ  
მაბაღია.

იულინკა — ვიცი, დედიკო!

კუკუ შკინა — დროა იცოდე! არსაიდან არავითარი შე-  
მოსავალი არ გამაჩნია, მარტო პენსიის ამარა ვარ. როგორც  
ხედავთ, წილებზე ფეხს ვიდგამ და ისე გინახავთ, ყველა-  
ფერს ვიკლებ. ჯერ არც ისე დავებრებულვარ, რომ ჩემი  
ჩაღბანა სადმე არ მოიძებნოს. ხომ გესმით?

იულინკა — მესმის.

კუკუ შკინა — ნაირნაირ კაბებით, სამკაულებით გრთავთ,  
ჩემთვის კი ძველმანებიდან რაღაც კონკებს ძლივს ვაცოდ-  
ვილებ. არ გეგონოთ, რომ ყოველივე ამას მხოლოდ  
თქვენი სიამოვნებისთვის ჩავდივარ. თუ ასე ფიქრობთ, ძალიან  
ცდებით. ყოველივე ამას თქვენი გათხოვებისა და გასაღების  
მიზნით ვაკეთებ. ჩემი შეძლების პატრონმა ჩითის კაბაში უნდა  
გატაროთ. თუ თქვენს თავს თქვენივე დროზე არ უშველეთ და  
საქმროები დროზე არ გამოჩახეთ, ასეც მოხდება. ტყუილ-  
უბრალოდ მაშ რად ვიკლებ ან რას ვწუწურაქვთ ჩემი თავის-  
თვის!

პოლინა — ეს, დედიკო, ბევრჯერ გესმენა. გვითხარით,  
რა გნებავთ ჩვენგან?

კუკუ შკინა — ჩუმაღ, როცა არ გელაპარაკებიან! ღმერ-  
თმა სიბრიყვეში იღბალი მოგცა და ხმას ნუ იღებ. ის ბრიყვი  
ქადოვი რომ არ გამომტყვრალიყო რა გეშველებოდა, ემაგ  
შენი ფუქსავატობის გადამკიდე შინ გაუთხოვრად დაბერდე-  
ბოდი! სხვა ვინ ტყუათყოფელი გითხოვს? ვის რად უნდინხარ?  
თავმოსაწონი არაფერი გაქვს. ქადოვის აკვიატება შენი გამჭ-  
რიახობის შედეგი როდია. ვერც იმას ვიტყვი, რომ მოა-  
ჯადოვე, — არა, ის თვითონ თავისით გაება მახეში! იულინკა  
კი ტყვიანი გოგოა, საკუთარი გამჭრიახობით მოიპოვებს თა-  
ვის ბედს. აბა, ერთი ეს მითხარ, იმ შენ ბელოგუბოვისაგან  
გამოვა თუ არა რამე ხეირი?

იულინკა — რა ვიცი, დედოკო!

კუკუშკინა — მაშინ იცის? განა არ იცით, რომ უცხო ყმაწვილკაცებს შინ ისე არ ვუშვებ? ჩემი სახლის კარი მხოლოდ სასიძოვებისთვის ან ისეთებისთვის არის ღია, რომლებიც შეიძლება სიძედ იქცნენ. თუ ოდნავ მაინც საიმედო პირი უჩანთ, — კეთილი იყოს მათი მობრძანება, თუ არა და ჯანაბამდისაც გზა ჰქონიათ. ჩვენ ასეთები არ გვჭირდება. მე ჩემ ღირსებასაც ვიცავ და თქვენ სახელსაც.

იულინკა — კი მაგრამ, მერე მე რა ვქნა, დედოკო?

კუკუშკინა — უნდა მოიქცე ისე, როგორც გიბრძანებს. გახსოვდეთ, რომ შინ დაბერება არ შეიძლება. სამზარეულოში ცხოვრება ხომ არ მოგენატრათ?

იულინკა — რასაც თქვენ ბრძანებთ, აკი იმას ვაკეთებ, დედოკო?

კუკუშკინა — რას აკეთებ, აბა, რას აკეთებ? მომახსენე, გისმენ!

იულინკა — როდესაც ის მეორედ ჩვენთან მოვიდა, გახსოვთ, ძალით რომ მოიყვანეთ, თვალს ვუნაბავდი...

კუკუშკინა — მერე და, ის რაღას აკეთებდა?

იულინკა — ის ტუჩებს რაღაც უცნაურად კუმავდა და თან ილოკავდა. მგონი, რეგვენი უნდა იყოს, ვერაფერსაც ვერ მიხვდა. ჩვენს დროში ყოველი გიმნაზიელი მაგაზე უფრო მოხერხებულია.

კუკუშკინა — თქვენი მეცნიერების არა გამეგება რა! ის კი ვიცი, რომ ის მოკრძალებული ყმაწვილია და უფროსების თვალში შემყურე უნდა იყოს. მაშასადამე, წინ წაიწევეს. ამას მაშინვე მივხვდი.

იულინკა — მესამედ რომ შემოიარა, გახსოვთ, პარასკევს, სატრფიალო ლექსებს ვუკითხავდი, მაგრამ, მგონი, ისევე ვერაფერი გაიგო. მეოთხედ პატარა ბარათი მივწერე.

კუკუშკინა — მერე, მერე?

იულინკა — მერე მოვიდა და მითხრა: „ჩემი გული რაკი ერთხელ მოგენდოთ, უკან აღარასოდეს დაიხვესო. ეს ასეა და მუდამაც ასე იქნებაო.“ (პოლინა იცინის).

კუკუშკინა — (ემუქრება თითის ქნევით). მერე?

იულინკა — მერე, როგორც კი მაგიდის უფროსის თანამდებობას მივიღებ, დედათქვენს თქვენი ხელი მუდარით უნდა ვთხოვო.

კუკუშკინა — მერე მალე მიიღებს მაგ ადგილს?

იულინკა — ამბობს, მალეო.

კუკუშკინა — მოდი, იულინკა, მაკოცე. (კოცნის). ქალიშვილისთვის გათხოვება, ჩემო კარგო, დიდი საქმეა. ამას თქვენ შემდეგ მიხვდებით. მე ხომ დედა ვარ და მკაცრი დედაც; სასიძოსთან როგორც გსურთ თავი ისე დაიჭირეთ, ვითომ ვერაფერს ვხედავ, ხმას არ გაგცემთ; მაგრამ გარეშეებთან კი, უკაცრავად, ვერ მოგართვით! იულინკა, დაჯექ შენს ადგილზე. (იულინკა ჯდება). როცა გათხოვდებით, შვილებო, იცით რას გირჩევთ? ქმრებს მოსვენება არ უნდა მისცეთ, სულ ის უნდა უჩიჩინოთ, რომ ფული ბლომად იშოვონ, თორემ გაზარამცდებიან და მერე თქვენვე ინანებთ. ეჰ, თქვენ ჯერ ბევრი დარიგება გპირდებით, მაგრამ ქალიშვილები ხართ და ყველაფერს ვერ გეტყვით! როგორც რაიმე გაგიჭირდებათ, ჩემთან მოდით, ჩემი კარი მუდამ ღია იქნება თქვენთვის. მე ბევრი რამ ვიცი ცხოვრებისა და რჩევა-დარიგებას არ მოგაკლებთ, თუნდაც ეს სამკურნალო დარგს შეეხებოდეს.

პოლინა — დედიკო, ეტლი, ვილაც მოვიდა!

იულინკა — (გაიხედა ფანჯარაში). ბელოგუბოვია, თან ვილაც ბებერი კაცი ახლავს.

კუკუშკინა — დასხედით ადგილებზე. იულინკა, აბა მოსასხამი მარჯვენა მხარზე ოდნავ მოიგდე. (იუსოვი და ბელოგუბოვი შემოდიან).

### გამოსვლა მე-3

იგინივე, იუსოვი და ბელოგუბოვი

ბელოგუბოვი — გამარჯობათ, ფელისატა გერასიმოვნა! (ქალიშვილებს). სალამი! (იუსოვზე ანიშნებს). აი, ამათ ისურვეს... ჩემი უფროსი და კეთილისმყოფელია. აკიმ აკიმიჩი იუსოვი. მაინც ეგრე სჯობია, ფელისატა გერასიმოვნა, უფროსების თანდასწრებით...

კუკუშკინა — სასიამოვნოა, უმორჩილესად გთხოვთ, და-

ბრძანდით, უმორჩილესად გთხოვთ! (აკიმ აკიმიჩი და ბელოგუბოვი სხდებიან). გაიცანით ჩემი ორი ქალიშვილი, იულინკა და პოლინა. ჯერ ბავშვებია; არაფრის წარმოდგენა მათ ჯერ არა აქვთ; რა დროს მაგათი გათხოვებაა, ჯერ დედოფალას უნდა თამაშობდნენ. მათთან განშორება ვერც წარმომიდგენია, მაგრამ რა გაეწყობა. ასეთ გვრიტებს შინ ვინ გაგიჩერებს.

იუსოვი — დიახ-ხ! რას იზამთ, ბუნებისა და ცხოვრების კანონს ვერ გაექცევით! რაც წუთისოფელს დაუწესებია, იმას აღამიანი ვერ...

კუკუშკინა — უნდა მოგახსენოთ, აკიმ აკიმიჩ, რომ ჩემს ქალიშვილებს ძალიან მკაცრად ვზრდი, ყველაფერს ვარიდებ. მართალია, მზითვად ბევრს ვერას მივცემ, სამაგიეროდ მათ ზნეობაზე ქმრებს შეუძლიათ გულდამწვინებით ბრძანდებოდნენ. მიყვარს შვილები, აკიმ აკიმიჩ, მაგრამ მკაცრიც ვარ. (მკაცრად). პოლინა, წადი, ჩაის თაღარიგს შეუღეჭი.

პოლინა — (აღგება). ახლავე, დედიკო. (გადის).

იუსოვი — მეც მკაცრი ვარ. (მკაცრად). ბელოგუბოვი!

ბელოგუბოვი — ბრძანეთ.

იუსოვი — ხომ მკაცრი ვარ?

ბელოგუბოვი — უაღრესად. (იულინკას). აი, კიდევ ახალი ჟილეტი, აბა დახედეთ.

იულინკა — საუცხოოა. ისევ იმ ვაჭარმა გაჩუქათ, ხომ?

ბელოგუბოვი — არა, სხვამ. მას უკეთესი ქარხანა აქვს.

იულინკა — მობრძანდით სასტუმრო ოთახში, ჩემს ხელსაქმეს გაჩვენებთ. (გაღიან).

#### გამოსვლა მე-4

იუსოვი და კუკუშკინა

კუკუშკინა — ახ, როგორ უყვართ ერთმანეთი! პირდაპირ გული აგიჩუყდებათ მათი ცქერით. მაგ ახალგაზრდას თურმე გულს აკლია, ადგილიო, ამბობს, არ მაქვს კარგიო. ვერ შეეძლება, ამბობს, ოჯახის უზრუნველყოფასო. აი, მაგიდის უფროსობას რომ მომცემდნენო, ამბობს, ცოლის შერთვას მაშინ გავბედავდიო. პირდაპირ მეცოდება, აკიმ აკიმიჩ! ასეთი შესანიშნავი ყმაწვილი კაცი, ასე შეყვარებული...

ი უ ს ო ვ ი — (ბურჯუთს დაყნოსავს). მოთმინებითა, ფელისატა გერასიმოვნა, მოთმინებითა!

კ უ კ უ შ ი კ ი ნ ა — თქვენ უსათუოდ გეცოდინებათ, როდის მიიღებს იგი ამ ადგილს. ეს, ალბათ, თქვენგანაც იქნება დამოკიდებული. გთხოვთ მის მაგიერ. (თავს უხრის). პატივი მეცით, დედა ვარ, მოყვარული დედა, ჩემი ქალიშვილების იღბლისთვის ვცდილობ.

ი უ ს ო ვ ი — (სახის სერიოზული გამომეტყველებით). მალე მიიღებს, მალე. ამის გამო მე უკვე მოვახსენე ჩვენს გენერალს. გენერალი კი ხელში მიჭირავს, — რასაც ვეტყვი, იმას გააკეთებს. ჩვენ მას დავნიშნავთ მაგიდის უფროსის თანამდებობაზე. მოვისურვებ — იქნება, არა და — ხახამშრალი დარჩება... ხე, ხე, ხე, იქნება, უსათუოდ იქნება! აი სად მყავს გენერალი. (მუჟს უჩვენებს).

კ უ კ უ შ ი კ ი ნ ა — უნდა გამოგიტყდეთ და უცოლშვილო მამაკაცებს ვერ ვიტან. რის მაქნისი არიან, ერთი მითხარით? ქვეყანას ზედმეტ ტვირთად აწვებიან.

ი უ ს ო ვ ი — (მედიდურად). დიახ, ზედმეტნი ბარგნი არიან... ფუქსავატობა.

კ უ კ უ შ ი კ ი ნ ა — დიახ, უცოლო ხალხის შინ მიღებაც სახიფათოა, განსაკუთრებით, თუ ქალიშვილი ან ახალგაზრდა ცოლი გყავთ. ვინ იცის, გულში რა უდევს. ჩემის აზრით, ახალგაზრდა კაცი რაც შეიძლება მალე უნდა დააქორწილო; მერე თვითონვე დაგიმადლებს, თორემ იმდენად ფუქსავატნი არიან, რომ თავისი სარგებლობა თვითონვე არ ესმით.

ი უ ს ო ვ ი — დიახ. დაუდევრობის გამო. ცხოვრება ხომ ბობოქარი ზღვაა... ნთქავს ადამიანს.

კ უ კ უ შ ი კ ი ნ ა — უცოლო კაცის ფულს ბარაქა არა აქვს, ოჯახზე არ ზრუნავს და სამიკიტნოში დაეხეტება.

ი უ ს ო ვ ი — სამიკიტნოში ჩვენც დავდივართ... ვისვენებთ დღიურ კირვარამისაგან.

კ უ კ უ შ ი კ ი ნ ა — ოხ, რას ბრძანებთ, აკიმ აკიმიჩ! თქვენ შორის დიდი განსხვავებაა! თქვენ მაშინ წახვალთ, როდესაც პატივისცემის ნიშნად გაგიმასპინძლდებიან; მაშ საკუთარ ხარჯზე ხომ არ წაბრძანდებით?

იუსოვი — როგორ იქნება, არავითარ შემთხვევაში.

კუკუშკინა — ავიღოთ თუნდაც ასეთი შემთხვევა: უცოლო მოხელე ვინმე მთხოვნელმა სამიკიტნოში დაპატიჟა; ეს ხომ ფუჭი საქმეა. ფული ბევრი დაიხარჯება და თან უსარგებლოდ. ცოლიანი მოხელე კი ასე ეტყვის მთხოვნელს: რად შინდა შენი მასპინძლობა, ჩემს ცოლ-შვილში ვისადილებ, ჯობს ნაღდი მომეციო. აქ ორნაირი ხეირია: შინ ფხიხელი და თან ფულიანიც დაბრუნდება... დიდხანია რაც ოჯახს მოეკიდეთ?

იუსოვი — ორმოცდასამი წელიწადია...

კუკუშკინა — რას ბრძანებთ? როგორ ახალგაზრდად გამოიყურებით!

იუსოვი — დინჯად და თადარიგით ვცხოვრობ... თავს ვუვლი... წუხელ კოტოშები მოვიკიდე.

კუკუშკინა — ჯანსაღს ყველაფერი რგებს, განსაკუთრებით, თუ სულიერად დანშვიდებულია და თან ბარაქიანი ოჯახიც აქვს.

იუსოვი — უნდა მოგახსენოთ, რომ ბუნება ხშირად თავის ქეიფზე ათამაშებს ადამიანს... ღარიბს გაამდიდრებს ანდა პირიქით. მე, ქალბატონო, — ეს ძველთა-ძველი ამბავია, — დაწესებულებაში უბრალო, საშინაო ტანსაცმელით მიმიყვანეს, მხოლოდ წერა-კითხვა ვიცოდი, ეს იყო და ეს. ირგვლივ ხნაერ, წარჩინებულ და მკაცრ გამომეტყველების მოხელეებს ვხედავდი. იმ დროს სახეს იშვიათად იპარსავდნენ, რაც მათს დარბაისლურ და მედიდურ გამომეტყველებას კიდევ უფრო აზვიადებდა. შიშმა ამიტანა, ხმას ვერ ვიღებდი. ორი წლის განმავლობაში შიკრიკად ვიყავი, — სხვადასხვა დავალებებს ვასრულებდი. ხან არაყზე მარბენინებდნენ, ხან ნამცხვარზე, ან ნაბახურეზე ბურახს მომატანინებდნენ. მაგიდის მაგიერობას სარკმლის რაფა მიწვედა, სკამის ნაცვლად ქალაღების შეკვრაზე ვიჯექი, სამელნედ მალამოს ქილას ვხმარობდი, მაგრამ გზა ცხოვრებაში მაინც გავიკაფე და დღეს კაცი ვარ. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს მხოლოდ ჩვენგან არ არის დამოკიდებული... მაღალმა განგებამ იწება, ალბათ, კაცი გავმხდარიყავ და საპატიო თანამდებობა დამეჭირა. ხანდახან მე და

ჩემი ცოლი გავიფიქრებთ: რად დაგვბერტყა ღმერთმა თავზე თავისი მადლიანი კალთა? ყველაფერი ბედ-იღბალზეა დამოკიდებული. კეთილი საქმეც უნდა გააკეთო... ღარიბებს დაეხმარო. დიახ-ხ, ახლა სამი სახლი მაქვს, მართალია, ცოტა შორს არის, მაგრამ ეს ხელს არ მიშლის, ოთხიოდე ცხენი მყავს. მოშორებით რომ არის, ეს უკეთესიცაა: საკარმიდამო ადგილიც მაქვს და ჩემთვის მყუდროდ ვარ, ლაპარაკი და მითქმამოთქმაც ნაკლებია.

კუკუშკინა — ქეშმარიტი ბრძანებაა. ალბათ, ბალიც გაქვთ, არა?

იუსოვი — რა თქმა უნდა! ზაფხულის სიცხე-პაპანაქებაში იქ ყოფნას არაფერი ჯობს. არც ამაყი და ამპარტავანი ვარ. ამპარტავნობა აბრმაგებს ადამიანს... უბრალო გლეხსაც ძმასავით ვეთვისები, ისიც მოყვასია... სამსახურში კი უკაცრავად... მკაცრი ვარ. განსაკუთრებით ვერ ვიტან ცხვირაწეულებს, ახლანდელ განათლებულ ვაჟბატონებს და მკაცრადაც ვეკიდები მათ. ძალიან ყოყოჩობენ, დიდგულობენ. არ მწამს ის ცრუ აზრი, თითქოს ნასწავლები ცაში ვარსკვლავებს წყვეტდნენ. კარგად ვიცი რაც არიან, ვერაფრით ვერ გვჯობნიან, სამსახურშიც უგულისყურონი არიან. ჩვენი დაწესებულების საკეთილდღეოდ წესად მაქვს დადებული ვღევნო, შევაფიწროვო ისინი, რადგან მაგნენი არიან. როგორღაც, ფელისატა გერასიმოვნა, სადა, უბრალო ადამიანებს უფრო ვეთვისები. ახლანდელი მკაცრი წესების გამო შეიძლება ადამიანს უბედურება შეემთხვეს და ცუდად სწავლისთვის სამაზრო სასწავლებლიდან ან სემინარიის უმცროს კლასიდან დაითხოვონ. რა ვქნა, როგორ არ უნდა მიხედო ასეთ უბატრონოს, ასეთ უბედურს? საწყალი ისედაც დაჩაგრულია ბედისაგან, ყველაფერს მოკლებული, განაწყენებული და ამასთანავე ჩვენი სამსახურისათვის ზედგამოჭრილი: გამგონე, თვინიერი და კაცის ერთობ მასიამოვნებელი. სამადლო, ქრისტიანულ საქმეს ჩაიდენ, როცა ასეთ ადამიანს ხალხში გამოიყვან და ისიც საუკუნოდ შენი მადლიერი იქნება. და აი, კორწილში მამობილად, ან ნათლობაში დაგბატოქებს. აი, თუნდაც ჩვენი ბელოგუბოვი! მერე რა, რომ წერა-კითხვის მცირემცოდნეა! შვილივით მიყ-



ვარს, ფელისატა გერასიმოვნა. გრძნობის კაცია და იმიტომაც მიყვარს ვერე. მაგრამ, უნდა გამოგიტყდეთ... ის თქვენნი მეორე სასიძო რომ არის... ისიც ჩემი ხელქვეითია... უნდა მოგახსენოთ, რომ მეტისმეტად...

კუკუშკინა — რაო, როგორია?

იუსოვი — (სერაოზული გამომეტყველებით). არაკეთილსაიმედო პიროვნებაა.

კუკუშკინა — რატომ? ლოთი, მფლანგველი ან ზარმაცი ხომ არ არის?

იუსოვი — არა-ა, მაგრამ... (ბურნუთს ყნოსავს). არაკეთილსაიმედო პირია.

კუკუშკინა — ეგ რანაირად? გამაგებინეთ, ძვირფასო აკიმ აკიმიჩ, მე ხომ დედა ვარ.

იუსოვი — წარმოიდგინეთ... კაცს ისეთი ნათესავი ჰყავს... როგორც არისტარხ ვლადიმირიჩია.

კუკუშკინა — ვიცი.

იუსოვი — წარჩინებული პირი და მერე როგორი!

კუკუშკინა — ვიცი.

იუსოვი — და ასეთ პიროვნებას პატივისცემით არ ექცევა.

კუკუშკინა — ვიცი, ვიცი.

იუსოვი — უფროსების მიმართ უხეშია... მეტისმეტად თავგასული... გარყვნა ახალგაზრდობა და, რაც მთავარია, თავისუფალი აზრების მლალადებელია. ჩვენ, უფროსები, აკი ამიტომაც განსაკუთრებული სიმკაცრით ვექცევით მას.

კუკუშკინა — ვიცი.

იუსოვი — რაკი იცით, თვითონვე განსაჯეთ. უცნაური დროება მოდის, ფელისატა გერასიმოვნა, ცხოვრება აუტანელი ხდება! და მერე ვის გამო? ამგვარ ბედოვლათ ლაწირაკების გამო! ასობით უშვებენ მათ უნივერსიტეტიდან. პირდაპირ ალყა შემოგვარტყეს.

კუკუშკინა — ეხ, აკიმ აკიმიჩ, ცოლს რომ შეირთავს გამოიცვლება. მაგრამ ყოველივე ეს მაინც უნდა მცოდნოდა. მოგეხსენებათ, წინდაუხედავად მე არაფერს ვაკეთებ. მე ასეთი წესი მაქვს დადებული, — როგორც კი შემოგვეჩვენა შინ რომელიმე ახალგაზრდა, მაშინვე დავტრიალდები, მთელ

მის საიდუმლოს, გულის ნადებს დაწვრილებით გავიგებ. ეს ახლანდელი მისი ბობოქარი ხასიათი, ჩემის აზრით, მარტო-ხელობის ბრალი უნდა იყოს; ცოლს რომ შეირთავს და თან ჩვენც შევუჩნდებით, ბიძასაც შეუთრიგდება, გულმოდგინეთაც იმსახურებს.

იუსოვი — თუ ხასიათს მართლა გამოიცვლის, მაშინ უფროსებიც შესცვლიან თავის დამოკიდებულებას. (დუმისის შემდეგ). ეეხ, სადღა არიან წინანდელი მოხელები, ფელისატა გერასიმოვნა! ეცემა, კნინდება ჩვენი მოხელება! სადღაა ის წინანდელი სულისკვეთება! მერე და რა ცხოვრება გვქონდა, ფელისატა გერასიმოვნა, პირდაპირ სამოთხე, ნამდვილი სამოთხე იყო! სიცოცხლე გვიხაროდა, ნამდვილ განცხრომაში ვიყავით, ფელისატა გერასიმოვნა, განცხრომაში! წინანდელი მოხელები არწივები იყვნენ, ლალი არწივები, ახლანდელი ახალგაზრდები კი ყოყორობენ, ფუქსავატები არიან. (შემოდის ჟადოვი).

#### გამოსვლა მ-მ

იგინივე და ჟადოვი

კუკუშკინა — მობრძანდით, ვასილი ნიკოლაიჩ, მობრძანდით! პოლინამ უთქვენოდ ძალზე მოიწყინა. გული გაუწყალდა ფანჯარაში ცქერით. მერე და როგორ უყვარხართ, როგორ უყვარხართ! არაფერი ამის მსგავსი არ მინახავს. ბედნიერი ხართ, ვასილი ნიკოლაიჩ, მართლაც რომ ბედნიერი! საკვირეელია, ასე რათ უყვარხართ!

ჟადოვი — მაპატიეთ, ფელისატა გერასიმოვნა, რომ ცოტა დავიგვიანე. ახ, აკიმ აკიმიჩ! (სალამს აძლევს). თქვენ აქ საიდან გაჩნდით?

კუკუშკინა — აკიმ აკიმიჩი ისეთი კეთილი აღამიანია, იმდენად ზრუნავს თავის ხელქვეითებისათვის... არ ვიცი, როგორ გადავუხადო მადლობა. წარმოიდგინეთ, თავი იმდენად შეიწუხა, რომ თვითონ მობრძანდა ჩვენ გასაცნობად.

ჟადოვი — (იუსოვს). გზადლობთ, თუმცა უნდა ვთქვა, რომ ტყუილ-უბრალოდ გარჯილხართ.

იუსოვი — მე, ფელისატა გერასიმოვნა, უფრო ბელოგუ-

ბოვის გამო გავისარჯე... მშობლები არ ყავს, არც ნათესავეები და მამის მაგივრობას ვუწევ...  
კ უ კ უ შ კ ი ნ ა — აკიმ აკიმიჩი, თქვენ ჭეშმარიტად ოჯახის

კაცი ყოფილხართ და აკი იმიტომაც აქეზებთ ახალგაზრდებს, რომ ოჯახს, ცოლ-შვილს მოეკიდონ. მეც მაგ აზრის ვარ, აკიმ აკიმიჩი! (ჟადოვს). ვერ წარმოიდგენთ, ვასილი ნიკოლაიჩი, რა რიგ ვიტანჯები, როცა დამაბრკოლებელ მიზეზით ერთ-მანეთისაგან გათიშულ ორ შეყვარებულ არსებას ვხედავ. როგორ განვიცდი, როცა რომანში შეყვარებულთა ამბავს ვკითხულობ, შეყვარებულთა, რომელთაც უამრავი ხელისშემშლელი გარემოებანი ელობებათ წინ: ხან მშობლებია წინააღმდეგი და ხან კიდევ ხელმოკლეობა. მეტად იტანჯები ადამიანი ასეთ წუთებში! პირდაპირ ცრემლები მახრჩობს! რა სასტიკნი არიან ხანდახან მშობლები, რომლებიც ასე უდიერად ექცევიან შვილის გრძნობებს. ამის გამო ხშირად სიკვდილითაც მთავრდება საქმე. მაგრამ, როდესაც ხედავ, რომ ყველაფერი კეთილად თავდება, ყველა დაბრკოლება დაძლეულია და (აღტაცებით) სიყვარული ზეიმობს, ხოლო ახალგაზრდე), კანონიერ ქორწინებით შეუღლდნენ, გულს სიამის გრძნობა გეფინება, ტანში სიამოვნების ჟრუანტელი გივლის.

(შემოდის პოლინა).

პოლინა — მობრძანდით, ჩაი მზად არის. (დაინახა ჟადოვი ვასილი ნიკოლაიჩი! არა გრცხვენიათ, ეგრე რად მტანჯავთ?! მალოდინეთ, რამდენი მალოდინეთ.

ჟადოვი — (ხელზე კაცნის). მაპატიეთ.

კ უ კ უ შ კ ი ნ ა — მოდი, შვილო, მაკოცე!

პოლინა — (ჟადოვს). წამობრძანდით!

კ უ კ უ შ კ ი ნ ა — მობრძანდით, აკიმ აკიმიჩი! (გადიან. შემოდინან ბელოგუბოვი და იულინკა ფინჯნებით ხელში).

### გამოსვლა მ-6

ბელოგუბოვი და იულინკა

იულინკა — როგორც ვხედავ, მე თქვენ მოტყუებთ.

ბელოგუბოვი — რას ბრძანებთ? თქვენ მოტყუებას როგორ გავბედავ! აბა საიდან დაასკვენით? (სხდებიან).

იულინკა — მამაკაცები სანდონი არ არიან.

ბელოგუბოვი — მეტისმეტად ულმობელი შეფასებაა.

იულინკა — ულმობელი კი არა, სამართლიანი.

ბელოგუბოვი — ვერ დაგეთანხმებით. ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვებია, ჩვეულებრივ მამაკაცები ქათინაურებს ამბობენ, მაგრამ ქალებს არ სჯერათ და გაიძახიან, რომ მამაკაცები თვალთმაქცები და მაცდურები არიანო.

იულინკა — თქვენ ყველაფერი იცით. ალბათ ძალიან ბევრი ქათინაურიც გითქვამთ თქვენს სიცოცხლეში.

ბელოგუბოვი — არავინ მყავდა, რომ მეთქვა და არც მეხერხება. როგორც მოგახსენეთ, ახლახანს გავერიე ხალხში და არავითარი ნაცნობობა არ გამაჩნია.

იულინკა — და არც არავინ მოგიტყუებიათ?

ბელოგუბოვი — ამას რად მეკითხებით?

იულინკა — ხმა, კრინტი! ერთი სიტყვაც არ მჯერა თქვენი. (ხურგს შეაქცევს).

ბელოგუბოვი — ვითომ რატომ? საწყენია სწორედ.

იულინკა — თვითონ მიხვდებით.

ბელოგუბოვი — არ მესმის.

იულინკა — არ გინდათ გაიგოთ! (ცხვირსახოცს თვალებზე აიფარებს).

ბელოგუბოვი — ვეცდები რითაც გნებავთ დაგარწმუნოთ, რომ მულამჟამს... როგორც ვიყავი შეყვარებული, ისევე ახლაც... ამის შესახებ ერთხელ მოგახსენეთ... და...

იულინკა — თუ გიყვარვართ, რად აგვიანებთ?

ბელოგუბოვი — დიახ-ხ... ახლა გავიგე. ეს ისეთი საქმეა, რომ აჩქარება არ შეიძლება.

იულინკა — ჭადოვისათვის კი შეიძლება?

ბელოგუბოვი — იქ სულ სხვა ამბავია. მას მდიდარი ბიძა ჰყავს და თვითონაც განათლებული კაცია, ადგილს ყველგან იშოვნის. მასწავლებლადაც შეუძლია დადგეს, — მაინც ლუკმა პური. მე კი რას წარმოვადგენ? ვიდრე მაგიდის უფროსის ადგილს არ მომცემენ, უძლური ვარ და არც თქვენ ისურვებთ კომბოსტოს წვენი ხვრეპასა და ფაფის ჭამას. თქვენსთანა ქალიშვილს ეს არც შეფერის. მაგრამ ადგილს მივიღებ თუ არა, აი მაშინ სულ სხვაგვარად შეტრიალდება ჩემი ცხოვრების ჩარხი.

იულინკა — როდისღა შეტრიალდება ეგ თქვენი ჩარხი?  
ბელოგუბოვი — სულ მალე! დამპირდნენ. ადგილი როგორც აღმოჩნდება, იმ წამსვე... მხოლოდ ახალი კაბა უნდა შეგიკეროთ. ეს დედათქვენს უკვე მოვახსენე. ნუ გამიჯავრდებით, იულია ივანოვნა, და ყოველივე ეს ჩემგან როდია დამოკიდებული. მიბოძეთ ხელი! (იულინკა ხელს ისე გაუწვდის, რომ მას არ უცქერის. ბელოგუბოვი ხელზე კოცნის). ლოდინით სული თვითონაც მეღევა. (შემოდინა ჟადოვი და პოლინა).

იულინკა — წავიდეთ, მარტო დავტოვოთ. (გადიან).

### გამოსვლა 86-7

ჟადოვი და პოლინა (სხდებიან)

პოლინა — იცი, რა უნდა გითხრათ?

ჟადოვი — არა, არ ვიცი.

პოლინა — მხოლოდ ძალიან გთხოვთ, დედასთან ნუ გამამხელთ.

ჟადოვი — დამშვიდებული ბრძანდებოდეთ.

პოლინა — გეტყვით, მაგრამ შეშინია, რომ შემიძულვებთ.

ჟადოვი — თქვენ შეგიძულვებთ? განა ეს შესაძლებელია?

პოლინა — თქვენ ამას მართალს მეუბნებით?

ჟადოვი — (მოჰკიდებს ხელს). მერწმუნეთ, ეს არ მოხდება!

პოლინა — აბა თქვენ იცი! გულახდილად უნდა გითხრათ, (ხმადაბლა). ჩვენს სახლში ყველაფერი ტყუილი და თვალთმაქცობაა, ყველაფერი... თავიდან ბოლომდე. არაფერი არ დაიჯეროთ რასაც აქ გელაპარაკებიან, სულ არაფერი. ჩვენ სულით ხორცამდე არაფერი არ გვაბადია და ნურავითარ მზითევს ნუ მოელთ. დედა ამბობს, რომ ჩვენ უყვარვართ, — ესეც ტყუილია. მას მხოლოდ ჩვენი გასაღება ეჩქარება. სასიძოვებს პირში ეფარისეველება, ზურგს უკან კი აგინებს. ჩვენც თვალთმაქცობას გვასწავლის.

ჟადოვი — ამან აგაშფოთათ? ხომ?

პოლინა — იცი, მე როდი ვთვალთმაქცობ, ნამდვილად მიყვარხართ.

ჟადოვი — თქვენ მე ჰკუდიდან შემშლით! (კოცნის ხელზე).

პოლინა — აი კიდევ რა უნდა გითხრათ: ჩვენ ხომ სულ

გაუნათლებელნი ვართ. იულის ცოტა რამ კიდევ გაეგება, მე კი მთლად უვიცი, ბრიყვი ვარ!

ქადოვი — როგორ თუ ბრიყვი?

პოლინა — ისე, ჩვეულებრივი, როგორიც არიან საერთოდ ბრიყვები. არაფერი არ გამეგება, არც არაფერი წამიკითხავს... ზოგჯერ თქვენ ნალაპარაკევს სრულებით ვერ ვიგებ, სრულებით.

ქადოვი — თქვენ ანგელოზი ხართ! (ხელს უკონცის).

პოლინა — ეს კია, იულინკაზე კეთილი გულის ვარ, თორემ ჭკუით იმაზე გაცილებით ბრიყვი ვარ.

ქადოვი — სწორედ იმიტომ მიყვარხართ, რომ ვერაფერი გასწავლეს და ვერ მოასწრეს თქვენი ფაქიზი გულის გაფუჭება. რაც შეიძლება მალე უნდა გაშორდეთ აქაურობას. ახალი ცხოვრება უნდა შეგქმნათ. მე დიდი სიყვარულით შევუდგები თქვენს აღზრდას. ოხ, რა ნეტარება მომელის!

პოლინა — ახ, ნეტავი ჩქარა მოხდებოდეს!

ქადოვი — რად უნდა დავაყოვნოთ? მე გადავწყვიტე. (აღზნებულნი უხურებს პოლინას. დუმილი).

პოლინა — ვაჭრებთან თუ გაქვთ ნაცნობობა?

ქადოვი — რა უცნაური შეკითხვაა? რათ გინდათ?

პოლინა — ისე, მინდა ვიცოდე.

ქადოვი — არ მესმის, რათ გინდათ, რომ იცოდეთ?

პოლინა — აი რათ! ბელოგუბოვი ამბობს, რომ მას ვაჭრებში ნაცნობობა აქვს. ისინი მას ჟილეტებით ასაჩუქრებენ; ხოლო ცოლს რომ შეირთავს, მაშინ საკაბეებსაც აჩუქებენ.

ქადოვი — აი თურმე რაში ყოფილა საქმე! არა, არაფერს ისინი არ გვაჩუქებენ, პოლინა! ჩვენ თვითონ ვიშრომებთ და ისე შევიძინებთ ავლადიდებას. ხომ ასეა, პოლინა?

პოლინა — (დაბნეული). დიახ-ხ!

ქადოვი — არა, პოლინა, თქვენ ჯერ არ იცით რას ნიშნავს საკუთარი შრომით ცხოვრება და ნეტარება. ღვთის შეწევნით, ამას მალე გაიგებთ. ყველაფერს, რასაც შევიძინებთ, ჩვენი იქნება, და ვერც ვერავინ დაგვამადლის. ხომ გესმით? აქ ორმაგი სიამოვნებაა: შრომის სიტკბოება და დამშვიდე-

ბული სინიდისით საკუთარი მონაგარის თავისუფლად ფლობა, ეს ხომ ყოველგვარ საჩუქარზე უმჯობესია. ხომ ასეა, პოლინა?

პოლინა — დიახ, ასეა. (დუმილი). გინდათ, ერთ გამოცანას გეტყვი?

ქადოვი — რა გამოცანას?

პოლინა — რა მოდის უფეხოდ?

ქადოვი — ეს რა კარგი გამოცანა გცოდნიათ! წვიმა, ხომ?

პოლინა — ყველაფერი საიდან იცით, ან როგორ მიხვდით? მეწყინა! მე ვერაფრით ვერ გამოვიცანი. იულინკამ ამიხსნა.

ქადოვი — ასეთი გულუბრყვილო ბავშვი სანამ უნდა იყოთ?

პოლინა — ცაში ვარსკვლავების დათვლა თუ შეიძლება?

ქადოვი — შეიძლება.

პოლინა — არა, არ შეიძლება. მაგას ვერ დაგიჯერებთ.

ქადოვი — თავს რად იწუხებთ! კარგახანია რაც დათვლილია.

პოლინა — დამცინით, თუ რა არის? (ზურგს შეაქცევს).

ქადოვი — (ნაზად). განა შეიძლება რომ დაგცინოთ, პოლინა! მთელი ჩემი სიცოცხლე მინდა შეგალიოთ. აბა, კარგად შემომხედეთ, განა შემიძლია თქვენი დაცინვა?

პოლინა — (უცქერის). არა, არა...

ქადოვი — თქვენ ამბობთ, რომ თითქოს ბრწყინებულ ხართ, — არა, ეს მე ვარ ბრწყინებული. დამცინეთ! დიახ, ბევრი დამცინის, ყველანი დამცინიან. არაფერი მე არ მაბადია, არც ქონება, არც სახსარი, გარდა მომავლის იმედებისა და ცოლად მაინც გირთავთ. რატომ ირთავთ, მეკითხებიან. იმიტომ რომ მიყვარხართ, იმიტომ რომ მრწამს ადამიანი. წინდაუხედავად და განუსჯელად რომ ვიქცევი, ეს კი ცხადია. მაგრამ როდის განვსაჯო? ისე მიყვარხართ, რომ ამისათვის აღარ მცალია.

პოლინა — (გრძნობით). მე თვითონ მიყვარხართ. (ქადოვი ხელზე კოცნის).

კუკუშკინა — (იუსოვს). ხედავთ, ხედავთ, როგორ მტრედებივით ლულუნებენ. ხელს ნუ შევეშლით. რა გულის ამაჩუყებელი, გრძნობის მომგვრელი სურათია! (შემოდინ ბელოვუბოვი და იულინკა).

## გამოსვლა 80-8

ჟადოვი, პოლინა, კუკუშკინა, იუსოვი, ბელოგუბოვი  
და იულინკა

ჟადოვი — (მოტრიალდება, მოკიდებს ხელს პოლინას და მიიყვანს კუკუშკინასთან). ფელისატა გერასიმოვნა, მაჩუქეთ ეს საუნჯე.

კუკუშკინა — უნდა გამოგიტყდეთ, რომ მეტად მიმძინის მასთან განშორება. ეს ხომ ჩემი უსაყვარლესი შვილია... მაგის იმედი მქონდა სიბერეში... მაგრამ რა გაეწყობა, წაიყვანეთ... მის იღბალს წინ არ გადაველობები. (სახეზე ცხვირსახოცს აიფარებს. ჟადოვი და პოლინა ხელზე კოცნიან. ბელოგუბოვი სკამს აწვდის და კუკუშკინა ჯდება).

იუსოვი — თქვენ ჭეშმარიტი დედა ხართ, ფელისატა გერასიმოვნა.

კუკუშკინა — დიახ, შემძლია დაგიქადო. (მგზნებარედ). არა, ქალიშვილების აღზრდა უმადური, ძალზე უმადური საქმეა! რამდენი ამაგი უნდა გაიღო, ელოლიავო მათ, ზარდო და მერე ვილაც უცნობ კაცს უნდა გაატანო... და ობლად დარჩე... საშინელებაა! (სახეზე ცხვირსახოცს აიფარებს).

ბელოგუბოვი — დედილო, ჩვენ არ მივატოვებთ.

პოლინა და იულინკა — (ერთად). დედიკო, არ მივატოვებთ, არა!



## მოქმედება მესამე<sup>1</sup>

სამიკიტნო. მეორე პლანზე უკან ფარდა. შუაში არღანი დგას, მარჯვნივ ღია კარი, საიდანაც ჩანს ოთახი. მარცხნივ ტანსაცმელის საკიდი. ავანსცენის ორთავე მხარეს მაგიდები სავარძლებით.

### გამოსვლა 1-ლი

ვასილი არღანთან დგას და გაზეთს კითხულობს. გრიგოლი კარებში დგას და მეორე ოთახში იტყობება. შემოდინა ჟადოვი და მიკინი. გრიგოლი მათ მაგიდამდე მიაცილებს, გადაასუფთავებს მაგიდას და ზედ სუფრას გადააფარებს

მიკინი — მითხარი, როგორ ცხოვრობ, ჩემო მეგობარო? ჟადოვი — ცუდად, ძმაო. (გრიგოლს). აბა, ერთი ჩაი მოგვიტანე! (გრიგოლი მიდის). როგორა ხარ?

მიკინი — რა მიშავს. ვცხოვრობ ჩემთვის, ვმასწავლებლობ. (სხდებიან).

ჟადოვი — ბევრს იღებ?

მიკინი — ორას მანეთს.

ჟადოვი — გყოფნის?

მიკინი — მადას შემოსავალს ვუფარდებ. ფუფუნებას, როგორც ხედავ, არ მივსდევ.

ჟადოვი — ჰო, მარტოხელას, რა თქმა უნდა, გეყოფა.

მიკინი — შენც არ უნდა შეგერთო ცოლი. ცოლი რა ჩვენისთანა ხალხის საქმეა! ლატაკები ვართ და მშუცელი როგორმე თუ ამოვიყორეთ, ტანთ ჩავიცვით, სხვა რაღა გვინდა!

ჟადოვი — საქმე გათავებულა.

მიკინი — აბა, რას გევახარ? განა ასეთი იყავი წინათ? გეტყობა, დაძაბუნებულხარ. არა, ძმაო, ცოლის შერთვა ჩვენი

<sup>1</sup> მეორესა და მესამე აქტს შორის დაახლოებით ერთი წელიწადი გადის.

საქმე არ არის! ჩვენ მშრომელი ხალხი ვართ. (გრიგოლს ჩაი  
მოაქვს. მიკინი ასხამს). თუ მსახურობ, იმსახურე; შენს ქეიფ-  
ზე ცხოვრებას მერეც მოესწრები, თუ მოხერხდა.

ქადოვი — ახლა გვიანაა! რა ექნა თუ შემოვივარდა!

მიკინი — რას მიქვია შეგიყვარდა! განა სხვებს არ უყვართ?  
ეხ, ძმაო, მეც მიყვარდა, მაგრამ კი არ შემირთავს. შენც არ  
უნდა შეგერთო.

ქადოვი — ვითომ რატომ?

მიკინი — სულ უბრალოდ. უცოლო კაცი სამსახურის საქ-  
მეზე ფიქრობს, ცოლიანი კი ოჯახზე. ცოლიანი — სანდო არ  
არის.

ქადოვი — ეს კი სისულელეა.

მიკინი — არა, არ არის სისულელე. საყვარელი ქალის  
გულისთვის, არ ვიცი რას არ ჩავიდინდი. მაგრამ მსხვერპ-  
ლის გაღება ვარჩიე. არა, ძმაო, მიჩვენია ჩემშივე ჩავახშო  
ეს კანონიერი გრძნობა, ვიდრე სახიფათო ცთუნებას ვემონო.

ქადოვი — ალბათ ძალიან გაგიჭირდა, დაიტანჯე, ხომ?

მიკინი — რა თქმა უნდა! დათმობა, საერთოდ, ძნელია,  
განსაკუთრებით საყვარელი არსების; მით უმეტეს, როცა სი-  
ღარიბის მეტი არაფერი გაბრკოლებს. ძალიან გიყვარს ცოლი?

ქადოვი — გაგიჟებით.

მიკინი — ვერ არის კარგი! ჭკვიანია?

ქადოვი — მართალი გითხრა, არ ვიცი; ის კი ვიცი, რომ  
არაჩვეულებრივად გულუბრყვილოა და თანაც სათნო ადამი-  
ანი. ენაჭარტალა ვინმე რასმე თუ აწყენინებს, ისე ატირდება,  
რომ კაცს გული აუჩუყდება.

მიკინი — შენ ერთი გულახდილად შითხარი, ცხოვრებას  
როგორ უძლებ? წელიწადნახევარია რაც არ მინახავხარ.

ქადოვი — ჩემი ამბავი მეტად მოკლეა. როგორც გითხა-  
რი, სიყვარულით დაექორწინდი, ვითხოვე განუფითარებე-  
ლი ქალი, საზოგადოებრივ ცრუ ზნე-ჩვეულებაზე აღზრდი-  
ლი, როგორც ჩვენი ქალების უმრავლესობა. ვოცნებობდი,  
რომ მას აღზრდიდი, გარდაექმნიდი ჩვენი რწმენის შესაბა-  
მისად. აგერ წელიწადი გადის და...

მიკინი — გახდი რასმე?

ქადოვი — ვერაფერს. მისი აღზრდისთვის არც დრო მრჩება და არც ვიცი საქმეს როგორ მივუდგე. ისევ იმ თავისი ძველი შეხედულების მიხედვით ცხოვრობს; დავა-კამათში, ცხადია, მე უნდა დავუთმო. როგორც ხედავ, სახარბიელო მდგომარეობა არა მაქვს და ამ საქმეს ვერც გამოვასწორებ. ანგარიშს სულაც არ მიწევს და, საერთოდ, გონიერ კაცად არ მივაჩნევარ. მისი აზრით, ჭკვიანი კაცი უსათუოდ მდიდარი უნდა იყოს.

მიკინი — ეგ ვერ მოგსვლია კარგი საქმე! ცხოვრების პირობები როგორი გაქვს?

ქადოვი — დილიდან საღამომდე ვმუშაობ.

მიკინი — მაინც არ გყოფნის?

ქადოვი — ისე, ცხოვრება შეიძლება.

მიკინი — ცოლი რას ამბობს?

ქადოვი — ცოტათი იბუტება. ხან ტირის კიდევ. რას გავაწყობ!

მიკინი — მებრალეები. არა, ძმაო, ცოლის შერთვა ჩვენი საქმე არაა. ერთხელ მთელი წელიწადი უადგილოდ დავრჩი, შავ პურზე გადავდიოდი. ცოლშვილიანი რომ ვყოფილიყავ, რა მეშველებოდა?

### გამოსვლა მე-2

ივინიფე და დოსუჟევი

დოსუჟევი — (ცალკე მაგიდას მიუჯდება). გარსონ, არაყი! სიცოცხლის მალამო!

ვასილი — როგორს მიბრძანებთ?

დოსუჟევი — კნავის. ჩემი წოდების შესაფერი მისატანებელიც.

ვასილი — მესმის. (კარისკენ მიდის).

დოსუჟევი — ფრანგული მდოგვიც! გესმის? თორემ მაგ დუქანს დაგილუქავ! გრიგოლ, აუშვი არღანი!..

გრიგოლი — ახლავე! (არღანს მართავს).

მიკინი — აი, ის ალბათ უცოლოა!

დოსუჟევი — რას მომჩერებინახართ? მე აქ კარჩხანას ველოდები! გაიგეთ?

ქადოვი — რა კარჩხანას?

დოსუჟევი — წვერწითელას, უნდა შევახრამუნო. (ვასილის არაყი მოაქვს). ვასილი, თვალყური კარგად გეჭიროს, მოვათუ არა, შემატყობინე. (არლანი დაუკრავს). ბატონებო, გინახავთ როგორ ტირიან მთვრალი გერმანელები? (აჯავაფებს მტირალ გერმანელს. ქადოვი და მიკინი იცინიან. არლანი დადუმდება).

მიკინი — (ქადოს). მაშ, ასე... მშვიდობით! თუ მოვახერხე, გამოგივლი.

ქადოვი — მშვიდობით! (მიკინი მიდის).

ვასილი — (დოსუჟევს). გეახლათ!

დოსუჟევი — აქ დაუძახე.

ვასილი — არ მოდის, უკანა ოთახში გელოდებათ.

დოსუჟევი — (ქადოს). მორცხვობს. მშვიდობით! თუ აქ იქნებით, დავბრუნდები და ვიქუჭუქოთ. მომწონს თქვენი სახის გამომეტყველება. (გადის).

ქადოვი — (ვასილის). წასაკითხავი რამ მომიტანეთ.

ვასილი — (აწვდის წიგნს). ინებეთ. ეს სტატია წაიკითხეთ. დიდ მოწონებაშია. (ქადოვი კითხულობს. შემოდინა: იუსოვი, ბელოგუბოვი, 1 და 2 მოხელე).

### გამოსვლა მ-ვ

ქადოვი, იუსოვი, ბელოგუბოვი, 1 და 2 მოხელე

ბელოგუბოვი — აკიმ აკიმიჩ, იქ ხომ ვისადილეთ, ნება მიბოძეთ აქ ღვინით გაგვიმასპინძლდეთ, მუსიკასაც დავაკვრევენებ.

იუსოვი — აბა, შენ იცი, გაგვიმასპინძლდი, გაგვიმასპინძლდი.

ბელოგუბოვი — რას ინებებთ? შამპანურს?

იუსოვი — თვალით არ დამანახო...

ბელოგუბოვი — მაშ რეინვეინი იყოს?! დაბრძანდით, ბატონებო, დაბრძანდით. (ყველანი სხდებიან ბელოგუბოვის გარდა). ვასილი, ერთი რეინვეინი მოგვიტანე, მხოლოდ საზღვარგარეთული. (ვასილი გადის). ოჰო, გამარჯვება, ძამიკო! ხომ არ ისურვებთ ჩვენთან შენგოერთებას? (მიუახლოვდა ქადოს).

ქადოვი — გმადლობთ, არ ვსვამ.

ბელოგუბოვი — რა იქნება, ძამიკო, გვეცი პატივი! თუ ხათრი გაქვს!.. ერთადერთი ჭიქა... ჩვენ ხომ ნათესავეები ვართ! (ვასილის ღვინო მოაქვს. ბელოგუბოვი თავის მაგიდასთან მივა). დაასხი! (ვასილი ასხამს).

იუსოვი — მაშ, შენი სადღეგრძელო იყოს, ძმობილო! (აიღებს ჭიქას და დგება).

1 და 2 მოხელე — იდღეგრძელეთ! (აიღებენ ჭიქებს და დგებიან).

იუსოვი — (თითოთ ანიშნებს ბელოგუბოვზე). ამ შუბლში, ამ თავში ყოველთვის ვგრძნობდი და ვხედავდი მოხერხებული ცხოვრების ჭკუას. (ჭიქებს მიაჯახუნებენ). მოდი, გაკოცო! (კოცნიან ერთმანეთს).

ბელოგუბოვი — არა, ნება მიბოძეთ ხელზე გაკოცოთ.

იუსოვი — არ არის საჭირო. (ხელს მალავს. ჯდება).

ბელოგუბოვი — მე თქვენი წყალობით გავხდი კაცი.

1 და 2 მოხელე — ჭიქა გვიბოძეთ. (თავის ჭიქებს ბელოგუბოვის ჭიქაზე მიაჯახუნებენ, სვამენ, ისევ სხდებიან).

ბელოგუბოვი — (ჭიქას აავსებს და ლანგრით მიუტანს). ძამიკო, მეცი პატივი...

ჟადოვი — აკი გითხარით, არ ვსვამ მეთქი.

ბელოგუბოვი — უარი არ შეიძლება, ძამიკო, ძალიან მეწყინება.

ჟადოვი — ბოლოს და ბოლოს ყოველივე ეს მოსაწყენია.

ბელოგუბოვი — რაკი ღვინო არ გნებავთ, მაშ მიბრძანეთ რა მოგართვათ? რასაც ისურვებთ, ძამიკო, ყველაფერზე მზად ვარ სიამოვნებით.

ჟადოვი — არაფერი არ მინდა. თუ შეიძლება, მომასვენეთ... (კითხულობს).

ბელოგუბოვი — როგორც გენებოთ, მაგრამ იცოდეთ, მაწყენინებთ, ძამიკო! წრფელი გულით მინდოდა... (მიდის ისევ თავის მაგიდასთან).

იუსოვი — (ჩუმად). თავი დაანებე.

ბელოგუბოვი — (ჯდება). ბატონებო, მაშ თითო ჭიქა კიდევ! (დაასხამს). შაქარლამას ხომ არ ინებებთ? ვასილი, მოგვიტანე შაქარლამა, ოღონდ ბლომად. (ვასილი გადის).

იუსოვი — შენ დღეს ძალიან მოილხინე! გეტყობა, კარგად მოგიხვეტია.

ბელოგუბოვი — (ჯიბეზე უჩვენებს). გვარიანად! მერე ვის უნდა ვუმაღლოდე? თქვენ და მხოლოდ თქვენ.

იუსოვი — კარგად წამოგდებია.

ბელოგუბოვი — (ასიგნაციების დასტა ამოაქვს ჯიბიდან). ამას ხომ ხედავთ?

იუსოვი — კარგად გიცნობ. ვიცი, ნიშანს რომ არ ააცდენ.

ბელოგუბოვი — (ფულს ჯიბეში იღებს). მერე ვის უნდა ვუმაღლოდე მეტქი? თქვენ, ისევ თქვენ! ცხოვრების აზრს სხვა ვინ გამაგებინებდა? ვინ გამომიყვანა ხალხში, ასპარეზზე, თუ არა თქვენ? თქვენი ფრთის ქვეშ ბარტყივით გავიზარდე! სხვა ათ წელიწადშიც ვერ ჩასწვდებოდა ცხოვრების იმ საიდუმლოებასა და ხერხებს, რაც მე ოთხ წელიწადში შევითვისე. ყველაფერში თქვენ გბაძავთ, თქვენი მაგალითებით ვხელმძღვანელობ, ჩემი უბადრუკი ჭკუით მაშ რას გავხდები! ზოგჯერ ღვიძლ მამას არ ექნება გაღებულ იმდენი ამაგი თავის შვილზე, რამდენიც თქვენ ჩემთან მიგიძღვით. (თვალეზე ცრემლებს იშრობს).

იუსოვი — კეთილშობილი სულის კაცი ხარ, ყველაფერს გრძნობ და აფასებ; ზოგი კი ამას არად აგდებს. (ვასილის შაქარლამა შემოაქვს).

ბელოგუბოვი — აბა, რა ვიქნებოდი მე უთქვენოდ? რეგენი, სხვა არაფერი. დიახ! ახლა კი საზოგადოების ერთი წევრი მეცა ვარ, ყველა პატივს მცემს. ქუჩაში მივდივარ, ვაჭრები სალამს მაძღევენ, შინ მეპატიუებიან, არ იციან სად დამსვან ან როგორ გამიმასპინძლდნენ. ცოლსაც უყვარვარ. აბა რა საყვარელი იქნებოდა ჩემისთანა რეგენი სხვანაირად? ვასილი! კამფეტები თუ გაქვს, ოღონდ ძვირფასი.

ვასილი — დიახ, გვეშოვება.

ბელოგუბოვი — იციო, ცოლისთვის მინდა. (ვასილის). ჰოდა, ბლომად გაახვიე. ფული არ მშურს. რამდენიც გინდა გადამახდევინე! (ვასილი მიდის). დაიცა! ტკბილი ნამცხვრებიც იყოს!

იუსოვი — ეყოფა, თორემ გაგინებივრდება!

ბელოგუბოვი — არ შეიძლება. (ვასილის). ყველანაირი ტკბილეული შემხვიე, გესმის?

ვასილი — მესმის. (გადის).

ბელოგუბოვი — იცით, მიყვარს, ძალიან მიყვარს ჩემი ცოლი. რაც უფრო ვაამებ, ნით უფრო ვეყვარები. ხომ ასეა, აკიმ აკიმიჩი? აბა, გულახდილად მითხარით, რა ვარ მე მასთან შედარებით? ის განაულებული ქალია, დიახ-ხ! დღეს კაბა ვუყიდე... კი არ მიყიდია, გამყიდველს ისე გამოვართვი, ვუთხარი, მერე გავსწორდებით მეთქი.

იუსოვი — სულერთია. განა ყველაფერში ფული უნდა აძლიო! შეიძლება საქმე რაიმე გამოუტყვრეს და მაშინ გაუქვითავ. მთა მთას არ შეხვდება, თორემ კაცი კაცს არ ასცდება. (ვასილის შემოაქვს პარკით ნამცხვარი).

ბელოგუბოვი — ჩემ ქულში ჩადე. აბა, ბატონებო, თითო კიჭაც! (დაასხამს). ვასილი! ერთი ბოთლიც.

იუსოვი — გვეყოფა. არ არის საჭირო.

ბელოგუბოვი — არა, უკაცრავად, აქ მე ვარ განკარგულების მიმცემი და არა თქვენ! (ვასილი მიდის).

1 მოხელე — იცით ამას წინათ რა მოხდა? ჩვენი კანცელარიის ერთმა საძაგელმა გადამწერმა რა ოინი გააკეთა?! სასამართლოს განაჩენიდან ყალბი ასლი გადაიღო. საკვირველია, როგორ მოუვიდა თავში ასეთი აზრი! დამსწრეთ მაგიერ ხელი მოაწერა და მოსარჩელეს ისე გადასცა. საქმე კი მნიშვნელოვანი იყო, — ფულიანი. ასლი პატრონს ხელში როდი მისცა. დიდი ეშმაკი ვინმე ყოფილა! მხოლოდ დაანახვა და ფულიც ბლომად დასტყუა. შემდეგ ის კაცი სასამართლოში რომ მივიდა, საქმის ვითარება სულ სხვანაირი აღმოჩნდა.

ბელოგუბოვი — ეს უკვე საძაგლობაა! ეგეთი კაცი სამსახურიდან უნდა მოხსნან!

იუსოვი — სწორედ რომ მოსახსნელია! ეგეთი კაცი სახელს უტეხს პატიოსან მოხელეს. კაცს ფულს თუ გამოართმევ, საქმეც უნდა გაუკეთო. ისე ყოველივე ეს თაღლითობაა. ქრთამი იმნაირად უნდა აიღო, რომ არც მთხოვნელს ეწყინოს და გულს არც შენ დაგაკლდეს. კანონიერად უნდა

მოიქცე. ისე უნდა იცხოვრო, რომ მგელიც გაძღეს და ცხვარიც გადარჩეს. ფულს როდი უნდა დაეხარბო. ქათამი მარცვლობით კენკავს, მაგრამ ძღება. აბა ეს რა კაცობაა, დღეს არა ხვალ თავზე პატიმრის ქუდს დაგახურავენ.

ბ ე ლ ო გ უ ბ ო ვ ი — (ღვინოს დაუსხამს). მოგვმადლე, აკიმ აკიმიჩი! ერთი რამ მინდა გთხოვოთ და ნუ გამაწბილებთ! შუბლზე გეამბორებით და ისე გთხოვთ.

ი უ ს ო ვ ი — რას მახოვ?!

ბ ე ლ ო გ უ ბ ო ვ ი — გახსოვთ, გასულ კვირას „მოკირწყლული ქუჩის“ ჰანგს არღანზე რომ უკრავდით და თან ცეკვავდით?

ი უ ს ო ვ ი — ეს რამ მოგაგონა?

ბ ე ლ ო გ უ ბ ო ვ ი — გაგვაბედნიერეთ, აკიმ აკიმიჩი! იცეკვეთ, ამ სიამოვნებას ჩემს სიცოცხლეში ვერ დავივიწყებ.

ი უ ს ო ვ ი — კარგი, კარგი! ოღონდ იცოდეთ, რომ შენი ხათრით ვცეკვავ. უთხარ, დაუკრან.

ბ ე ლ ო გ უ ბ ო ვ ი — ჰეი, ვასილი! უთხარ, ერთი „მოკირწყლული ქუჩის“ ჰანგი დაუკრან და თან კართან დადექი, უცქირე, ვინმე არ შემოვიდეს.

ვ ა ს ი ლ ი — მესმის. (არღანს მართავს).

ი უ ს ო ვ ი — (ქადოვზე ანიშნებს). ეგერ ის რომ ზის! არ მიყვარს. შეიძლება უხიაგი რამ იფიქროს.

ბ ე ლ ო გ უ ბ ო ვ ი — (ქადოვთან ჯდება). ძამიკო! ნათესავურად ვიყოთ ერთმანეთთან. შუბლი გახსენი, თორემ აკიმ აკიმიჩი ერცხვინება, თავს უხერხულად გრძნობს.

ქ ა დ ო ვ ი — რა ერცხვინება?

ბ ე ლ ო გ უ ბ ო ვ ი — რა და მათ ცეკვა მოისურვებს. ხანდახან გართობაც ხომ საჭიროა, ძამიკო, ჯაფის შემდეგ. სულ ხომ არ უნდა ვიმუშაოთ! რა არის მერე ამაში საძრახისი! ეს უწყინარი სიამოვნება ზიანს არავის არ მიაყენებს.

ქ ა დ ო ვ ი — იცეკვეთ რამდენიც გინდათ, მე ხელს არ გიშლით.

ბ ე ლ ო გ უ ბ ო ვ ი — (იუსოვს). რა უშავს, აკიმ აკიმიჩი, ეს ხომ ჩვენი ნათესავია!

ვ ა ს ი ლ ი — მიბრძანებთ დაუკრა?



იუსოვი — აუშვი! (არღანი „მოკირწყლული ქუჩის“ ჰანგს უკრავს. იუსოვი ცეკვავს, ცეკვის დამთავრების შემდეგ ჟადოვის გარდა ყველანი ტაშს უკრავენ).

ბელოგუბოვი — არა, უამისოდ ახლა არ შეიძლება! სამპანური უნდა დავლიოთ! ვასილი, ერთი ბოთლი სამპანური! ბეგრია გადასახდელი?

ვასილი — (ანგარიშობს სათვლელზე). თხუთმეტი მანეთი.

ბელოგუბოვი — მიიღე! (აძლევს). ესეც შენ, — ათი შაური.

ვასილი — უმორჩილესი მადლობა. (გადის).

იუსოვი — (ხმამაღლა). ახალგაზრდებო, ძუძუმწოვრებო, ვინ იცის, იქნებ არც მოგწონთ, დამცინით კიდევ მოხუცებულ კაცს!

1 მოხელე — როგორ შეიძლება, აკიმ აკიმიჩ, არც კი ვიცით მადლობა როგორ გადაგიხადოთ.

2 მოხელე — დიახ! დიახ!

იუსოვი — მე უფლება მაქვს ვიცეკვო! რაც ბუნებას ადამიანისთვის დაუწესებია, ყველაფერი სისრულეში მომიყვანია. გულდამშვიდებული ვარ. არავითარი დარდი არ მაწუხებს, ოჯახიც უზრუნველყავი და ახლა შემიძლია ვიცეკვო. ღვთის გაჩენილ ქვეყანას სიხარულით ვუცქერი! ბელურას დავინახავ — მიხარია, ყვავილს დავინახავ — ისიც მიხარია; ყველაფერში დიდ სიბრძნეს ვხედავ. (ვასილის მოაქვს ბოთლი, გახსნის და იუსოვის ლაპარაკის დროს ასწავს). მახსოვს ჩემი წარსული სიღარიბე და ამიტომ არც მათხოვრებს ვივიწყებ. სხვებს როდი ვკიცხავ, როგორც ეს განათლებულ ძუძუმწოვრებს სჩვევიათ. აბა ვინ უნდა გავკიცხოთ, როცა თვითონაც არ ვიცით ხვალ რა ვიქნებით! დღეს შენ ლოთს დასცინე, არა? ხვალ, შეიძლება, შენ თვითონ გალოთდე. დღეს ქურდი გაკიცხე, არა? ხვალ, შეიძლება, შენ თვითონ მოიპარო. ვინ უწყის როგორია ადამიანის ბედის განაჩენი, ვისთვის რა არის განუუთვნილი? ვიცით მხოლოდ ერთი რამ, რომ საიქიოს ყველანი წაველთ. აი, შენ დღეს ცეკვის გამო (თვალთ ჟადოვს ანიშნებს) დამცინე; ხვალ, შეიძლება, შენ ჩემზე უფრო აცეკვდე. ადვილი მოსალოდნელია (თავს ჟადოვისკენ იხრებს) ხელი მოწყალებისათვისაც გაიმვირო. აი, სადამდე მივყავართ ამპარტავნობას, ქედმაღლობას,

ყოყოჩობას! მე სულიერი კმაყოფილების გამო ვცეკვავდი. გული მშვიდად მაქვს და სულს უხარია! არავისი არ მეზინია! თუ გინდათ, მოედანზე მთელი ხალხის წინაშე ვიცეკვებ. გამვლელი იტყვის: „კაცი ესე როკავს სულისა თვისისა სიწმინდისა გამოვო“ და თავის გზას განაგრძობს.

ბ ე ლ ო გ უ ბ ო ვ ი — (ასწევს სასმისს). ბატონებო! აკიმ აკიმიჩმა იღღეგრძელოს! ვაშაა!

1 და 2 მ ო ხ ე ლ ე — ვაშაა!

ბ ე ლ ო გ უ ბ ო ვ ი — აკიმ აკიმიჩ, ერთხელ მაინც გააბედნიერეთ ჩემი ოჯახი თქვენის მობრძანებით. მე და ჩემი ცოლი გამოუცდელნი ვართ, დაგვარიგეთ, ჭკუა გვასწავლეთ, როგორ უნდა ვიცხოვროთ კანონიერების ფარგლებში და ყველა მადლიერი გვყავდეს. ქვის კაცი რომ იყოს, თქვენი საუბარი გულს იმასაც აუტოკებს.

ი უ ს ო ვ ი — შემოვივლი როგორმე. (გახეთს დასწვდება).

ბ ე ლ ო გ უ ბ ო ვ ი — (ავსებს ჭიქას და აწვდის ჟადოვს). არა, ძამიკო, ეგრე ადვილად არ ჩამოგეხსნები.

ჟ ა დ ო ვ ი — თავი დამანებეთ! ხელს ნუ მიშლით. ხომ ხედავთ, ვკითხულობ.

ბ ე ლ ო გ უ ბ ო ვ ი — (ჯდება მახლობლად). ძამიკო, ტყუილ-უბრალოდ მიწყრებით. რა გვაქვს ერთმანეთთან სამტრო, ძამიკო? დალიეთ! ვიცხოვროთ ნათესაფურად.

ჟ ა დ ო ვ ი — ჩვენი ნათესაფურად ცხოვრება შეუძლებელია.

ბ ე ლ ო გ უ ბ ო ვ ი — რატომ, ძამიკო?

ჟ ა დ ო ვ ი — ერთმანეთის ფარდნი არა ვართ.

ბ ე ლ ო გ უ ბ ო ვ ი — სწორია. ეს იმისგან არის დამოკიდებული, თუ ვის როგორ გაუჭრის ბედი. მე ახლა ბედნიერად ვცხოვრობ, კმაყოფილი ვარ, თქვენ კი ღარიბი ხართ. ეს ასეა, მაგრამ მე ამით როდი ვყოყოჩობ. ყველაფერი ბედი. მე ახლა მთელ ოჯახს ვინახავ, სიღედრსაც. ვიცი, ძამიკო, ვიცი, რომ გიჭირთ; ფული ხომ არ გინდათ? ნუ გეწყინებათ და შეძლებისამებრ დაგეხმარებით, ისე ჩავთვლი, როგორც ჩემს პატივისცემას.

ჟ ა დ ო ვ ი — ფულის შემოძლევა რამ მოგაფიქრათ?

ბ ე ლ ო გ უ ბ ო ვ ი — ძამიკო, უზრუნველყოფილი კაცი ვარ

და ადამიანური მოვალეობა მიკარნახებს, რომ დაგეხმაროთ. გულის ტკივილით ვუცქერ თქვენს სიღარიბეს, ძამიკო!

ქაღოვი — თქვენი რა ძამიკო ვარ! თავი დამანებეთ!

ბელოგუბოვი — როგორც გენებოთ! წრფელი გულით ვთავაზობდით. მე, ძამიკო, გულღრძო კაცი როდი ვარ. გული მეთუთქება თქვენ და თქვენ ცოლს ასეთ დღეში რომ გხედავთ. (მიდის იუსოვთან).

იუსოვი — (გაზეთს იქით მიადებს). ხედავთ რას სწერენ ახლა! არაფერი ჭკუის სასწავლი! (დაუსხამს ბელოგუბოვს). აბა დასცალე და წავიდეთ აქედან.

ბელოგუბოვი — (დაცლის). წავიდეთ! (ვასილი და გრიგოლი შინელებს აწვდიან).

ვასილი — (გაუწვდის ორ პარკს). აი, ინებეთ!

ბელოგუბოვი — ეს ცოლს. რომ იცოდეთ, როგორ მიყვარს. (გადიან. შემოდის დოსუჟევი).

#### გამოსვლა მე-4

ქაღოვი და დოსუჟევი

დოსუჟევი — «ყორნების ხროვა გადაფრენილა!»

ქაღოვი — თქვენ მართალი ხართ.

დოსუჟევი — გავსწიოთ მარიამის ქალაში.

ქაღოვი — არ შემიძლია.

დოსუჟევი — რა მიზეზით? ოჯახი? თუ ბავშვები უნდა დააძინოთ?

ქაღოვი — ბავშვები არა, მაგრამ ცოლი კი მელოდება.

დოსუჟევი — დიდიხანია არ გინახავთ?

ქაღოვი — როგორ თუ დიდიხანია! ამ დილის შემდეგ.

დოსუჟევი — ეს რა სათქმელია. მე მეგონა, სამი დღე მაინც იქნება, რაც არ გინახავთ მეთქი. (ქაღოვი სახეში ჩასაცხრის). ეგრე რას მიცქერიოთ? ვიცი, რასაც ფიქრობთ ჩემზე. თუ ისეთი ფრანტი გგონივართ, ახლა აქედან რომ გავიდნენ, ძალიან ცდებით. ისინი ლომის ქურქში გახვეული ვირებიან. ქურქით ქვეყანას აშინებენ, სხვა არაფრით.

ქაღოვი — უნდა გამოგიტყდეთ და ჯერ ვერ მივმხდარვარ რა კაცი ხართ.

დოსუჟევი — მაგას ახლავე მოგახსენებთ. უპირველეს ყოვლისა, მე ერთი მხიარული კაცი ვარ, ხოლო შემდეგ შესანიშნავი იურისტი. თქვენ, როგორც ვხედავ, სწავლული კაცი უნდა იყოთ. მეც მისწავლია. სამსახურში მცირე ჯამაგირით მიმსახურია. ქრთამის აღება არ შემეძლო, სინიღისი ნებას არ მაძლევდა, ცხოვრება კი გინდა. ჰოდა, ასეთ ხერხს მივმართე: დავიწყე ადვოკატობა, ვაჭრებს გულისამაჩუყებელ არზებს ვუწერ. მაგრამ რახან ქალაში არ მივდივართ, აქ მინც დავლიოთ. ვასილი, აბა არაყი! (ვასილი გადის).

ქადოვი — მე არაყს არ ვსვამ.

დოსუჟევი — სადაური ხართ? ვერ დავიჯერებ! ყოველ შემთხვევაში, ჩემთან შეიძლება. ჰოდა, დავიწყე ცრემლის მომგვრელი, გულისამაჩუყებელი არზების წერა. ვერ წარმოიდგენთ რა ხალხია ისინი! ახლავე გიანზობთ. (შემოდის ვასილი). ორი დაასხი და თან მთელი ბოთლის ფასი აიღე. (ფულს იხდის).

ქადოვი — ჩემგან ჩაის ფასი აიღეთ. (ფულს იხდის. ვასილი გადის).

დოსუჟევი — დავლიოთ.

ქადოვი — ინებეთ, თქვენი ხატრით, თორემ სულ არ ვსვამ. (ტიჩებს მიაჯახუნებენ და სვამენ. დოსუჟევი კიდევ დაასხამს).

დოსუჟევი — ვთქვათ, იმ ბლენძ ვაჭარს თხოვნა დაუწერე და ფული ცოტა გადაახდევინე. იცით რას გიზამს? აბუჩად ავიგდებს, ზურგზე მოგაჯდება. გეუბნები, გაგამასხარავენ: „აი, შე ჯღაბნიავე, აჰა, არაყისთვის ესეც გეყოფათ!“ საშინლად შემეჯავრდნენ, ველარ ვიტან მათ! დავლიოთ! „მსმელიც კვდება, არამსმელიც, მაშ ჯობს დავლიოთ და ისე მოვკვდეთ“, (სვამენ). ჰოდა, დავიწყე მათ გემოვნებაზე წერა. მაგალითად. თამასუქია გასანაღდებლად წარსადგენი. ამის დაწერას სულ რაღაც ათიოდ ბჭკარი უნდა. მე კი ოთხიოდ თაბახს გადავაჭრელებ. ვიწყებ ასე: „ვინაიდან მე, თქვენი უმორჩილესი მონა, უაღრესად დატვირთულ-დაკაპანებული ვარ წვრილი ცოლ-შვილით“. და როცა ყოველივე ამ იწილო-ბიწილოს დავწერ და ასე კოხტად მოვაჩუქურთმებ და წავუკითხავ, რა თქმა უნდა, ატირდება. მას მთელი ოჯახი, დიდი და პატარა, თან აპყვება და ისეთი ოხვრა-ქვითინი გაიმართება, თითქოს

წინ მიცვალებული ესვენოთ. შენ გუნებაში გეცინება, ის კი ფულს ბლომად ჩაგიჯიბავს, შენდამი რიღისა და პატივისცემის გრძნობითაც განიმსჭვალება, უმდაბლეს სალამს გიძღვნის, თასმასავით ისე დაღებება, თუ გინდა მისგან მერე თოკი გრინებ. მათი ჩასუქებული სიდედრები და ბებები შენთვის მზითვიან ქალის ძებნას იწყებენ და რაკი ერთხელ მოეწონე, შენთვის მერე სულსაც აღარ დაიშურებენ. დავლიოთ!

ქაღოვი — კმარა. მეყოფა!

დოსუჟევი — ჩემი სადღეგრძელოა!

ქაღოვი — რაკი თქვენი სადღეგრძელოა, რა გაეწყობა. (სვამენ).

დოსუჟევი — დიდი ნებისყოფა გინდა კაცს, რომ მათგან ქრთამი არ აიღო. პატიოსან მოხელეს დასცინიან, მზად არიან დაამცირონ, რადგან მათთვის ხელსაყრელი არაა ასეთი მოხელეები. კაცი აქ კაჟი უნდა იყო, კაჟი! მათთან საკადრის ქცევას რა დიდი ვაჟკაცობა უნდა! სულით-ხორცამდე უნდა გაატყავო. სამწუხაროდ, ეს არ შემოძლია. ფულს მხოლოდ უმეცრებაში ვახდევინებ და იმასაც მაშინვე არაყში ვხარჯავ. ეხ! რამ შეგართევინათ ცოლი! დავლიოთ. თქვენი სახელი?

ქაღოვი — ვასილი!

დოსუჟევი — სენიები ვყოფილვართ! დავლიოთ, ვასია! (სვამენ). გატყობთ, რომ კარგი კაცი უნდა იყოთ!

ქაღოვი — აბა მე რა სახსენებელი ვარ! ბალდი ვარ. ცხოვრებაზე იოტის ოდენა წარმოდგენაც არა მაქვს! სრულიად ახალი ამბავია ჩემთვის, რაც თქვენგან მესმის. ძალიან მიმძინს! არ ვიცი როგორ ავიტან! ჩემს ირგვლივ სისაძაგლე და გახრწნილებათ! ძალა არ მყოფნის. მაშ რისთვის გვასწავლეს, რისთვის?

დოსუჟევი — დალიე, ჯავრს გაგიქარებებს!

ქაღოვი — არა, არა! (თავს ჩაჰკიდებს).

დოსუჟევი — მაშ არ მოდიხარ ჩემთან?!

ქაღოვი — ვერ წამოვალ! რად დამალევინეთ? ეს რა მიყავით?

დოსუჟევი — მაშ მშვიდობით! ვიცნობდეთ ერთმანეთს! დაითვერი, ძმაო? (ხელს მაგრად ართმევს). ვასილი, მოსასხამი!

(მოსასხამს მოიხურავს). მკაცრად ნუ განმსჯი! ერთი ხელიდან წასული კაცი ვარ! ეცადე ჩემზე უკეთესი იყო, თუ შესძლებ! (კარისკენ მიდის, მობრუნდება). ჰო, მართლა, აი კიდეც რა უნდა გირჩიო: ვინიცობაა, ამ ჩემი ბედნიერი ხელით სმას მიეჩვიო, ღვინო არ დალიო, არაყი სვი. ღვინო ხელს არ მოგცემს. არაყი, ჩემო ძმაო, ყველაფერს სჯობია, დარდსაც გაგიქარებებს და იაფიცაა! Adieu! (გადის).

ქადოვი — არა! სმა არ არის კარგი, არა! არაფერიც არ გამიქარვა, პირიქით, უფრო დამაღონა! (ჩაფიქრდა. ვასილი მგორე დარბაზიდან მონადიმეთა მოთხოვნით არღანს აუშვებს. არღანი უკრავს „ლუჩინუშკას“. ქადოვი მღერის). „კვარო, კვარო, არყის ხისაო.“

ვასილი — გთხოვთ! არა, ეგ როდი გეკადრებათ! უსაქციელობაა! (ქადოვი შინელს მაშინაღურად ჩაიცვამს და გადის).

## მოქმედება მეოთხე

სცენა წარმოადგენს მეტად ღარიბულ ოთახს. მარჯვნივ ფანჯარა, ფანჯარასთან მაგიდა, მარცხენა მხარეს სარკე.

### გამოსვლა 1-ლი

პოლინა—(მარტოა, ფანჯარაში იცქირება). როგორ მომწყინდა! პირდაპირ გული გამიწყალდა! (მღერის). „დედიკო საყვარელო, მზეო ამომავალო! შეიბრაღე ღვიძლი შვილი, თავი არ მოაკვლევინო“. (ივინის). რამ მომაგონა ეს სიმღერა! (კვლავ ჩაფიქრდება). არ ვიცი, სად გავექცე ამ მოწყენილობას. მოდი ვიძკითხაო?! ეს ადვილი საქმეა, შენ სხვა სთქვი, თორემ ამას ახლავე შევისრულებ. (მაგიდის უჯრიდან სათამაშო ქალაღს იღებს) როგორ მინდა ვინმეს ვესაუბრო. ვინმე მაინც მოვიდოდეს, როგორ გამიხარდებოდა, უცებ გავმხიარულდებოდი, თორემ ეს რას გავს? იჯექ შინ მარტო, სულ მარტო... მერე და როგორ მიყვარს მასლაათი! ღედასთან შინ იმდენს ვქაქანებდით, რომ ხშირად თავს ისე დაგვათენდებოდა, ვერც კი გავიგებდით. ახლა ვის ვესაუბრო? მოდი ჩემ დასთან გადავირბენ. არა, გვიანაა. რა სულელი ვარ, რატომ აღრე ვერ მოვიფიქრე. (მღერის). „დედიკო საყვარელო...“ ჟი, მკითხაობა აკი დამავიწყდა... რა ჩავუთქვა? აი, რას ჩავუთქვამ, — მექნება თუ არა ახალი ქუდი? (გაშლის ქალაღს). მექნება, მექნება... (ტაშს შემოკრავს. ჩაფიქრდება და შემდგ მღერის). „დედიკო საყვარელო, მზეო ამომავალო! შეიბრაღე ღვიძლი შვილი, თავი არ მოაკვლევინო“. (შემოდის იულინკა).

## გამოსვლა მე-2

პოლინა და იულინკა

პოლინა — გამარჯვება, გამარჯვება! (ჰკოცნიან ერთმანეთს) როგორ გამიხარდა შენი მოსვლა. ქული მოიხადე!

იულინკა — არა, მეჩქარება, ერთი წუთით შემოვირბინე.

პოლინა — ოხ, რა კარგად გაცვია, ჩემო დაიკო!

იულინკა — მე ახლა არაფერს ვიკლებ, რაც კი რამ არის კარგი და საზღვარგარეთული, ყველაფერს ვყიდულობ.

პოლინა — რა ბედნიერი ხარ, იულინკა!

იულინკა — დიახ, შემძლია ვთქვა, რომ მართლაც ბედნიერი ვარ. შენ როგორღა ცხოვრობ, პოლინა? საშინელებაა! დღეს ცხოვრებას სულ სხვა ელფერი აქვს. ყველამ შეიგრძნო ფუფუნებით ცხოვრების აუცილებლობა.

პოლინა — მერე მე რა ვქნა? განა ჩემი ბრალია?

იულინკა — იცი! გუშინ ბალში ვიყავით. ისეთი მხიარულება იყო, ისეთი, რომ თავი სიხმარში მეგონა. ვილაც ვაჭარმა ვახშამზე დაგვპატიჟა, შამპანურით, სხვადასხვა ხილით გაგვიმასპინძლდა.

პოლინა — მე კი სულ მარტო ვარ, მოწყენილობისაგან გული მიწვრილდება.

იულინკა — პოლინა, იცი, მე ახლა სულ გამოვიცვალე. ვერ წარმოიდგენ, ფული და კარგი ცხოვრება როგორ აკეთილშობილებს ადამიანს. ოჯახში არაფერს არ ვაკეთებ, თავის დამცირებად მიმაჩნია. ჩაცმა-დახურვისა და სიკოხტავის მეტს არაფერს მივდევ. შენ? შენ კი? ეს საშინელებაა! მითხარ, გეთაყვა, ნეტავ რას ფიქრობს ის შენი ქმარი?

პოლინა — თქვენთანაც კი არ მიშვებს. შინ იჯექ, საქმე გაიჩინეო.

იულინკა — რა სისულელეა! თავი ჭკვიან კაცად მოაქვს და დღევანდელი ცხოვრების ელფერს კი ვერ გრძნობს. არ იცის, რომ ადამიანი საზოგადოებისათვის არის შექმნილი.

პოლინა — რაო, როგორ ამბობ?

იულინკა — ადამიანი რომ საზოგადოებისათვის არის შექმნილი, როგორ არ იცის! ეს ამბავი დღეს ყველას ესმის.

პოლინა — ძალიან კარგი, ამას უსათუოდ ვეტყვი ჩემ ქმარს.



იულინკა — მოდი, წაეჩხუბე!

პოლინა — განა არ მიჩხუბნია? უაზრობაა! მუდამ ის გამოდის მართალი, მე კი მტყუანი.

იულინკა — როგორ ატყობ, უყვარხარ?

პოლინა — ძალიან.

იულინკა — შენ?

პოლინა — მეც მიყვარს.

იულინკა — ჰოდა, მაშ ყველაფერი შენი ბრალი ყოფილა, ჩემო კარგო. ალერსით მამაკაცთან ვერაფერს გახდები. შენ მას ელამუნები და ისიც გულხელდაკრეფილი ზის, არც შენ გარგია და არც თავის თავს.

პოლინა — ის ბევრს მუშაობს.

იულინკა — შერე რა ყრია მის მუშაობაში? აი, ჩემი ქმარი, ბევრს არ მუშაობს, მაგრამ, ხედავ როგორ ვცხოვრობთ? მართალი გითხრა, ონისიმ პანფილიჩი ოჯახისათვის დაუფასებელი კაცია, ნამდვილი მეოჯახეა! რა გინდა, რომ არ გვაქვს, ნეტავ განახვა. და შერე რა მოკლე დროში! საიდან რას არ შოულობს! შენი ქმარი კი! რა არის ეს? პირდაპირ სამარცხვინოდ ცხოვრობთ.

პოლინა — სულ ეგრე მელაპარაკება: იჯექ, საქმეს მოჰკიდე ხელი და სხვისი ნურაფერი გშურსო. დადგება დრო და ჩვენც კარგად ვიცხოვრებთო.

იულინკა — შერე როდისლა? მაგის ლოდინში დაბერდები კიდევ. შერე რა თავში ჩხლი! შეუძლებელია ამის ატანა.

პოლინა — კი მაგრამ, რა უნდა ვქნა?

იულინკა — ის გულქვა ადამიანია. შენც ბევრს ნუ ელოლიავები: უთხარი არ მიყვარხარ-თქო, ან კიდევ უკეთესი, უთხარი, რომ მოგბეზრდა ასეთი ცხოვრება, სტოვებ მას და საცხოვრებლად დედასთან გადადიხარ. უთხარ, სამუდამოდ დაივიწყოს შენი სახელი. დედას კი მე გავაფრთხილებ.

პოლინა — კარგია, კარგია! ამას საუცხოოდ შევასრულებ.

იულინკა — შესძლებ?

პოლინა — რა თქმა უნდა! რა მდგომარეობაც არ უნდა იყოს, ისე გავათამაშებ, რომ მსახიობსაც შეშურდება. ჯერ

ერთი ის, რომ ამას ბავშვობიდანვე მიჩვეული ვარ. ხშირად მარტო რომ ვრჩები, ჩემს თავს ველაპარაკები და კარგადაც გავიწაფე. მაგრამ, ცოტა არ იყოს, მეცოდება.

იულინკა — შენც ნუ გეცოდება! იცი, პოლინა, ქუდი მოგიტანე. (მუყაოს კოლოფიდან ქუდს ამოიღებს).

პოლინა — უჰ, რა მშვენიერია! მადლობელი ვარ, დაიკო, მადლობელი. (კოცნის).

იულინკა — თორემ ის შენი ქუდი დაძველდა, აღარ ვარგა.

პოლინა — პირდაპირ საძაგლობაა! მისი დახურვა და ქუჩაში გასვლა უხერხულია. ეხ, როგორ გავაბრაზებ ჩემ ქმარს, რომ იცოდე. იცი, რას ვეტყვი? უცხომ მიყიდა და შენ კი ველარ მიხვდი-თქო!

იულინკა — რა გაეწყობა, პოლინკა, როგორც შეეძლებოთ, ისე დაგეხმარებით. ოღონდ გთხოვ, ყურს ნუ დაუგდებ იმ შენ ქმარს. კარგად შეაგნებინე, რომ მუქთად არ გეყვარება. აბა დაუფიქრდი, შე სულელო, ქმარი მუქთად აბა რათ უნდა გიყვარდეს, ჰა? პირდაპირ უცნაურია! ისე უნდა გამალალო, რომ საზოგადოებას თვალს ბრწყინვალეებით ვჭრიდე და აი მაშინ შეგიყვარებ-თქო. ის თავისი ჟინიანობით გაუბედურებს და შენ კი ხმასაც არ იღებ. სცადოს, იმ თავის ბიძას თხოვოს და ისიც ისეთსავე შემოსავლიან ადგილს მიიღებს, როგორც ჩემს ქმარს უშოვა.

პოლინა — ამას იქით მე ვიცი რასაც ვიზამ, გასაქანს არ მივცემ.

იულინკა — აბა ერთი წარმოიდგინე, შენისთანა მშვენიერი ქალი, კობტად, გემოვნებით ჩაცმული ელვარე შუქით განათებულ თეატრში ზის. იცი, რა მოხდება? ლორნეტებით მაცქერალ მამაკაცებს თვალი შენის ეშხით დაებრიცებათ.

პოლინა — ეგრე ნუ მელაპარაკები, იულინკა, თორემ ვიტყვებ.

იულინკა — აი შენ ფული. (ამოიღებს საფულედან). თუ რაზე დაგჭირდეს, საქმეს უქმროდაც მოაგვარებ. ჩვენ ახლა საკმაო შეძლება გვაქვს და გადავწყვიტეთ ახლობლებსაც დავეხმაროთ.

პოლინა — მადლობელი ვარ, დაიკო! მაგრამ ის რომ გაჯავრდეს!

იულინკა — დიდი ამბავი! იმას რას უყურებ! ღვიძლი და ვარ, გარეშე ვინმე ხომ არა ვარ. მაშ მისი წყალობით შინ მშვიერი ხომ არ იჯდომები! მშვიდობით, პოლინა!

პოლინა — მშვიდობით, დაიკო. (კარამდე მიაცილებს, იულინკა გადის).

### გამოსვლა მ-3

პოლინა (მარტო)

პოლინა — რა ჭკვიანია ჩვენი იულინკა! მე კი ბრიყვი ვარ, ბრიყვი! (ქუდის კოლოფს თვალს მოჰკრავს). ახალი ქუდი! ახალი ქუდი! (ტაშს შემოჰკრავს). ერთ კვირას მაინც გამყვება ეს სიხარული, თუ ქმარმა არ ჩამამწარა. (მღერის) „დედიკო საყვარელო“... და სხვა. (წემოდის კუკუშკინა).

### გამოსვლა მ-4

პოლინა და კუკუშკინა

კუკუშკინა — სიმღერის მეტი შენ სხვა არა გაგონდება რა.

პოლინა — გამარჯვება, დედიკო! ეს მოწყენილობისაა...

კუკუშკინა — შენთან შემოვლაც მეზარება.

პოლინა — რატომ, დედიკო?

კუკუშკინა — მეზიზღება, ქალბატონო, თქვენთან მოსვლა საძაგლობაა. ახლაც გზად მივდიოდი და სხვათა შორის შემოვიარე. პირდაპირ ვერ ვიტან ამ სიღარიბეს, სილატაკეს... ფუი... მეზიზღება ყოველივე ამის დანახვა. ჩემთან სისუფთავეა, წესრიგი, აქ კი, — რასა ჰგავს, რა არის ეს? ნამდვილი სოფლური ქოხია! საძაგლობა!

პოლინა — ვინ არის მერე დამნაშავე?

კუკუშკინა — ვინა და არიან ქვეყნად ისეთი არამზადები! თუმც არ ვამტყუნებ. მისი იმედი მე არასოდეს არ მქონია. შენ რაღას სდუმხარ, ქალბატონო? განა სულ არ ჩაგჩიჩინებდი: ქმარს საშველი არ მისცე, არ მოასვენო მეტქი? უთხარ, ფული, ფული მჭირდება, სადაც გინდა და როგორც გინდა ისე იშოვე-თქო! ოჯახში უამრავი საჭიროებაა-თქო. დედაჩემი დიდი გემოვნების ქალია და შესაფერისად უნდა მივიღო-თქო. გეტყვის: არა მაქვს! შენც—მე რა მესაქმება-თქო, თუ გინდა

იქურდე, ფული კი გაპიჩინე-თქო. მაშ რას მთხოულობდი-თქო? ცოლის შერთვა თუ მოახერხე, მას შესაფერისი შენახვაც უნდა-თქო. დილიდან დაღამებამდე ეგრე ეჩიჩინე, შეიძლება გონს მოვიდეს. შენ ადგილას რომ ვიყო, სალაპარაკო მასთან სხვა არაფერი მექნებოდა.

პოლინა — რა ვქნა, დედიკო, ეგეთი მკაცრი რომ არა ვარ.

კუკუშკინა — საქმე სიმკაცრე კი არა, შენი სიბრიყვეა. ძალიან გაგინებინებია და მიგიშვია თავის ნებაზე. განა არ იცი, რომ ეს მამაკაცს აფუჭებს? ეალერსები, ელოლიავეები, გიხარია, რომ გათხოვება გელირსა და ცხოვრებაზე კი არ ფიქრობ. უჭკუო! ნეტავ ეგეთი ვის დაემსგავსე! ჩვენს გვარში ყველანი გულგრილად ეკიდებიან ქმრებს: ჩაცმა-დახურვაზე და კოხტობაზე ფიქრობენ. არა, ქმარსაც უნდა მოუალერსო, მაგრამ თან იმასაც უნდა გრძნობდეს, თუ რად ეალერსები. აი, იულინკა, როცა ქმარი რაიმე საჩუქარს მოუტანს, ისე ჩაეკონება გულში, გეგონება ჩააკვდაო. აკი ამიტომაც თითქმის ყოველ ცისმარე დღეს მოაქვს საჩუქარი. თუ ხელცარიელი მოვიდა, ტუჩს აუბზეკს და ორი დღით მაინც გაებუტება. შენ კი, ჩამოეკიდე კისერზე და ელოლიავე! იმასაც ეს უნდა! გრცხვენოდეს!

პოლინა — ვგრძნობ, რომ ბრიყვი ვარ; მეალერსება და, რა ვქნა, მეც მიხარია.

კუკუშკინა — შენ დამაცადე, ჩვენ ორთავენი ზურგზე მოვაჯდეთ და ნახავ თუ კარგად არ გაიხედნოს. მთავარია, არ გაანებვირო, თავს არ გაუფიდეს და მის ლაქლაქს ყური არ უკდო. მან თავისი თქვას, შენ შენი თქვი და არამც და არამც არ მოეშვა, გულშემოყრამდე ედავე. თუ დაუთმე, იცოდე, მერე ზურგზე მოვაჯდება. ქედმაღლობა და ამპარტავნობა უნდა მოაშლევინო. როგორ ატყობ, რას ფიქრობს მომავალზე?

პოლინა — აბა რა ვიცი.

კუკუშკინა — ახლა რაღაც სულელური ფილოსოფიაა გავრცელებული, ამას წინათ ერთ ოჯახში ყური მოგკარი. ზოგიერთი ვაჟბატონები დარწმუნდნენ, რომ ყველაზე ჭკვიანები ისინი არიან, ხოლო დანარჩენები კი უჭკუონი და მექრთამენი. პირწავარდნილი სისულელეა! აპობენ, ქრთამს არ ავიღებთ, მარტო-

ოდენ ჯამაგირით უნდა ვიცხოვროთო. აბა მითხარი, რას ემსგავსება მაშინ ჩვენი ცხოვრება, ჰა? ქალიშვილები ვილაზე უნდა გავათხოვოთ? ასე თუ იქნა, სხვა სიკეთის გარდა, გადაშენებაც მოგველის. ქრთამი! რის ქრთამი? ეს სიტყვა მათ კეთილი ხალხის შეურაცხყოფისათვის გამოიგონეს. ეს ქრთამი კი არა, მადლობის ნიშანია. კაცი მადლობის ნიშნად პატივს გცემს და, ერთი მითხარ, ხომ ვერ აწყენინებ? თუ უცოლშვილო კაცი ხარ, როგორც გინდა, ისე მოიქეცი. თუ გინდა ჯამაგირსაც სულ ნუ აიღებ, შენი ნებაა! მაგრამ რაკი ცოლი შეირთე, კეთილ ინებე და პცხოვრე კიდევ და ნურც ქალის მშობლებს ატყუებ. ოჰ, რად აწამებენ ასე საშინალოდ მშობლების გულს! ვიღაც ნახევრად შეშლილი შეირთავს სათუთად აღზრდილ ქალიშვილს, რომელიც ბავშვობიდანვე ჩასწვდა ცხოვრების აზრს და რომელსაც მშობლები თავდაუზოგავად ზრდიდნენ სულ სხვა წესის მიხედვით, ცდილობდნენ დაეცვათ იგი ამგვარ სულელურ აზრებისაგან და ის კი უცებ ასეთ ქოხმანში შეამწყვდევს მას. ნეტავ ვიცოდნე რას ფიქრობენ, ეგრე აზიზად აღზრდილ ქალიშვილებს მრეცხავებად გადაქცევას ხომ არ უპირებენ? თუ ცოლის შერთვა მათთვის ეგრე აუცილებელია, მაშინ შეირთოს ვინმე გზაბნეული ქალიშვილი, ისეთი ქალიშვილი, რომლისთვისაც სულერთია ქალბატონი იქნება თუ მოახლე და მისი სიყვარულით გატაცებული მზად იქნება იმრეცხაოს და ბაზარშიც სასყიდელზე თვითონ იწაწალოს. ასეთი უჭკუო ქალებიც ხომ ბლომად არიან!

პოლინა — აღბათ უნდა, რომ მეც ეგეთი ვიყო.

კუკუ შკინა — რა სჭირდება ქალს? განათლებულ ქალს, რომელიც ხუთი თითივით ხედავს ცხოვრებას? მათ არ ესმით, რა სჭირდება ასეთ ქალს... კარგი ჩაცმა-დახურვა, მოსამსახურე და, რაც მთავარია, მოსვენება, ნებივრად ყოფნა; არაერთარ ჯაფასა და ოჯახურ დავიდარაბაში არ უნდა -ერეოდეს თავისი კეთილშობილების გამო. ჩემი იულინკა სწორედ ასე იქცევა, თავი შორს უჭირავს ყოველგვარი საოჯახო საქმისაგან და მხოლოდ თავის თავს უვლის. გვიანობამდე ძინავს, ქმარი კი დილაადრიანიდან თადარიგს ეწევა, სადილსა და, საერთოდ, საოჯახო საქმეზე ზრუნავს. მოახლე ჩაის დააღე-

ვინებს და სამსახურში გაემგზავრება. ბოლოს ადგება იულინკაც; ჩაი, ყავა და ყველაფერი გამზადებული დახვდება. აი დანაყრდა კიდეც. ტანთ საუცხოო ტანსაცმელი ჩაიცვა, მოიკაზმა, აილო წიგნი და ქმრის მოლოდინში ფანჯარას მიუჯდა. საღამოს თავის საუკეთესო ტანისამოსს ჩაიცვამს, თეატრში ან სტუმრად წავა. აი ცხოვრება რას მიქვია! აი წესრიგი! აი, როგორ უნდა დააყენოს ქალმა ოჯახში საქმე! ამაზე კეთილშობილი, სათუთი და სანუკვარი რამ სხვა რა არის? საქებური აი ეს არის.

პოლინა — ოჰ, რა ბედნიერებაა! ნეტა ერთი კვირა მაინც მაცხოვრა ასეთ განცხრომაში.

კუკუ შკინა — შენი ქმრის გადამკიდე ამას ვერასოდეს ეღივრებდი.

პოლინა — აბა, დედიკო, თქვენ იცით, როგორ შეახურებთ. თორემ პირდაპირ მეხარბება, — როცა კი არ მოვა იულინკა, სულ ახალთახალი კაბა აცვია, მე კი სულ ერთი და იგივე. აი, თვითონაც მოდის. (მოდის კარისკენ. უადოვი შემოდის პორტფელით. ცოლ-ქმარი ერთმანეთს კოცნის).

### გამოსვლა მ-5

ივინივე და უადოვი

უადოვი — გამარჯობათ, ფელისატა გერასიმოვნა! (ჯდება). უჰ, როგორ დავიდალე! (პოლინა დედის მახლობლად ჯდება). გადამეტებულად ვმუშაობ, ძალზე ვიქანცები. დილით დაწესებულებაში ვარ, დღისით გაკვეთილებზე და ღამით კიდეც საქმეებს ვუზივარ: ამონაწერებს ვადგენ, რაშიც კარგ გასამრჯელოს მაძლევენ. შენ კი, პოლინა, სულ უსაქმოდ, გულხელდაკრეფილი ხარ! ერთხელაც არ მინახავს საქმისთვის ხელი მოგვიკიდოს.

კუკუ შკინა — ისე როდი აღმიზრდია მე ჩემი ქალიშვილები, რომ იმუშაონ! მუშაობას ისინი არ არიან ჩვეულნი.

უადოვი — ძალიან ცუდია! თუ ბავშვობიდანვე გარჯას არ მიაჩვიე, შემდეგ მართლაც გაუჭირდება. შრომა კი აუცილებელია მისთვის.

კუკუ შკინა — არავითარი შრომა მისთვის საჭირო არ არის! მე მათ მოახლეებად როდი ვამზადებდი, კეთილშობილადამიანთა საცოლედ ვამზადებდი.

ქადოვი — ჩვენ სხვადასხვა აზრისანი ვართ, ფელისატა გერასიმოვნა. მე კი მინდა, რომ პოლინა მე მიჯერებდეს.

კუკუშკინა — ესე იგი, შინამოსამსახურედ გნებავთ აქციოთ იგი, არა? თუ ეგრე ფიქრობდით, მაშინ შესაფერისი ცოლი უნდა შეგერთოთ. ჩვენ კი, მოგვიტევეთ და, სულ სხვა აზრისანი ვართ ცხოვრებაზე. ჩვენ თანდაყოლილი კეთილშობილება გვახსიათებს.

ქადოვი — განა ეს არის კეთილშობილება? ეს ხომ ცარიელი ბაქიობაა! ჩვენ ამისათვის სულ არ გვცალია.

კუკუშკინა — თქვენ რომ ყური დაგიგდოთ კაცმა, ქკუიდან შეიშლება. იცით, რას გეტყვით? არ მეგონა თუ ჩემი უბედური ქალიშვილი ოდესმე ასეთ სილატაკესა და სიგლახეში ჩავარდებოდა, თორემ არასგზით არ მოგათხოვებდით.

ქადოვი — ძალიან გთხოვთ თავი დაანებოთ მას და ნუ ფიქინებით, რომ იგი უბედურია, თორემ მართლა იფიქრებს, რომ ეს ასეა.

კუკუშკინა — მაშ, თქვენის აზრით, ბედნიერია? განა არ ვხვდავ ჩემი ქალი რა დღეშია? სხვა მის ადგილას არ ვიცი რას მოიმოქმედებდა. (პოლინა ტირის).

ქადოვი — პოლინა, სისულელეს თავი დაანებე, შემიბრაღე!

პოლინა — შენთვის ყველაფერი სისულელეა. ალბათ არც ის გიფიქრებს, როცა სიმართლეს პირში გეუბნებიან.

ქადოვი — რა სიმართლეს?

პოლინა — ცხადია, სიმართლეს! მაშ დედიკო ტყუილს ხომ არ იტყვის.

ქადოვი — ამაზე მერე მოვილაპარაკოთ.

პოლინა — სალაპარაკო აქ არაფერია. (ზურგს შეაქცევს).

კუკუშკინა — რა თქმა უნდა, სალაპარაკო არაფერია.

ქადოვი — (ამოიოხრებს). აი უბედურება, თუ გინდა, ეს არის! (კუკუშკინა და პოლინა ქადოვს ყურადღებას არ აქცევენ, თავისთვის რაღაცას ჩურჩულებენ. ქადოვი პორტფელიდან ქალაქებს ამოალაგებს, აწყობს მაგიდაზე და დროგამოშვებით ყურს უგდებს მათ მუსაიფს).

კუკუშკინა — (ნმამალა). იცი, პოლინა, ამას წინათ ბელოგუბოვთან ვიყავი, წარმოიდგინე, ცოლისთვის ხავერდის კაბა უყიდია.

პოლინა — ხავერდის? რა ფერისაა?

კუკუშკინა — ალუბლის.

პოლინა — (ტირის). ოხ, ღმერთო ჩემო! წარმოადგენილი მაქვს როგორ მოუხდება.

კუკუშკინა — გადასარევად! მაგრამ წარმოიდგინე რა ცელქია ბელოჯუბოვი! სიცილით კინალამ მოგკვდი. აი, დედილო, მეუბნება, ჩემი ცოლი თქვენთან უნდა დავაბეზლო, მე მას ხავერდის კაბა ვუყიდე და მან კოცნა როდი მაკმარა, მიკბინაო, ისე მიკბინა, რომ მტკივა კიდევაცაო. აი, ცხოვრება ამას ქვია! აი, სიყვარული ეს არის! სხვებს როდი გავს!

ქადოვი — აუტანელია! (წამოადგება).

კუკუშკინა — მოწყალეო ხელმწიფევე, ნება მიბოძეთ შეგვეკითხოთ, რისთვის იტანჯება ჩემი ქალი? პასუხს ველი.

ქადოვი — თქვენი მზრუნველობის ქვეშის კარგახანია რაც აღარ იმყოფება. მასზე ზრუნვა ახლა მე მევალება და მისი ცხოვრების გამგებელიც მე ვარ. მერწმუნეთ, ეს უკეთესია შისთვის.

კუკუშკინა — მაგრამ მე დედა ვარ, მოწყალეო ხელმწიფევე!

ქადოვი — მე კი ქმარი ვარ!

კუკუშკინა — კარგად ვხედავ, როგორი ქმარიც ხართ! ქმრის სიყვარული არასოდეს არ შეედრება მშობლის სიყვარულს.

ქადოვი — მშობელს გააჩნია!

კუკუშკინა — როგორიც არ უნდა იყოს იგი, თქვენი სახსენებელი მაინც არ არის. ჩვენ, მოწყალეო ხელმწიფევე, ისეთი მშობლები ვიყავით, რომ... მე და ჩემი ქმარი გროშს გროშზე ვაწვებდით, ვცდილობდით ქალიშვილები წესის მიხედვით აღვვზარდა, პანსიონში შეგვეყვანა. რისთვის ვაკეთებდით ამას, თუ იცით? იმისთვის, რომ კარგი ქცევა და მიხვრამოხვრა ჰქონოდათ, სილატაკე, უმსკავსობა არ დაენახათ, რომ ბავშვობიდანვე კარგ ცხოვრებას, კეთილშობილ სიტყვა-პასუხს და ზრდილობას მიჩვეოდნენ.

ქადოვი — მადლობას მოკახსენებთ. აგერ, წელიწადია თითქმის, ვცდილობ როგორმე აღმოვფხრა თქვენი აღზრდის ფეს-



ვებო, მაგრამ ამოდ. სიცოცხლის ნახევარს დავთმობდი, ოღონდ ყოველივე ამას დაივიწყებდეს.

კუკუშკინა — განა ასეთი ცხოვრებისათვის გამზადდები? ხელის მოკვეთას უმალ ვარჩევდი, ვიდრე შევსწრებოდი შეილის ასეთ... სიღარიბეს, ტანჯვასა და უბედურებას.

ქადოვი — გთხოვთ თავი დაანებოთ მაგ წუწუნს.

კუკუშკინა — განა ჩემთან ასე ცხოვრობდა? ჩემთან სისუფთავე და წესრიგი მაინც იყო. მართალია, ერთი ხელმოკლე ქალი ვიყავი, მაგრამ ქალიშვილებს მაინც ფუფუნებაში უღარდელად ვაცხოვრებდი; სამზარეულოს კარიც არ იცოდნენ სად იყო. კომბოსტოს წვენი როგორ იხარშება, ისიც არ იცოდნენ. ისხდნენ თავისთვის, როგორც ეს ქალიშვილებს შეჰფერის, და მასლაათობდნენ გრძნობებისა და კეთილშობილ საგნების შესახებ.

ქადოვი — (ცოლს ანიშნებს). დიახ, ისეთი გახრწნილი ოჯახი, როგორიც თქვენი ოჯახი იყო, არ მინახავს.

კუკუშკინა — განა ისეთ ადამიანს, როგორიც თქვენ ხართ, შეუძლია კეთილშობილი აღზრდის ყადრი იცოდეს!.. ჩემი ბრალია, ავჩქარდი! განათლებულ და წმინდა გრძნობების ადამიანს რომ გაჰყოლოდა, ჩემი ზრუნვის მადლობელი და თან ბედნიერიც იქნებოდა; იმიტომ რომ წესიერი ხალხი ცოლებს საქმისთვის როდი რჯიან, — ამისათვის მათ მოახლევები ჰყავთ, ცოლი კი...

ქადოვი — (სწრაფად). რისთვის?

კუკუშკინა — როგორ თუ რისთვის? ეს ვინ არ იცის რისთვის? საყოველთაოდ ცნობილია... იმისთვის, რომ კარგად მოკაზმო; დასტკბე მისი ცქერით, საზოგადოებაში გამოაჩინო, ასიამოვნო და მისი ყოველი სურვილი კანონად მიიჩნეო. ოხ, ღმერთო!

ქადოვი — გრცხვენოდეთ! ამ ხნის ქალი ხართ, სიბერეში ფეხი ჩაგიდგამთ, ქალიშვილები დაგიზრდიათ და არც კი იცით, რას ნიშნავს ცოლი მამაკაცისთვის. გრცხვენოდეთ! ცოლი სათამაშო როდია, ქმრის თანაშემწეა. თქვენ ცუდი, ძალზე ცუდი დედა ხართ!

კუკუშკინა — დიახ, დიახ, ვიცი, რომ მზად ხართ ცოლი მზარეულად გადააქციოთ. ერთი უგრძნობელი ადამიანი ხართ.

ქადოვი — გეყოფათ სისულელის როტვა.

პოლინა — დედიკო, თავი დაანებეთ!

კუკუშკინა — არა, არ დაგვანებებ! რას მიქვია, თავი დანებებო?

ქადოვი — კმარა! არც მე მოგისმენთ და არც ცოლს მივცემ ნებას, რომ გისმინოთ! დაბერებულხართ და თავში უხამსი აზრების მეტი არაფერი გიტრიალებთ.

კუკუშკინა — ეს რა სიტყვა-პასუხია?

ქადოვი — თქვენთან სხვაგვარად ლაპარაკი არ შეიძლება. ძალიან გთხოვთ, თავი დაგვანებოთ, მოგვასვენოთ. მე პოლინა მიყვარს და ვალდებული ვარ გავუფრთხილდე. თქვენი ლაპარაკი გამხრწნელი და მავნებელია პოლინასათვის.

კუკუშკინა — მოწყალეო ხელმწიფევ, წრეს ნუ გადადიხართ!

ქადოვი — არაფერი თქვენ არ გესმით.

კუკუშკინა — (გაბოროტებით). როგორ თუ არაფერი არ მესმის? უკაცრავად არ ვიყო და, ყველაფერი ძალიან კარგად მესმის! მრავალი მაგალითი მინახავს, რომ სიღარიბეს ქალი დაულუპავს. გაჭირვება ადამიანს რას არ ჩაადენინებს. ზოგი ქალი აქეთ აწყდება, იქით აწყდება და ბოლოს სწორ გზასაც იმნაირად აცდება, რომ ვერც გაამტყუნებ.

ქადოვი — რაო! როგორ ლაპარაკობთ ქალიშვილთან ეგეთ რამეებს? გთხოვთ ახლავე დასტოვოთ აქაურობა... ახლავე!

კუკუშკინა — თუ ქალს შია, სცივა და თანაც ქმარი ზარმაცი ჰყავს, მაშინ ის მისდა უნებლიედ სხვა საშუალების ძებნას დაიწყებს.

ქადოვი — თავი დაგვანებეთ! ძალიან გთხოვთ, თავი დაგვანებეთ და მოთმინებიდან ნუ გამომიყვანთ.

კუკუშკინა — წავალ. ამას იქით მე აქ ფეხის დამდგმელი აღარა ვარ. (პოლინას). შე საცოდაო, ეს რა ქმარი გყავს! რა საშინელებაა, რა უბედურება!

პოლინა — მშვიდობით, დედიკო! (ტირის).

კუკუშკინა — იტირე, იტირე, შე შავ ღღეზე გაჩენილო! გამოიტირე შენი ბედი. მირჩევნია მკვდარი იყო, ვიდრე ამ ყოფაში გხედავდე და გული შენი საცოდობით მიკვდებოდეს, უფრო იოლად ავიტანდი! (ქადოვს). იზეიმეთ! თქვენსას

შიაღწიეთ და სხვა რაღა გინდათ! მოატყუეთ, თავი შეეყარებულად მოაჩვენეთ, მოქარგული სიტყვებით მოხიბლეთ და შემდეგ დალუპეთ. თურმე ეს ყოფილა თქვენი მიზანი და ახლა მივხვდი. (გადის. პოლინა აცილებს).

ქადოვი — საჭიროა პოლინას უფრო მკაცრად მოველაპარაკო, თორემ სულ აუბნევენ გზა-კვალს. (პოლინა უკანვე ბრუნდება).

### გამოსვლა მე-6

ქადოვი და პოლინა (ფანჯარასთან მწყრალად ჯდება)

ქადოვი — (მაგიდაზე დალაგებულ ქაღალდებს მიუჯდება). ფელი-სატა გერასიმოვნა, ალბათ, ჩვენთან უკვე აღარ მოვა, რაც ძალიან მიხარია. კარგს იზამ, თუ შენც არ ივლი მასთან და აგრეთვე ბელოგუბოვებთან.

პოლინა — ხომ არ მიბრძანებთ, რომ თქვენი გულისთვის მთელს ნათესაობას გავეთიშო?

ქადოვი — ჩემი გულისთვის კი არა, შენთვის ვამბობ! თავში მათ ძალზე უხიაგი აზრები უტრიალებთ. მე მინდა სიკეთის გზაზე დაგაყენო, გასწავლო, ისინი კი გათახსირებენ.

პოლინა — გვიანდა არის ჩემი სწავლება, მე ნასწავლი ვარ!

ქადოვი — საშინელება იქნება ჩემთვის დავიჯერო ის, რასაც შენ ახლა ამბობ. არა, იმედი მაქვს, რომ ბოლოს ყველაფერს გაიგებ. ახლა სამუშაო მაქვს, ცოტას მოვიცლი და ყველაფერს აგიხსნი. დილით იმუშავებ, საღამოთი კი რამეს წავიკითხავთ. ბევრი რამე გაქვს წასაკითხავი.

პოლინა — როგორ არა, შენ დავიჯდები! ჯერ ისედაც ხომ მხიარულად ვარ! ეგრე არ შემიძლია, ადამიანი საზოგადოებისათვის არის შექმნილი.

ქადოვი — რაო?

პოლინა — რაო და, ადამიანი საზოგადოებისათვის არის შექმნილი მეთქი.

ქადოვი — სად შეითვისე ეს სიბრძნე?

პოლინა — შენ მართლა სულელი ხომ არ გგონივარ? ეს ვინ არ იცის! ეს ყველასათვის ცნობილია! ქუჩაში ხომ არ ვიპოვნივარ?

ქაღოვი — დიახ, სწორია. საზოგადოებაში რომ გაერო, ამისთვის მომზადებაა საჭირო.

პოლინა — ყოველივე ეგ სისულელეა! საჭიროა ნხოლოდ ახალ ყაიდაზე მოირთო და მოიკაზმო.

ქაღოვი — ამ გზას ჩვენ ვერ გავყვებით. მაშასადამე, სალაპარაკოც აქ არაფერია. სჯობია ხელი რამე საქმეს მოჰკიდო. მეც მუშაობას შევუდგები. (კალამს აიღებს).

პოლინა — ხელი საქმეს მოჰკიდო! ეს კიდევ რაღა გამოიგონე? გეყო ამდენი მბრძანებლობა... დაცინვა და აბუჩად აგდება.

ქაღოვი — (მოტრიალდება). ეს რას ნიშნავს, პოლინა?

პოლინა — ეს იმას ნიშნავს, რომ მეც ადამიანურად და არა მათხოვრულად მინდა ვიცხოვრო. მომბეზრდა, ახალგაზრდობა გამიმწარდა შენს ხელში!

ქაღოვი — აი ესეც ახალი ამბავი! ამგვარი რამ ჯერ შენგან არ მსმენია.

პოლინა — ჯერ არ გსმენია და მაშ ახლა მოისმინე. მთელი წელიწადი ხმის ამოუღებლად რომ გითმენდი, მუნჯი გეგონე? უკაცრავად! მეყო ამდენი მოთმინება! მეც მინდა ვიცხოვრო, ვიცხოვრო ისე, როგორც იულინკა და, საერთოდ, კეთილშობილი მანდილოსნები ცხოვრობენ. ეს არის და ეს!

ქაღოვი — კეთილი, მხოლოდ ნება მომეცი შეგეკითხო, — რა საშუალებით უნდა ვიცხოვროთ ასე?

პოლინა — ეგ მე არ მეკითხება! თუ გიყვარვარ, საშუალებაც გამონახე!

ქაღოვი — ნუთუ არ გებრალეები? ხომ ხედავ, რომ ისედაც პირუტყვივით ვმუშაობ.

პოლინა — შრომობ თუ არა, ეს მე არ შემეხება. იმიტომ კი არ გამოგყევი ცოლად, რომ ტანჯვა-წვალებაში ჩაგვარდნილიყავ.

ქაღოვი — რა ახირებულ გუნებაზე ხარ დღეს! გაჩუმდი, ღვთის გულისათვის!

პოლინა — როგორ არა, გაგჩუმდები! მაგის მოლოდინში იყავი! შენი წყალობით ყველა დამცინის! ვინ მოთვლის რამდენი სირცხვილი მიჭამია! ისევ ჩემ დაიკოს თუ ვებრალეები.

დღეს მოვიდა და მეუბნება, — ეს როგორ გაცვია, მთელ გვარს არცხვენო. განა ეს შენთვის თავის მოჭრა არ არის? და კიდევ მარწმუნებ, რომ გიყვარვარ. თავისი ფულით ქუდი მიყიდა და მომიტანა.

ქადოვი — ქუდი?

პოლინა — ჰო! აი, ხედავ? ხომ კარგია?

ქადოვი — (მკაცრად). ახლავე უკან დაუბრუნე.

პოლინა — უკან დავუბრუნო?

ქადოვი — ჰო, ახლავე! ახლავე უკან დაუბრუნე და მათგან არავითარი საჩუქრის მიღება არ გაბედო.

პოლინა — არა, ამას ვერ ვიზამ. ამაში დარწმუნებული ბრძანდებოდეთ.

ქადოვი — თუ არა და, მაშინ ფანჯარაში გადავისვრი.

პოლინა — მაშ ასე, არა? ასეთი ხარ, ხომ? კარგი, მეგობარო, კარგი, უკანვე დავუბრუნებ.

ქადოვი — ჰოდა, ძალიან კარგსაც იზამ.

პოლინა — (ცრემლმორეული). დიახ, ავიღებ და უკან დავუბრუნებ. (ქუდს დაიხურავს, მოსასხამს წამოისხამს და ხელს ქოლგას დაეფეხს). მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

ქადოვი — მშვიდობით.

პოლინა — კარგად დამემშვიდობე, მეტს ველარ მნახავ.

ქადოვი — ეს კიდევ რა სისულელე გამოიგონე?

პოლინა — დედასთან წავალ. მასთან დავრჩები და იქ მოსული არ დავინახო.

ქადოვი — რა სიბრძნეა, რას ლაპარაკობ, პოლინა?

პოლინა — არა, დიდიხანია რაც ეს მოფიქრებული მაქვს! (ქოლგით იატაკს ხაზავს). აბა რა ცხოვრებაა ჩემი ცხოვრება! მხოლოდ წვალემა და არავითარი სიხარული.

ქადოვი — როგორ არ გრცხვენია, აბა რას ამბობ? ნუთუ მართლა არავითარი სიხარული შენ ჩემთან არ გინახავს?

პოლინა — აბა, რა სიხარული უნდა მენახა? მდიდარი რომ იყო, სხვა საქმეა, თორემ სული საცაა სიღარიბეში გაგვძვრება. აბა, რამ უნდა გამახაროს? ამას წინათ მთვრალი მოხველი. შესაძლოა, მალე ცემაც დამიწყო.

ქადოვი — ოხ, ღმერთო ჩემო, მაგას რას ამბობ? ერთხელ

მოვედი ნასვამი... მერე და რომელ ახალგაზრდას არ შემთხვე-  
ვია ამგვარი რამ?

პოლინა — ვიცით სილატაკეს სანამდე მიჰყავს ადამიანი.  
დედაჩემს რამდენჯერ უთქვამს, რომ შენ ალბათ გალოთდები  
და შენთან ერთად მეც დავიღუპები.

ქადოვი — ეს რა სულელური აზრები მოგდის თავში!

პოლინა — შენგან კარგს სხვას რას უნდა მოველოდე?  
ჩემი ბედი ქალაღმით ვიმკითხავე, მარჩიელებთანაც ვიყავი  
და გამოდის, რომ უიღბლო ქალი ვყოფილვარ.

ქადოვი — (თავში ხელს წაივლებს). ქალაღმს შლის, მკით-  
ხავენთან დადის!

პოლინა — შენ იმასაც იტყვი, რომ ქალაღმის გაშლა სისუ-  
ლელეა! არა, უკაცრავად, მაგას არასოდეს არ დაგიჯერებ!  
ქალაღმი არასოდეს არ ტყუის! ყველაფერი მართალი გამო-  
დის. ადამიანს, რაც გუნებაში აქვს, იმასაც კი ამოიკითხავ.  
შენ ხომ არაფერი გწამს, შენთვის ყველაფერი სისულელეა!  
აკი ამიტომაც ვართ ასე უბედურნი.

ქადოვი — (ნახად). პოლინა! (მიუახლოვდება).

პოლინა — არ მომეკარო!

ქადოვი — არა, შენ არ გიყვარვარ.

პოლინა — აბა, რად უნდა მიყვარდე? მაშ მუქთად ხომ  
არ შეგიყვარებ!

ქადოვი — (აღზნებულად). როგორ თუ მუქთად? რას ნიშ-  
ნავს მუქთად? სიყვარულს სიყვარულთვე გიხდი. შენ ხომ  
ჩემი ცოლი ხარ! ხომ არ გავიწყდება, რომ ვალდებული ხარ  
გაინაწილო ჩემი ჭირიც და ლხინიც... მაშინაც კი, უკანასკნე-  
ლი მათხოვარიც რომ ვიყო.

პოლინა — (დაჯდება, თავს გადასწევს და ხარხარებს). ხა-ხა-  
ხა-ხა!

ქადოვი — ეს უკვე საზიზღრობაა, უზნეობაა!

პოლინა — არ მესმის, რა გაცხოვრებთ საზიზღარ და უზ-  
ნეო ქალთან. მშვიდობით!

ქადოვი — ღმერთმა ხელი მოგიმართოს. მშვიდობით, თუ კი  
ასე გულდამშვიდებით შეგიძლია ქმარს მოშორდე. რა გაეწყო-  
ბა, გზა მშვიდობისა! (ჯდება და თავს ხელებზე დააყრდნობს).

პოლინა — რა არის აქ უჩვეულო! ყველა თავის სიკეთეზე ფიქრობს.

ქაღოვი — მაშ მშვიდობით, მშვიდობით!

პოლინა — (სარკის წინ). აი ქუდი ეს არის, თორემ ჩემი აბა რას ჰგავს! (მღერის). „დედიკო საყვარელო, მზეო ამომავალო...“  
ქუჩაში გავივლი, შემომხედავენ და იტყვიან, ოხ, რა კოხტა ქალიაო! მშვიდობით! (რევერანსით გადის).

### გამოსვლა მმ-7

ქაღოვი (მარტო)

ქაღოვი — ეს რა უცნაური ხასიათი მაქვს! რას ჰგავს ეს? ცოლ-საცვერ შევეთვისე! რა ვქნა ახლა? ღმერთო, ღმერთო ჩემო! საცაა ჭკუიდან შევიშლები! უმისოდ ჩემს სიცოცხლეს რა აზრი აქვს! როგორ მოხდა ყოველივე ეს, გონს ახლაც ვერ მოვსულვარ. რანაირად გავუშვი, როგორ დავთმე, რა უნდა აკეთოს დედასთან? იქ სულ დაიღუპება. მარია! მარია! (ხმა სცენის გარედან: „რა გნებავთ?“). გაიქეცი, ქალბატონს დაეწიე და უთხარ, რომ საქმე მაქვს მასთან. აბა, ჩქარა, ჩქარა!.. უჰ, რა ზანტი ხარ, მარია! მალე გაიქეცი, მალე! (მარიას ხმა: „ახლავე“). დაბრუნება რომ არ ისურვოს? ახიცი იქნება ჩემს თავზე. მას აქვს ამის უფლება. განა დამნაშავეა, რომ არ შემიძლია კარგად ვაცხოვრო? ჯერ თვრამეტი წლისაა, ცხოვრება უნდა, გართობა. მე კი ერთ ოთახში მარტო გამომიმწყვდევა, მთელი დღე შინ არა ვარ. ვერაფერი სიყვარულია! ჰოდა, იცხოვრე ახლა მარტო! შესანიშნავია! ძალიან კარგი! ისევ ობლად ვარ! სხვა რაღა მინდა! დილას სამსახურში, სამსახურიდან შინ რილასთვის უნდა მოვიდდე? დაღამებამდე დროს სამიკიტნოში გავატარებ, შინ ღამით მოვალ, ცივ ლოგინში ჩავწები... და ტირილით გულს მოვიჯერებ! და ასე ყოველდღე. ასე მოვიხდება! (ტირის). ვერ მოახერხე ცოლთან ცხოვრება, ხომ? მაშ, მარტო იცხოვრე! ერთ გარკვეულ გზას უნდა დავადგე, — ან უნდა მართლა გავცილდე, ან უნდა ვიცხოვრო ისე... როგორც ხალხი ცხოვრობს. ამაზე უნდა ვიფიქრო. (ჩაფიქრდება). გავცილდე? კი, მაგრამ, შევძლებ? ოხ, რა სატანჯველში ვარ ჩავარდნილი! არა, უმჯობესია... არა,

ქარის წისქვილთან ბრძოლა ვის გაუგია! ამას რას ვამბობ?  
ეს რა აზრები მომდის თავში? (შემოდის პოლინა).

### გამოსვლა მე-8

ქადოვი და პოლინა

პოლინა — (დაჯდება ჩაცმული). რა გნებაეთ?

ქადოვი — (მიიღბენს მასთან). დაბრუნდი? დაბრუნდი? დაბრუნდი ხომ? როგორ არ გრცხვენია! რომ იცოდე, როგორ ამფორიაქე. ჭკუაზე კინაღამ შევცდი. ჯერ კიდევ გონს ვერ მოვსულვარ, სულ დავიბენი. (ხელებს უკონის). პოლინა, ჩემო მეგობარო!

პოლინა — აბა, მაგ ნაზი სიტყვებით ნუ მელაქუცები.

ქადოვი — შენ ხუმრობდი, პოლინა, არა? ხომ არ მიმატოვებ? არა, ხომ?

პოლინა — რა საინტერესოა შენთან ცხოვრება, ამ სილატაკეში!

ქადოვი — შენი სიტყვები გულს მიკლავს, პოლინა! ჩემი სიყვარული თუ არა გაქვს, სიბრალული მაინც გქონდეს! ხომ იცი, როგორ მიყვარხარ.

პოლინა — სხვებსაც ასე უყვართ თავისი ცოლი, დიახ!

ქადოვი — მაშ როგორ უყვართ? როგორ? მითხარი და ყველაფერს შეგისრულებ, ყველაფერს, რასაც მიბრძანებ.

პოლინა — წადი ახლავე ბიძაშენთან, შეურიგდი და ისეთივე ადგილი სთხოვე, როგორიც ბელოგუბოვს აქვს, თან ფულსაც ესესხე და, როცა გავმდიდრდებით, დაგუბრუნებთ.

ქადოვი — არასოდეს, არაფრის გულისთვის! ამას ნუ მეტყვი, ნუ!

პოლინა — მაშ ამისთვის დამაბრუნე? როგორ, დამცინი თუ? კმარა! მე უკვე მოველ ჭკუაზე. მშვიდობით! (დგება).

ქადოვი — დაიცა! დაიცა, პოლინა, უნდა მოგელაპარაკო! შენთან სათქმელი მაქვს.

პოლინა — (სარკის წინ). რა გაქვს სათქმელი? განა ცოტა გვითქვამს?

ქადოვი — (ვედრებით). არა, პოლინა, არა, ყველაფერი არ მითქვამს! ბევრი... ბევრი რამ მაქვს სათქმელი. შენ ჯერ ბევრი



რამ არ იცი. რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ შემეძლოს სული და გული გადავიშალო, გადმოგცე ყოველივე ის, რასაც ვფიქრობდი ან რაზედაც ვოცნებობდი! მოდი, ვილაპარაკოთ, პოლინა. ერთსა გთხოვ, გთხოვ ღვთის გულისთვის, მომისმინო, მომისმინო.

პოლინა — სთქვი.

ქადოვი — (მზურვალედ). მომისმინე! მომისმინე! (ხელს ხელში ჩასჭიდებს). პოლინა, მუდამ, ყოველ დროში იყვენ ისეთი ადამიანები, და ასეთები ახლაც არიან, — ადამიანები, რომლებიც, მთელი თავისი შეგნებით, საზოგადოების დახვესებული წესისა და ზნე-ჩვეულების წინააღმდეგ ილაშქრებენ. ამას ისინი თავისი ჟინის გამო როდი სჩადიან, არამედ წესი, რომელიც მათ სწამთ და სჯერათ, უკეთესი და უფრო პატიოსნურია, ვიდრე ის, რომლითაც თანამედროვე საზოგადოება დღეს ხელმძღვანელობს. და ეს წესები მათგან შეთხზული როდია. ყოველივე ეს მათ მოისმინეს მასწავლებლებისა და პროფესორების კათედრებიდან, ამოიკითხეს ჩვენი და უცხოეთის საუკეთესო ლიტერატურულ ნაწარმოებებიდან. ისინი ამაზე აღიზარდნენ და მისი ცხოვრებაში გატარება განუზრახავთ. ეს რომ ძნელია გეთანხმები, რადგან საზოგადოებრივ მანკიერებას ფესვი ღრმად აქვს გადგმული. უმეცართა უმრავლესობა ძლიერია და ეს ბრძოლა ამიტომაც ძნელია, ხშირად დამღუპველიც; მაგრამ იგი მით უფრო სასახელოა რჩეულთათვის; შთამომავლობა მეტის დიდებითა და სიყვარულით მოიხსენიებს მათ სახელებს. ასეთი ადამიანები რომ არ იბადებოდნენ, ბოროტება, ძალმომრეობა და ღვარძლი ისე გაიზრდებოდა, რომ ხალხს მზის შუქსაც დაუბნელებდა...

პოლინა — (განცვიფრებული შესცქერის ქმარს). შენ გიჟი ხარ, ნამდვილი გიჟი! და ამის შემდეგ გინდა, რომ მოგისმინო? არა, ვერ მოგისმენ! ისედაც პატარა ჭკუის პატრონი ვარ და შენ ხელში, ვატყობ, იმასაც დაგვარგავ!

ქადოვი — გამიგონე, პოლინა, ყური დამიგდე!

პოლინა — არა, მირჩევნია შენზე ჭკვიან ხალხს მოვუსმინო.

ქადოვი — მაინც ვის გინდა რომ მოუსმინო? ვინ არიან ეს ჭკვიანები?

პოლინა — ვინ? ჩემი და იულინკა, ბელოგუბოვი...

ქადოვი — მაშ ბელოგუბოვს მაღარებ, არა?

პოლინა — ერთი ამას დამიხედეთ! რა ძალიან მოგაქვს შენი თავი? ცხადია, ბელოგუბოვი გჯობია. უფროსებთან კარგადაა, ცოლი უყვარს, ჩინებული მეოჯახეა, საკუთარი ცხენებიც ჰყავს... და შენ, აბა, რას წარმოადგენ? ბაქია ხარ და სხვა არაფერი... (აჯავრებს). „მე ჰქვიანი ვარ, პატროსანი, დანარჩენები ბრიყვები და მექრთამეები არიან!“

ქადოვი — ეს როგორი სიტყვა-პასუხია? რა უხამსობაა, რა საძაგლობაა!

პოლინა — ისევ ლანძღვა დაიწყე? მაშ მშვიდობით. (წასვლას დააპირებს).

ქადოვი — (არ უშვებს). მოითმინე, ცოტა დაიცადე!

პოლინა — გამიშვი!

ქადოვი — არა, დაიცა, დაიცა! პოლინა, ჩემო კარგო, დაიცადე! (ტანისამოსში ეტანება).

პოლინა — (იციინს). რას მებლაუჭები! რა უცნაური ხარ! წასვლა თუ დავაპირე, იცოდე, მაინც ვერ დამიქერ.

ქადოვი — რა ვქნა, რა გიყო? პოლინა! რა მოვიფიქრო, რა?

პოლინა — რა და, წადი და ბიძაშენს შეურიგდი.

ქადოვი — დაიცა, დაიცა! მოფიქრების საშუალება მაინც მომეცი.

პოლინა — მოიფიქრე.

ქადოვი — მე შენ მიყვარხარ და მზად ვარ შენთვის ყველაფერი ჩავიდინო... მაგრამ ის, რასაც შენ მეუბნები, საშინელეებაა! არა, უნდა მოვიფიქრო. დაიცა, ჰო!.. ჰო!.. უნდა მოვიფიქრო... უნდა მოვიფიქრო... რომ არ წავიდე ბიძასთან დამტოვებ, წახვალ?

პოლინა — წავალ.

ქადოვი — სამუდამოდ დამტოვებ?

პოლინა — სამუდამოდ. ასჯერ ხომ არ უნდა გითხრა ერთი და იგივე! მშვიდობით.

ქადოვი — დაიცა, დაიცა! (ჯდება მაგიდასთან, თავს ხელებზე დააყრდნობს).

პოლინა — დიდხანს უნდა გიცადო?

ქადოვი — (ცრემლმორეული). იცი რა, პოლინა? კარგია განა, როდესაც ლამაზი ცოლი გყავს და კარგადაც არის ჩაცმული?

პოლინა — (გრძნობით). კარგია, ძალიან კარგი!

ქადოვი — დიახ... ასეა! (ყვირის). ასეა, ასე!.. (ფეხებს აბახუნებს). კარგი ეტლითაც ხომ შესანიშნავია მასთან ერთად გასეირნება, ა!

პოლინა — ახ, რა კარგია!

ქადოვი — ახალგაზრდა, ლამაზი ცოლი უნდა გიყვარდეს, თავს ევლებოდე... (ყვირის). დიახ, დიახ, დიახ! უნდა მორთომოკაზმო... (მშვიდდება). მერე რა, განა ეს ასე ძნელი საქმეა? არა, ეს ადვილი საქმეა! (სასოწარკვეთით). მშვიდობით, ჩემო სიკაბუჯის ოცნებაე! მშვიდობით, ჩემო მრწამსო! მშვიდობით, ჩემო სპეტაკო მომავალო! მეც მოვხუცდები, მეც გამითეთრდება თმები, მეც მიეყოლება შვილები...

პოლინა — რა იყო? რა მოგდის?

ქადოვი — არა, არა! შვილები წესიერად უნდა აღეზარდოთ. საუკუნეს არ უნდა ჩამორჩინენ, მშობლებს არ უნდა დაემსგავსონ, არა!

პოლინა — კმარა, გეყოფა!

ქადოვი — დამაცა, გამოვიტირო ჩემი ოცნება. ჩემს სიცოცხლეში უკანასკნელად ვტირი. (კვითინებს).

პოლინა — რა გეშარტება?

ქადოვი — არაფერი... არაფერი... ყველაფერი ადვილია ქვეყანაზე... ყველაფერი ადვილია. მხოლოდ უნდა ეცადო, რომ არაფერმა არ მოგაგონოს შენი წარსული! ესეც ადვილია! მე ამას ვიზამ... თავს ავარიდებ ჩემს ძველ ამხანაგებს... არ ვივლი იქ, სადაც პატიოსნების, ადამიანის წმინდა მოვალეობის შესახებ ლაპარაკობენ... კვირიდან კვირამდე თაუაულებლად ვიმუშავებ, მხოლოდ შაბათ დღეს მოვიწვევ შინ სხვადასხვა ჯურის ბელოგუბოვებს და მათთან ერთად ვიქეიფებ, დროს გავატარებ ნაქურდალი ფულით. დიახ, დიახ, მერე თანდათან მეც მივეჩვევი.

პოლინა — (ტირილით). შენ რაღაც ცუდს ლაპარაკობ.

ქაღოვი — ვიმღერებ კიდევ... ეს სიმღერა თუ იცი?  
(მღერის):

ქრთამის აღებას რა სიბრძნე უნდა,  
რასაც გაძლევენ, აიღე მალე.  
ტანზე ხელები მაშ რად გვაბია  
თუ არ აიღე, თუ არ აიღე.

ზომ კარგი სიმღერაა?

პოლინა — რა მოგდის, ვერ გამიგია?

ქაღოვი — წავედეთ ბიძაჩემთან და ვთხოვოთ შემოსავ-  
ლიანი ადგილი! (ქუდს დაუდევრად იხურავს თავზე. პოლინას ხელს  
შკლავში გაუყრის და მასთან ერთად გადის).

## მოქმედება მახუთო

პირველი მოქმედების ოთახი.

### გამოსვლა 1-ლი

ანა პავლოვნა და ანტონი (ანტონი ანა პავლოვნას ლან-  
გრით წერილს მიაართმევს და გადის)

ანა პავლოვნა — (კითხულობს). „მოწყალეო ხელმწიფევე,  
ანა პავლოვნა! მაპატიეთ, თუ ჩემი წერილი რაიმე უსიამოვნებას  
მოგგვრით; თქვენი ჩემდამი დამოკიდებულება ამართ-  
ლებს ჩემ საქციელს. როგორც ვაფიქვ, თურმე დამცინით და  
გარეშეებსაც აკითხებთ ჩემს წერილებს, რომლებსაც გრძნობა-  
მორევით და გატაცებით გწერდით. შეუძლებელია არ იცო-  
დეთ ჩემი საზოგადოებრივი მდგომარეობა, არ იცოდეთ აგ-  
რეთვე ისიც, თუ როგორ მიტეხს სახელს თქვენი ამგვარი  
საქციელი. ბალღი როდი ვარ. რა უფლებით მექცევით ასე?  
ჩემი სწრაფვა თქვენდამი გამართლებული იყო თქვენივე ქცე-  
ვით და ეს ქცევა არც ისე უმძრახი იყო, რასაც ვერც თქვენ  
უარყოფთ. თუმცა მე, როგორც მამაკაცს, მომეტევება ერთ-  
გვარი სითამამე, მაგრამ სასაცილო სრულიადაც არ მინდა  
რომ ვიყო ვისიმე თვალში. თქვენ კი მთელი ქალაქის ყბად-  
ასალებ კაცად მაქციეთ. თქვენც კარგად იცით ჩემი დამოკი-  
დებულება ლიუბიმოვისადმი როგორია, ვითხარით აგრეთვე  
ისიც, რომ მის ქალაქებში თქვენი რამდენიმე წერილი ვი-  
პოვე და წინადადება მოგეცით მიგელოთ ისინი ჩემგან. საკ-  
მარისი იყო, რომ თქვენ დაგედლიათ ეგ თქვენი სიამაყე, გაგე-  
ზიარებიათ საზოგადოებრივი აზრი, რომ მე ერთი ულამაზე-  
სი მამაკაცი ვარ და თან სხვებზე მეტი წარმატება მაქვს ქა-  
ლებში; მაგრამ თქვენ ეს არ ინებეთ, პირიქით, აბუჩად ამიგ-  
დეთ და შემიძულეთ. ამიტომ მაპატიეთ გადაწყვეტილება, —

თქვენი წერილები გადავცე თქვენს ქმარს“. აი კეთილშობი-  
ლება! ფუჰ! რა სიმდაბლეა, რა საზიზღრობა! თუმცა სულერ-  
თია, ოდესმე ხომ უნდა გამჟღავნებულყო ყველაფერი. მე იმ  
ქალთაგანი როდი ვარ, გაანგარიშებული, გულგრილი მრუშო-  
ბით რომ ცდილობენ მიჩქმალონ თავისი გატაცება. ხედავ,  
როგორი მამაკაცები არიან თურმე ჩვენში! ორმოცი წლის  
მამაკაცს, რომელსაც ლამაზი ცოლი ჰყავს, მეარშიყება, ლა-  
პარაკობს და სჩადის სისულელეებს, შეიძლება განა ასეთი მა-  
მაკაცის გამართლება? გამართლება მგზნებარე სიყვარულით?  
არაფერი ამისი მსგავსი! ქეშმარიტი სიყვარულის უნარი მას,  
აღბათ, თვრამეტ წლის ასაკშივე ჰქონდა დაკარგული. არა,  
ყოველივე ეს უფრო მარტივად აიხსნება. აღბათ რაღაც ქორს  
მოჰკრა ყური ჩემს შესახებ და ხელმისაწვდომ ქალად ჩამთვა-  
ლა. ამიტომაც არის რომ ეგრე მოურიდებლად, უბოდიშოდ  
მწერს გულგრილად მოფიქრებულსა და ვითომდა მგზნებარე  
წერილებს, წერილებს აღსავსეს უხამსი ქათინაურებით. ათიოდ-  
ოჯახს მაინც ეწვევა სადარბაზოდ, მოჰორავს ჩემს ირგვლივ  
ათას საზიზღრობას და შემდეგ მევე მომეველინება დასამწვი-  
დებლად. მეტყვის, რომ საზოგადოებრივ აზრს არად აგდებს,  
რომ შმაგი სიყვარული ყველაფერს ამართლებს და თან თი-  
თილბაზური სიტყვებით შემომფიცავს, რომ უყვარვარ და  
შეეცლება სახეზე ვნებიანი, მგზნებარე გამომეტყველება გამო-  
ხატოს. თავს იმისთვისაც არ იწუხებს, რომ უკეთ გაითამაშოს  
თავისი თვალთმაქცური სიყვარული. ანდა რად დახარჯოს  
ძალდონე მაშინ, როდესაც დარწმუნებულია, რომ ფონს ისე-  
დაც გავა. და თუ ასეთ ადამიანს სამაგიეროდ დამსახურებუ-  
ლი ზიზღი ან დაცინვა მიაგებე, შურისძიების გრძნობა აიტანს  
მისთვის სასაცილო მდგომარეობა უფრო საშინელია, ვიდრე  
ყოვლად ბილწი მანკიერება. თავის ურთიერთობას რომელიმე  
ქალთან მთელ ქვეყანას მოსდებს და ეს მას სასახელო საქმედ  
მიაჩნია; ხოლო მისი უნამუსო წერილების გამჟღავნება უბე-  
დურებად წარმოუდგენია და შეურაცხყოფად იღებს, თან თვი-  
თონვე გრძნობს, რომ ყოველივე ეს სასაცილოა და სისულელე-  
ნეტავ ვიცოდე, რად მიაჩნიათ ისეთი ქალები, რომლებსაც ასეთ  
წერილებს წერენ, უტიფარნი? აი ახლაც, კეთილშობილური

გულისწყრომით ბრაზმორეული სისაძაგლეს სჩადის ჩემს მი-  
მართ და თავიც ალბათ მართალი ჰგონია. მარტო ის როდია  
ასეთი, მას არც სხვები ჩამორჩებიან... რა გაეწყობა, მით  
უკეთესი, რადგან ერთხელ და საბოლოოდ გავარკვევ კმარ-  
თან ჩემს ურთიერთობას. თვითონ მინდოდა, აუცილებელ საქ-  
მედ მიმაჩნდა მასთან ამის გამო მოლაპარაკება. თავისი თვა-  
ლით დაინახავს, დარწმუნდება ვტყუი თუ არა მასთან მაშინ,  
როცა თვითონაც არანაკლებ დამნაშავეა ჩემს წინაშე. თავისი  
ფგოიზმით გამოფიტა მან ჩემი გული, წამართვა ოჯახური  
ბედნიერება, ცრემლით გამომატირებინა ჩემი ახალგაზრდობა,  
ის ახალგაზრდობა, რომელსაც ვერასოდეს ვერ დავიბრუნებ.  
მთელი ჩემი ახალგაზრდობა მასთან უხალისოდ, გულგრილად  
გავატარე მაშინ, როდესაც სული სიცოცხლისაკენ მიისწრაფო-  
და, გულს სიყვარული სწყუროდა. მის ნაცნობ-მეგობრების  
უშინაარსო და თან წვრილმან ზრახვებით შეზღუდულ წრეში,  
რომელშიც მეც მომაქცია, ჩაიხშო ჩემი სულის უკეთესი თვი-  
სებები, გაიყინა კეთილშობილური მისწრაფებანი. და ამას  
გარდა განვიციდიდი სინიდისის ქეჯნას იმ გრძნობის გამო,  
რომლის დაძლევაც ჩემს ძალღონეს აღემატებოდა.

### გამოხვლა მე-2

ანა პავლოვნა და იუსოვი

- იუსოვი — (თავის დაკრით). ჯერ არ მობრძანებულან?  
ანა პავლოვნა — არა. დაბრძანდით. (იუსოვი ჯდება).  
თქვენ რალაციით შეშფოთებული ხართ.  
იუსოვი — გამოუთქმელად... ენაც აღარ მემორჩილება.  
ანა პავლოვნა — რა ამბავია?  
იუსოვი — (თავს აქნევს). აღამიანი იგივეა, რაც... ზღვაში  
გემი... უეცრად გემი ილუპება და შველა არსად სჩანს...  
ანა პავლოვნა — არ მესმის, რაშია საქმე?  
იუსოვი — წუთისოფლის ამოგებას მოგახსენებთ... რა არის  
მყარი ჩვენს ცხოვრებაში? რით მივალთ?.. რით წავრსდგებით  
სამსჯავროს წინაშე?.. მხოლოდ საქმეები... შეიძლება ითქვას,

რომ მძიმე ტვირთად გვაწევს მხრებზე... როგორც მხილება...  
რაც გუნებაში გაგივლია... (ხელს ჩაიქნევს). თურმე ისიც ჩაწე-  
რილია.

ანა პავლოვნა — რა მოხდა? მოკვდა ვინმე?

იუსოვი — არა-ა, ცხოვრების ჩარხი გადატრიალდა. (ბურ-  
ნუთს ყნოსავს). დიდება და სიმდიდრე ხშირად თავბრუს გვახვევს...  
გრძნობას გვიჩლუნგებს... გვაფიწყდება ძმანი, გლახაკნი...  
ქედმაღლობა, გაუმაძღრობა, ავხორცობა... გვაბამს თავის  
ქსელში... ღირსეულად აკი ვისჯებით კიდევაც საქმეთა ჩვენთა  
გამო.

ანა პავლოვნა — დიდხანია რაც ეს ვიცი, ოღონდ ვერ  
გამიგია, რად ხარჯავთ ჩემთან მჭევრმეტყველების უნარს?

იუსოვი — გული მეთუთქება... თუმც ამ საქმეში არავი-  
თარი პასუხისმგებლობა არ მეკისრება... მაგრამ, რაც უნდა  
იყოს, ისეთ დიდ პიროვნებას! რაღაა ნუარი ჩვენს წუთისო-  
ფელში?! თანამდებობის მაღალი ხარისხიც თუ არ გვიშველის!

ანა პავლოვნა — ვინ პიროვნებას? რა საქმე?

იუსოვი — მხილება და შერისხვა ჩვენი.

ანა პავლოვნა — არ იტყვიოთ რა არის ჩვენ თავს?

იუსოვი — გამოძლავნდა, ვითომდა დაუღვერობა, თან-  
ხების დანაკლისი, თანამდებობის ბოროტად გამოყენება და  
სხვა ამგვარი.

ანა პავლოვნა — მერე?

იუსოვი — სამართალი, პასუხისმგებლობა... თუმცა, პი-  
რადად მე პასუხს ნაკლებ ვაგებ, მაგრამ არისტარხ ვლადი-  
მირიჩმა ყველაფერი თვითონ უნდა იკისროს...

ანა პავლოვნა — რა უნდა იკისროს?

იუსოვი — პასუხისმგებლობა მთელი თავისი ქონებით.  
სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგეს, ასე ვთქვათ, არაკა-  
ნონიერ მოქმედებისთვის.

ანა პავლოვნა — (თვალეხს მაღლა აღაპყრობს). დადგა  
ქამი განკითხვისა.

იუსოვი — ჩემი საქმე წასულია, მე ერთი პატარა კაცი  
ვარ... დაიწყებენ საქმეების ქექვას, ჩამაცივდებიან. ალბათ,  
რამესაც მომიძებნიან და ახლანდელი მკაცრი კანონების თა-



ნახმად, რა თქმა უნდა, გადამაყენებენ... დიდ გასაქირში ჩავ-  
ვარდები... ულუკმაპურო, შავი დღე მელის.

ანა პავლოვნა — ჯერ სამაგისოდ ხომ არ გაქვთ საქმე?  
იუსოვი — წვრილი ცოლშვილის პატრონი ვარ. აქეთ რომ  
მოვდიოდი, გულისწუხილით ვფიქრობდი, რად დაგვატყდა  
თავს ეს ღვთის რისხვა მეთქი. ქედმაღლობისთვის... ქედმაღ-  
ლობა აბრმავებს ადამიანს, თვალეზზე ბინდს ჰყენს.

ანა პავლოვნა — კარგით ერთი, რა შუაშია აქ ქედმაღ-  
ლობა? მექრთამეობაა და სხვა არაფერი.

იუსოვი — მექრთამეობა? რა არის ქრთამი? უბრალო ამ-  
ბავი... ამით ბევრია დაავადებული, მაგრამ კაცს თავმდაბ-  
ლობა უნდა გამკობდეს, მთავარი ეს არის. ადამიანი ბედის-  
წერისაგან არის დამოკიდებული... აი, სურათზე რომ არის  
დახატული... ბორბალი და ზედ ხალხია... ბორბალი ადის  
ზევით და მერე ისევ ეშვება, აიპართება და მერე ისევ დაბლა  
დავა. ავითაცებს, აგამალლებს და ბოლოს ძირს დაგანარ-  
ცხებს... წრისებრ ტრიალებს. მიაღწევ კეთილდღეობას, იშ-  
რომებ, ქონებას შეიძენ... აჰყვები მაღალ ოცნებას... და უცებ  
ბედი ძირს დაგანარცხებს, გაგატრიალებს, არარად გაქცევს!  
ამ ბედისწერის გამოხატულებას თავისი წარწერაც აქვს...  
(ტრანზიტი). „უცნაური ადამიანი, ფუსფუსებს, დარბის, ეძებს  
ბედს და ის არ იცის იმ საცოდავმა, რომ მის მომავალს ბედი  
ვანაგვებს“. აი, კბილი რას უნდა გაუსინჯო და გაარკვიო!  
აი, რა უნდა აბსოლდეს ადამიანს! შიშველი ვიბადებით, არა-  
ფერი გავგაჩნია და შიშველივე ჩავდივართ საფლავში. მაშ  
რისთვის ვწრომობთ? ასეთია ცხოვრების სიბრძნე! უმწეოა  
ჩვენი აზრი, გონება! სად შეუძლია მას ამ საიდუმლოებას  
ჩასწვდეს? (შემოდის ვიშნევსკი. ხმის ამოუღებლად გადის თავის  
კაბინეტში, იუსოვი დგება).

ანა პავლოვნა — როგორ გამოცვლილა!

იუსოვი — ექიმს დაუძახეთ, დღეს სამსახურში ცუდად  
გახდა. ასეთ ელდას კეთილშობილი და სათუთი ბუნების ადა-  
მიანი... აბა როგორ აიტანს!

ანა პავლოვნა — (ხარს დარეკავს, შემოდის ბიჭი). წადი ექიმ-  
თან. სთხოვე ჩქარა მოვიდეს. (ვიშნევსკი შემოდის. სავარძელში  
ჩაჯდება).

## გამოსვლა მე-8

იგნივე და ვიწნევსკი

ანა პავლოვნა — (მივა მასთან). აკიმ აკიმიჩმა მითხრა, რომ უბედურება შეგმობხვევიათ. სულით ნუ დაეცემით. (დუმილი). გამოცვლილხართ. თავს ცუდად გრძნობთ? ექიმთან კაცი უკვე გავგზავნე.

ვიწნევსკი — რა პირმოთნეობაა! საზიზღარი სიყალბე და როგორი ფლიდობა!

ანა პავლოვნა — რა შუაშია აქ სიყალბე? მე თქვენ ისევე მებრალებით, როგორც ყოველი უბედურებაში ჩავარდნილი ადამიანი შემებრალებოდა. არც მეტი, არც ნაკლები. (ჩამოშორდება და ცალკე ჯდება).

ვიწნევსკი — არ ვსაჭიროებ თქვენს თანაგრძნობას, არც თქვენს სიბრაულეს! ერთი პატივყარილი, განადგურებული კაცი ვარ! მერე და რისთვის?

ანა პავლოვნა — თქვენს სინიდისს ჰკითხეთ!

ვიწნევსკი — ნუ ლაპარაკობთ სინიდისზე! მისი ხსენების უფლება თქვენ არა გაქვთ... იუსოვ! რამ დამღუპა... რისთვის?

იუსოვი — ბედისწერამ... იგი ძალზე ცვალებადია.

ვიწნევსკი — სისულელეა, რა შუაშია აქ ბედისწერა და ან მისი ცვალებადობა! ამის მიზეზი ძლიერი მტერია. აი რამ დაჭლუპა! წყეულმიც იყავით! წყევლა და კრულვა თქვენ! შეგშურდათ ჩემი კეთილდღეობა, არა? ანდა, როგორ არ უნდა შემშურებოდათ! კაცი რამდენიმე წელში დაწინაურდა, გამდიდრდა, შეჰქმნა თავისი კეთილდღეობა, სახლები, აგარაკები აიშენა, სოფელს სოფელზე ყიდულობდა, ერთი თავით მათზე მაღლა აღიმაართა და, რა თქმა უნდა, შეშურდებოდათ! კაცი სიმდიდრისა და დიდებისაკენ ისე როგორც კიბეზე მიემართებოდა და მას რომ გაუხსწრო, ან დაეწიო, საჭიროა ჭკუა, გამჭირიანობა. ჭკუა კი ძნელი საშოვნელია და რა ქნას, თუ ვერ შოულობს. ამიტომაც სარმას გამოგდებს. ბრაზი მახრჩობს პირდაპირ...

იუსოვი — შური რას არ ჩაადენინებს ადამიანს.

ვიწნევსკი — ჩემი დაცემა ისე როდი მაშფოთებს, რო-

გორც ის სიხარული, ის ზეიმი, ჩემის დაცემით მათ რომ ვარ-  
გუნე! ოჰ, რამდენი მითქმა-მოთქმა შეიქმნება, რა სიხარული!  
ოჰ, დალახვროს ეშმაკმა, ამას, ყოველივე ამას ვერ ავიტან!  
(ზარს რეკს. შემოდის ანტონი). წყალი... (ანტონი წყალს მოართმევს  
დაგადის). ახლა თქვენთან მაქვს სალაპარაკო.

ანა პავლოვნა — ჩემგან რა გნებაეთ?

ვიშნევსკი — მინდა გითხრათ, რომ თქვენ გარყვნილი,  
მრუში დედაკაცი ხართ.

ანა პავლოვნა — არისტარხ ვლადიმირიჩ, აქ გარეშენიც  
იმყოფებიან.

იუსოვი — მიბრძანებთ წავიდე?

ვიშნევსკი — დარჩი! ამასვე გავიმეორებ აქ მოჯალაბე-  
ნიც რომ იყვნენ.

ანა პავლოვნა — რად მაყენებთ ეგეთს შეურაცხყოფას?  
არ იცით გულსიჯავრი ვისზე იყართ... თქვენ სცოდავთ...

ვიშნევსკი — აი, ჩემი სიტყვების დამამტკიცებელი სა-  
ბუთები. (გსერის კონვერტს წერილებით. იუსოვი კონვერტს აიღებს და  
აწეღის ანა პავლოვნას).

ანა პავლოვნა — გმადლობთ. (ათრთოლებული დახედავს კონ-  
ვერტს და ჯიბეში ჩაიდებს).

ვიშნევსკი — იუსოვ, როგორ ექცევიან ისეთ ქალს, რო-  
მელიც ქარის ვველა წყალობათა მიუხედავად თავის მოვა-  
ლუობას მაინც რომ დაიფიწყებს?

იუსოვი — ჰმ... ჰმ...

ვიშნევსკი — მე გიპასუხებ: სამარცხვინოდ აძევებენ სახ-  
ლიდან! ოჰ, იუსოვ, რომ იცოდე, რა ბედშავი და რა ბედ-  
კრული ვარ! სულ მარტო ვარ, სულ უთვისტომო! შენ მაინც  
ნულარ მიმატოვებ. ადამიანი, რაც უნდა დიდი კაცი იყოს  
იგი, დარდის დროს ნუგეშს ოჯახში ეძებს (ბოროტად) და მე  
ჩემს ოჯახში ვპოვე მხოლოდ...

ანა პავლოვნა — ნუ ახსენებთ ოჯახს! არასოდეს ის  
თქვენ არ გქონიათ. თქვენ არც კი იცით რა არის ოჯახი!  
ახლა მე მომეცით ნება, არისტარხ ვლადიმირიჩ, გითხრათ  
ყოველივე ის, რაც თქვენს ხელში გადავიტანე და განვიცადე.

ვიშნევსკი — არავითარი საბუთი სიმართლისა თქვენ არ გაგაჩნიათ.

ანა პავლოვნა — თავის მართლებას არ ვსაპიროებ და არც არაფერი ჩამიდენია ისეთი, რომ თავი ვიმართლო. ვინ მოსთვლის, ჩემი წამიერ გატაცებისთვის, რამდენი ვარამი და დამცირება გადავიტანე, მაგრამ ბედის ჩივილი და წყევლა-კრულვა თქვენსავით როდი დამიწყია. მინდა მხოლოდ ერთი რამ გითხრათ, გითხრათ, რომ თუ მე დამნაშავე ვარ, ისევ ჩემს საკუთარ თავთან და არა თქვენთან. არაფერი სასაყვედურო თქვენ არა გაქვთ. თქვენ რომ გული გქონდეთ, იგრძნობდით, თუ როგორ გამანადგურეთ, როგორ გამასწორეთ მიწასთან.

ვიშნევსკი — ხა, ხა! მაგაში სხვას დასდეთ ბრალი და არა მე.

ანა პავლოვნა — არა, თქვენ, დიახაც რომ თქვენუნდა დაგდოთ ბრალი. განა თქვენ ცოლი გყავდათ? აბა მოიგონეთ, როგორ შეირთუთ იგი. მაშინ, როდესაც თქვენ ჯერ კიდევ საქმრო იყავით, არც ერთი სიტყვა თქვენგან არ გამიგონია ჩვენი მომავალი ოჯახის შექმნის გამო. თქვენ მე ისე მექცეოდით, როგორც გაქნილი მუსუსი, ახალგაზრდა ქალებს საჩუქრებით რომ აცდენს ხოლმე, თქვენ მე მხოლოდ მსუნაგურად, ავხორცულად შემომცქეროდით. ხედავდით როგორ მეზიზღებოდით და ამისდა მიუხედავად მაინც მიყიდეთ ფულით ჩემი ნათესავებისაგან, მიყიდეთ ისე, როგორც მხევალ ქალებს ყიდულობენ ოსმალეთში. მაშ რაღა გინდათ ჩემგან, ან რას მოითხოვთ?

ვიშნევსკი — არ დაივიწყოთ, რომ თქვენ ჩემი ცოლი ხართ და უფლება მაქვს მოგთხოვოთ თქვენი ვალდებულება.

ანა პავლოვნა — დიახ, ჩემი შესყიდვა თქვენ როდი აკურთხეთ, მხოლოდ შენიღბეთ ქორწინების წესით. სხვაფრივ ეს ვერ მოხერხდებოდა. ჩემი ნათესავები სხვაგვარად ჩემ თავს არ დაგანებებდნენ, თქვენთვის კი ეს სულერთი იყო. არც შემდეგ, როცა თქვენ ჩემი ქმარი გახდით, არ მიყურებდით როგორც ცოლს. ფულით ყიდულობდით ჩემს ალერსს. თუ შემამჩნევდით, რომ მძაგდით, მეზიზღებოდით, ძვირფას სა-

ჩუქრით მიბირებდით და მაშინ უფრო თამამად, სრული უფ-  
ლებით მოდიოდით ჩემთან. მეც რა მექნა... ქმარი იყავით და  
ვემორჩილებოდით. ოო, ასეთ პირობებში საკუთარი თავის  
პატივისცემას დაკარგავს ადამიანი და ჩემი თავი აკი ამიტო-  
მაც მეზიზღება! აი სადამდე მიმიყვანეთ თქვენ! მაგრამ შემ-  
დეგ რა მწვავედ განვიცადე ყოველივე, როცა ცხადი გახდა  
ჩემთვის, რომ ის ფულები, რომლითაც საჩუქრებს მთავაზობ-  
დით, თურმე თქვენი როდი ყოფილა, ეს საჩუქრები უკეთუ-  
რი, უწესო გზით ყოფილა შეძენილი...

ვიშნევსკი — (წამოიწევს). დაჩუმდით!

ანა პავლოვნა — კეთილი, ამის გამო სიტყვას აღარ  
გაფაგრძელებ. უკვე საკმაოდ დაისაჯეთ, მაგრამ ჩემს შესახებ  
კი მოგახსენებთ.

ვიშნევსკი — რაც გინდათ ის სთქვით, ჩემთვის სულერ-  
თია, აზრს თქვენს შესახებ მაინც ვერაფერი ვერ შემაცვლე-  
ვინებს.

ანა პავლოვნა — მაგრამ ის ხომ შეიძლება, რომ საკუ-  
თარ თავზე შეგეცვალთ შეხედულება ჩემი სიტყვების მოს-  
მენის შემდეგ? ის მაინც გეხსომებათ, როგორ მრცხვენოდა,  
როგორ ვერიდებოდი საზოგადოებას და მისი როგორ მეში-  
ნოდა. მეშინოდა არა უმიზნოდ, მაგრამ თქვენ მაიძულებდით  
და მეც ვაღდებულნი ვიყავი დამეთმო თქვენთვის. და აი, სრუ-  
ლიად გამოუცდელი, დამრიგებელისა და ხელმძღვანელის გა-  
რეშე შემიყვანეთ მე ამ თქვენს წრეში, სადაც ფეხის ყოველ  
გადადგმაზე ცდუნებისა და მანკიერების მახე იყო დაგებულნი.  
არაფერ მე არ მყავდა, არც მრჩეველი და არც დამხმარე; თუმცა  
თვითონაც კარგად მივხვდი თქვენი ნაცნობ-მეგობრების წვრილ-  
მანობასა და თითილბაზობას. ამიტომაც ვერიდებოდი მათ და  
ვფრთხილობდი, და აი ასეთ დროს შევხვდი ლიუბიმოვს. გახსოვთ  
მისი ღია, ნათელი სახე, ელვარე თვალები, როგორი ჭკვიანი და  
ფაქიზი იყო იგი? როგორ ცხარედ კამათობდა თქვენთან, რო-  
გორი გაბედულობით ამხელდა იგი ყოველგვარ სიყალბესა და  
უსამართლობას? ის ამბობდა იმას, რასაც მე მხოლოდ ბუნ-  
დოვანად ვგრძნობდი. და ამაოდ ველოდი თქვენს პასუხს. შე-  
სიტყვების მაგიერ, თქვენ მხოლოდ ცილს სწამებდით მას,

უგონებდით საზიზღარ ჭორებს, ცდილობდით მისთვის სახელი გაგეტეხათ და როგორ მინდოდა გამოვსარჩლებოდი მას, მაგრამ ამისი არც საშუალება და არც საკმარისი ცოდნა გამაჩნდა. მე მხოლოდ შემეძლო თანამეგრძნო მისთვის და მყვარებოდა იგი.

ვიშნევსკი — აქი ასეც მოიქეცით.

ანა პავლოვნა — დიახ, ვხედავდი, როგორ ცდილობდით დაველუპათ იგი და მიზანს თანდათან როგორ აღწევდით. ამას სჩადიოდით არა მხოლოდ თქვენ, — ყველანი, ვისთვისაც ეს ხელსაყრელი იყო. ჯერ საზოგადოება აამხედრეთ მის წინააღმდეგ. ხმას ავრცელებდით, რომ მასთან ნაცნობობა ახალგაზრდობის დამღუპველია. შემდეგ დაიჩინეთ, რომ ის თავისუფლად მოაზროვნე და მავნე ადამიანია და უფროსები გადაჭიდეთ; ასე რომ იძულებული გახდა თავი დაენებებინა სამსახურისთვის, ნათესავებისთვის, ნაცნობებისთვის და აქედან საღმე გადაკარგულიყო. (თვალეზუ ცხვირსახოცს აიფარებს). ყველაფერი ეს ჩემი თვალით ვნახე და მწარედაც განვიცადე, მე ვნახე ბოროტების ზეიმი; თქვენ კი ისეთივე გოგონა გგონივართ როგორიც მაშინ მიყიდეთ და გინდათ თქვენი მადლიერი ვიყო, მიყვარდეთ რაღაც საჩუქრებისთვის. ჩემს მასთან უზადო დამოკიდებულების ირგვლივ რაღაც საზიზღარი ჭორი ააგეს; მანდილოსნები ხალხში მჭორავდნენ და მაბიაბრუებდნენ, ხოლო გუნებაში შურდათ ჩემი ბედი. ახალგაზრდა და ბებერი მამაკაცი უტიფრად ამეკვიატნენ. აი სანამდე მიიყვანეთ თქვენ ქალი, ქალი, რომელიც, შესაძლოა, უკეთესი ხვედრის ღირსი იყო, ქალი, რომელსაც სიცოცხლის ქეშმარიტი მნიშვნელობის გაგებისა და ბოროტების სიძულვილის უნარი ჰქონდა! აი ყოველივე ის, რაც მინდოდა მეთქვა თქვენთვის და ამიერიდან საყვედურს ჩემგან ვერასოდეს ვერ გაიგონებთ.

ვიშნევსკი — რატომ? მე ხომ ახლა ღარიბი კაცი ვარ, ხოლო ღარიბები თავიანთ ცოლებს ნებას აძლევენ რომ ლანძღონ ისინი. მათთვის ეს ხომ დასაშვებია! მე რომ ის ვიშნევსკი ვიყო, რაც დღემდე ვიყავ, თვალის დახამხამებაში გაგაძევებდით აქედან, მაგრამ ახლა, მტრის წყალობით, ჩვენი მაღალი საზოგადოების წრიდან ძირს ფსკერზე უნდა დავეშვათ,

ბოლო დაბალი წრის ცოლ-ქმარს შორის აყალმაყალი და ხან-  
დახან ცემაც დასაშვებია და სათაკილოს ამაში არაფერს არ  
ხედავენ. (შემოდის ჟადოვი ცოლით).

#### ბამოსვლა მე-4

იგინივე, ჟადოვი და პოლინა

ვიშნევსკი — რა გინდა, რისთვის მოხველი?

ჟადოვი — მაპატიეთ... ბიძაჩემო...

პოლინა — გამარჯობათ, ბიძია! გამარჯობათ, ბიცოლა!  
(მასწორებულებს ანა პავლოვნას). ადგილის სათხოვნელად მოვიდა.  
(ვიშნევსკიას გვერდით დაჯდება).

ანა პავლოვნა — რა? ნუთუ? (ცნობისმოყვარეობით უცქერის  
ჟადოვს).

ვიშნევსკი — მოხველ, რომ ბიძაშენს დასცინო, არა?!

ჟადოვი — ბიძაჩემო, შეიძლება გაწყენინეთ! გთხოვთ მა-  
პატიოთ... ეს მხოლოდ ახალგაზრდული გატაცება იყო...  
ცხოვრებას არ ვიცნობდი, არ ვიცოდი რა უნდა მექნა... მით  
უმეტეს, რომ ნათესავი ბრძანდებით.

ვიშნევსკი — მერე?

ჟადოვი — კარგად ვიწვნიე შემწეობის გარეშე და უპრო-  
ბლეტიოდ ცხოვრება რასაც ნიშნავს... მე ცოლიანი ვარ!

ვიშნევსკი — მერე რა გინდა?

ჟადოვი — ხელმოკლედ ვცხოვრობ... მე მყოფნიდა, მაგ-  
რამ ცოლს, რომელიც ძალიან მიყვარს... ნება მომეცით ისევ  
თქვენ ხელქვეით ვიმუშაო... დამეხმარეთ, ბიძია! მომეცით  
ისეთი ადგილი, რომ მეც შევძლო... (ხმაუბლა). უკეთ ცხოვ-  
რება და ქონების შექმნა.

პოლინა — ოღონდ შემოსავლიანი ადგილი იყოს.

ვიშნევსკი — (ხარხარებს). ხა, ხა, ხა! იუსივ! აი, ხედავ  
ჩვენს რაინდს? ახალგაზრდა კაცი, რომელიც ყოველ გზაჯვარ-  
ედინზე მექრთამეობის წინააღმდეგ ილაშქრებდა და ახალ  
თაობის გამო რაღაც აბდაუბდას ღაღადებდა, ჩვენთანაც მო-  
დის და შემოსავლიან ადგილს გვთხოვს, ისეთ ადგილს, სა-  
დაც ქრთამს აიღებს! რა ბრწყინვალე თაობაა, ხა-ხა-ხა!

ჟადოვი — (ადგება). ოხ! (გულზე ხელს წაივლებს).

იუსოვი — ბალდი იყავი? უსაფუძვლო იყო შენი მსჯელობა? მაღალფარდოვანი სიტყვების კორიანტელი... ლიტონ სიტყვებად დარჩა არა? ადრე თუ გვიან ცხოვრება გაჩვენებს თავის ნამდვილ სახეს და (ბურუნუს დაყნოსავს) ფილოსოფოსობას თავს დაგანებებინებს. საქმე ის იყო, თავიდანვე დაგეგდო ყური ჭკვიან ხალხისთვის და არა აბუჩად აგეგდო ისინი.

ვიშნევსკი — ხომ გახსოვს, იუსოვ, როგორი კილო ჰქონდა? როგორ იყო დაჯერებული თავის თავში? როგორ აღმფოთებდა ბიწიერება? (ჟადოვი თანდათან აღელდება). განა შენ არ ამბობდი, რომ განათლებული და წესიერი ხალხის ახალი თაობა იზრდება, რომელიც მსხვერპლად შეეწირება სიმართლეს, რომელიც ჩვენ გამოგვამელავენებს და ქვა და გუნდას დაგვიშენს? შენ არ ბრძანებდი ამას? უნდა გამოვტყუდე და მჯეროდა თქვენი... მძაგდით მთელის არსებით... მაგრამ შეშინოდა კიდევ, ხუმრობის გარეშე. და ხედავთ, რა აღმოჩნდა! თქვენ პატიოსანი ხართ პირველ ვასაჭირამდე! გამახარე, პირდაპირ გამახარე, შენმა მზემ!.. არა, თქვენ სიძულვილის ღირსი როდი ხართ, მე თქვენ მეზიზღებით.

ჟადოვი — შემიზიზღეთ, ახია ჩემზე! მე თვითონ მეზიზღება ჩემი თავი!

ვიშნევსკი — შენ ხარ, შენ, იმ ხალხთაგანი, რომლებიც ეგრე იჩემებდით პატიოსნებას? ვაი, რომ შევრცხვით! სამართალში მიგვცეს...

ჟადოვი — ეს რა მესმის! ბიძაჩემო, მე როდი მითქვამს, რომ ჩვენი თაობა ყველაზე პატიოსანი თაობაა. პატიოსანი ხალხი, პატიოსანი მოქალაქენი, პატიოსანი მოხელეები მუდამ ყოფილა და მუდამ იქნება. მუდამ ყოფილა და მუდამ იქნება სუსტი ნებისყოფის ხალხიც. ამის დასამტკიცებელ საბუთს აი, მე თვითონ წარმოვადგენ... მე ვამბობდი, რომ ჩვენს დროში... (დაიწყებს წყნარად, თანდათან აღფრთოვანდება. ში გადადის). საზოგადოება უფრო და უფრო ზიზღით ეკიდება ბიწიერებას, უფრო მედგრად გაისმის ხმა საზოგადოებრივი ბოროტების წინააღმდეგ... მე ვამბობდი, რომ ჩვენში ილვიძებს საკუთარ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის აზრი და ჩვენს შეგ-



ნებაში კიაფობს საუკეთესო მერმისის იმედი... ახალგაზრდობაში აღმოცენდა სამართლიანობის და მოვალეობის შეგნების გრძნობა, რომ იგი ყვავილობს, იზრდება და ნაყოფს მოიტანს. თქვენ თუ არა, ჩვენ მაინც მოვესწრებით ამას და ღმერთს მადლობას შევწირავთ. ჩემი მარცხი ნუ გაგახარებთ! მე უბრალო მომაკვდავი ვარ, მე სუსტი ადამიანი ვარ და არ გამაჩნია საკმარისი ნებისყოფა ისე, როგორც უმრავლესობას. გაჭირვებამ, ცუდმა პირობებმა, მშობლების გაუნათლებლობამ, გავრცელებულმა უზნეობამ შეიძლება მომქანცოს, დამაგდოს ჯაგლაგ ცხენივით, მაგრამ საკმარისია ერთი გაკვეთილი, თუნდაც ასეთი... რისთვისაც მადლობა უნდა გადაგიხადოთ; ახლა ჩემთვის საკმარისია თუნდაც ერთ პატიოსან კაცთან შეხვედრა, რომ მკვდრეთით აღვსდგე და განვიახლდეს სიმტკიცე ჩემი. შეიძლება მერყეობა გამოვიჩინო, მაგრამ ბოროტმოქმედებას არ ჩავიდენ, შეიძლება წავიბოროტო, მაგრამ არ დავეცემი. ჩემი გული მოაღბო განათლებამ და მას ბიწიერება ვერ გააქვავებს. (დუმილი). მე მრცხვენია, დიახ, სირცხვილით ვიწვი, რომ თქვენთან მოველ!

ვიშნევსკი — (წამოადგება). რაკი ასეა, აქედან გამეცალე!

ჟადოვი — (წინარად). გაგეცლებით! პოლინა, შეგიძლია დედასთან წახვიდე, ვერ დაგაკავებ. ამიერიდან ჩემს თავს აღარ ვუღალატებ. თუ ბედი შავი პურის მეტს არას მარგუნებს, დავჯერდები! ვერავითარი სიმდიდრე და კეთილდღეობა ვერ შემაცდენს, ვერა! მე მინდა შევინარჩუნო თვალეებში პირდაპირ ცქერის უფლება სინილისის ქეჯნის გარეშე; მინდა ვიკითხო და ვუცქირო სატირას, კომედიებს მექრთამეობის გამო დაწერილს და გულიანად ვიხარხარო, ვიხარხარო უზადო სიცილით. თუ ჩემი ცხოვრება შრომით და ჯაფით იქნება აღსავსე, არ ვიწუწუნებ. ნუგეშად მხოლოდ ერთ ჯილდოს გამოვთხოვ უფალს, ვთხოვ იმ დრომდე მაცოცხლოს, ვიდრე მექრთამეს სასამართლოზე მეტად საზოგადოებრივი აზრის შიში ექნება.

ვიშნევსკი — (ადგება). დაგახრჩობ, ჩემი ხელებით დაგახრჩობ! (დაბარბაცდება). იუსოვ, ცუდად ვარ. გამიყვანე ჩემს ოთახში. (გადის იუსოვთან ერთად).

## გამოსვლა მმ-5

ანა პავლოვნა, ჟადოვი, პოლინა და  
შემდეგ იუსოვი

პოლინა—(მიდის ჟადოვთან). შენ გგონია მართლა მინდოდა  
შენი მიტოვება? ეს მე განგებ გავაკეთე. ეგრე მასწავლეს.

ანა პავლოვნა—შერიგდით, შვილებო, შერიგდით!  
(ჟადოვი და პოლინა კოცნიან ერთმანეთს).

იუსოვი —(კარებში). ექიმი, ექიმი ჩქარა!

ანა პავლოვნა —(წამოიწევეს სავარძლიდან). რა იყო, რა ამ-  
ბავია?

იუსოვი —არისტარხ ვლადიმირიჩს დამბლა დაეცა!

ანა პავლოვნა —(სუსტად შეჭკივლებს). ოჰ! (დაეშეება სავარ-  
ძელში. პოლინა შიშით ჟადოვს ეკვრის. მაგიდაზე დაყრდნობილი ჟადოვი  
თავს დაბლა დახრის. იუსოვი კარებში დაბნეული დგას. სურათი).